

ე. გვენეტაძე, რ. რუხაძე

ნატო (NATO) საერთაშორისო
ურთიერთობებში

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

სამართავლოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ე. გვენეტაძე, რ. რუხაძე

ნატო (NATO) საერთაშორისო ურთიერთობებში



რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 02.07.2009, ოქმი №6

თბილისი
2009

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) მიერ უკანასკნელი 60 წლის მანძილზე საერთაშორისო მასშტაბით ჩატარებული მუშაობა.

განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრანტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის

რედაქტორი ასოც. პროფ. მაია ამირგულაშვილი

რეცენზენტი პროფ. თენგიზ გრიგოლია

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009

ISBN 978-9941-14-691-6

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია(NATO) (დაარსების არსი, მიზანი, ამოცანები)

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო–NATO) შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. მისი დამფუძნებელი ქვეყნებია: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, ბელგია, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ისლანდია; 1952 წლიდან ნატოში შევიდნენ თურქეთი და საბერძნეთი; 1955 წლიდან გერმანია; 1982 წლიდან ესპანეთი. 1999 წლიდან ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი. 2004 წლიდან ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ბულგარეთი; 2009 წლიდან ალბანეთი და ხორვატია.

მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება (1949 წლის 4 აპრილი). იგი საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი, სამართლებრივი აქტია (ხელშეკრულება, წესდება). შედგება პრეამბულისა და 14 მუხლისაგან. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ორგანიზაციის ფუნქციები, მიზნები და ამოცანები, კომპეტენცია, ხელმძღვანელ ორგანიზაციათა სტრუქტურა.

1949 წელს ვაშინგტონში შექმნილმა ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას, დასაბამი მისცა აშშ-ის, კანადისა და დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს (ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, იტალია, ისლანდია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, ნიდერლანდები, საფრანგეთი და პორტუგალია) კოლექტიური უსაფრთხოებისა და პარტნიორობის ახალ მქანის–ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას–ნატო. რომლის ოფიციალური ენებია: ინგლისური და ფრანგული.

ნატოს შექმნა განაპირობა მზარდმა საბჭოთა ექსპანსიამ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა და საფრთხე შეუქმნა დასავლეთის სამყაროს.

თავისი არსებობის 60 წლის მანძილზე ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა ფუნდამენტური როლი შეასრულა დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს კოლექტიური თავდაცვისა და მისი უშიშროების უზრუნველყოფაში. “ცივი ომის” პერიოდში ამ სამხედრო-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შეძლო შეეჩერებინა ევროპაში საბჭოთა ექსპანსია და დაემყარებინა კონტინენტზე სტრატეგიული ბალანსი.

ნატო იყო და არის თავისი წევრი ქვეყნების თავისუფალი და დემოკრატიული განვითარების გარანტი. იგი ხელს უწყობს ევროპის კონტინენტზე დამ მის ფარგლებს გარეთ დემოკრატიული ფასეულობის დამკვიდრებას.

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის განვითარების (1990–2002 წლები) ოთხი მნიშვნელოვანი ეტაპი:

პირველ ეტაპზე, 1991 წელს განხორციელდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ჩამოყალიბება (NACC); იმავე წელს რომის 8 ნოემბრის ჩრდილოატლანტიკური საბჭოს უმაღლესი დონის სამიტზე მიიღეს “ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრატეგიული კონცეფცია”, რომელმაც შეცვალა 1967 წლის ე. წ. “ჰარმელის კონცეფცია”.

მეორე ეტაპზე, 1994 წელს აშშ-ის პრეზიდენტის ბილ ქლინტონის ინიციატივით შეიქმნა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ნატოს-სა და პარტნიორი ქვეყნების ურთიერთობაში, 1995 წელს ნატო პირველად თავის ისტორიაში ახორციელებს დეიტონის ხელშეკრულების საფუძველზე სამშვიდობო ოპერაციას ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე.

მესამე ეტაპზე, 1997 წელს ჩამოყალიბდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC-ეაპსი), რომელიც ამჟამად ახორციელებს ევროატლანტიკური თანამშრომლობის პროცესს. მან შეცვალა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო.

მეოთხე ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული ახალი ეტაპის ფართომაშტაბიანი

სამხედრო–ტერიტორიული აქციის განხორციელება და ნატოს საბჭოს მიერ ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე მუხლის ამოქმედება. ამ მუხლის მიხედვით კი: “ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში განიხილება, როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ”. ფაქტიურად ეს ნიშნავს კოლექტიური თავდაცვის პრინციპის სრულ ამოქმედებას და კოალიციური ტიპის საომარი მოქმედების დაწყებას, ისეთი ფენომენის წინააღმდეგ, როგორცაა ტერორიზმი.

ნატოს დაინტერესება კავკასიის რეგიონით დაიწყო 1994 წლიდან “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ამოქმედებით და კიდევ უფრო განვითარდა 1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ჩამოყალიბებით. ამ ორივე სფეროში აქტიურად ჩაერთო სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო.

ნატომ 2002 წლის ნოემბერში თავის რიგებში მიიღო შვიდი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა: ბულგარეთი, ესტონეთი, ატვია, რუმინეთი, სლოვაკია და სლოვენია. ამით ნატოს “ქოლგის” ქვეშ შევიდა 40 მილიონი ადამიანი, ხოლო მისი ტერიტორია ბალტიის სანაპიროდან რუსეთის დასავლეთ სანაპიროსა და შავ ზღვამდე გაიჭიმა.

აღიანსში ახალი წევრების მიღებით ნატომ იერსახე შეიცვალა – ახლა ის სრულიად განსხვავდება იმ ორგანიზაციისაგან, რაც “ცივი ომის” დამთავრების დროს იყო.

მას შემდეგ, რაც ცივი ომი დამთავრდა, არ წყდება ლაპარაკი იმის თაობაზე, თუ რა უნდა იყოს ნატოს ფუნქცია ახალ ვითარებაში.. ნატო, მართლაც შეიქმნა კონკრეტულ ვითარებაში კონკრეტული ამოცანების განსახორციელებლად, მაგრამ მის საფუძველში ჩადებული იყო თავისუფალ საზოგადოებათა დაცვის ზოგადი იდეა, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ დაემუქრებოდა მათი არსებობის წესს–იქნებოდა ეს საბჭოთა კავშირი თუ თავისუფლების მოძულე, რელიგიურ ფანატიკოსთა ორგანიზაცია. ასე, რომ სიდრმისეული ფუნქციის თვალსაზრისით ნატო

არ შეიცვლება, სანამ იარსებებენ თავისუფლების მტრები. ცვლილებებს განიცდის მხოლოდ ახალ მუქარებზე რეაგირების ფორმები.

მომწიფდა ნატოს ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ამას კი ორი ძირითადი განზომილება აქვს. პირველი – ნატოს გაფართოებაა. ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა უმეტესობა ისტორიულ უსამართლობად მიიჩნევა ევროპული ცივილიზაციიდან მათ იძულებით მოწყვეტას. “ცივი ომის” დამთავრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ისინი უმოკლეს დროში შეეცდებოდნენ ამ უსამართლობის გამოსწორებას. ეს ასეც მოხდა. მეორე – ახალ მუქარებთან დაპირისპირებაა. “ცივი ომის” პერიოდის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება შეიცვალა ახალი ტიპის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირებით, როდესაც ცივილიზებულ სამყაროს უორისპირდება რელიგიური ფანატიზმით, აგრესიული სეპარატიზმით, ექსტრემისტული ნაციონალიზმით ნასაზრდოები იდეოლოგია და მსოფლმხედველობა. სწორედ მათი, განსაკუთრებით კი აგრესიული სეპარატიზმის, წყალობით ჩნდება სუვერენულ სახელმწიფოებში არსებული უკონტროლო ტერიტორიები, რომლებიც, როგორც წესი, იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ტერორიზმის კერებად და თავშესაფარად იქცევიან. სწორედ ნატომ უნდა მიიღოს ყველა ამ ბოროტების გამოსწვევა, ვინაიდან იგი დედამიწის უზარმაზარ სივრცეზე დემოკრატიულ ღირებულებათა და სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიაა.

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ, რომელიც ამერიკისა და ევროპის არსებითად დიდმნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია, მიიღო ახალი სტრატეგიული კონცეფცია თავისი, როგორც ევროპის უშიშროების შემადგენელი ელემენტის, როლი. ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს შექმნით ამ ორგანიზაციამ განსაზღვრა თანამშრომლობის მექანიზმი იმ ახალ პარტნიორებთან, რომლებიც დაეთანხმებიან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიზნებს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მზად არის

პრაქტიკულად დაუჭიროს მხარი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საქმიანობას.

ჩრდილო ატლანტიკის საბჭოს 1991 წლის 7-8 ნოემბრის სხდომაზე რომში მიიღეს სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობის შეთანხმება: “ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრატეგიული კონცეფცია”. იგი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც ახალი ვითარების გათვალისწინებით შემუშავებულია ნატოს ახალი სტრატეგია. მასში მითითებულია, რომ “1989 წლიდან ძირეული პოლიტიკური ცვლილებები ხდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რაც იწვევს იმ პირობების რადიკალურ ცვლილებებს, რომელზეც დაყრდნობითაც ჩრდილო ატლანტიკის ალიანსი აპირებს თავისი მიზნების მიღწევას”

რა მიზანს ისახავდა ახალი სტრატეგიული კონცეფცია? დოკუმენტის თანახმად იგი “მიზნად ისახავს გარე სამყაროს უსაფრთხოებას, რომელშიც პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა. ძირითადად იგი მოიცავს ორივეს, საბჭოთა შეიარაღებული ძალების დაგეგმილ გამოყვანას ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან და 1990 წლის ევროპის შეიარაღებულ ძალებზე შეთანხმებული კონცეფციის განხორციელებას. სტრატეგიული კონცეფციის შესრულება ხდება გარე სამყაროს ევოლუციურად განვითარების და ამ კონცეფციით განსაზღვრული უფლებამოსილებების სრულყოფის შესაბამისად”.

კონცეფციის თანახმად, უსაფრთხოების პრობლემები და რისკი, რომლებიც ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის წინაშე დგას, თავისი ბუნებით საკმაოდ მრავალფეროვანია იმასთან შედარებით, რაც ადრე იყო. ერთდროულად მუქარა ხელშეკრულების ორგანიზაციის ყველა ევროპულ ფრონტზე უკვე აცილებულია და ეს საკითხი უკვე აღარ წარმოადგენს მოკავშირეთ სტრატეგიულ ინტერესს. განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპაში, მოულოდნელი თავდასხმის საფრთხე აბსოლუტურად აცილებულია და მოკავშირეთა რისკი, ამ მხრივ მინიმუმამდეა დასული.

სტრატეგიული კონცეფციის შესაბამისად, ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს შეადგენს: მისი წევრების თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით, საზოგადოების დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობაზე დაყრდნობით, ნატო, მისი საქმიანობის დაწყებიდან, მიიღტვის ევროპაში მშვიდობის დამყარებისათვის. ალიანსის მიზნები უცვლელი რჩება.

ნატოს უმთავრესი მიზნების მიღწევისათვის, ალიანსის მთავარი ამოცანებია:

1. უზრუნველყოს მყარი საფუძვლის შექმნა ევროპაში უსაფრთხოებისათვის, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და დავის მშვიდობიანი მოგვარების პირობების გაფართოებით, როდესაც არც ერთი ქვეყანა არ იქნება დაშინებული და იძულებული რომელიმე ევროპული ერის მიერ და არ იქნება განხორციელებული ჰეგემონია ძალის გამოყენების ან დამუქრების გზით.

2. შეაჩერებს და დაიცავს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოსა და მის ტერიტორიას ნებისმიერი აგრესიისაგან.

3. უზრუნველყოფს ევროპაში სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნებას.

ნატოს გადაწვეტილებები ეფუძნება ერთიან სამხედრო სტრუქტურას, აგრეთვე თანამშრომლობის და კოორდინაციის შეთანხმებებს, მისი მთავარი მახასიათებლებია: შეიარაღების კოლექტიური დაგეგმვა; საერთო საქმიანობის დაგეგმვა; მრავალეროვნული გაერთიანებები; შეიარაღებულ ძალთა დისლოცირება მისი ქვეყნის ტერიტორიის გარეთ; კრიზისების რეგულირება და ამ პროცესების გაძლიერების ღონისძიებები; პროცედურები კონსულტაციებისათვის; საერთო სტანდარტები და პროცედურა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისათვის, ვარჯიშისა და ზურგის გამაგრებისათვის; გაერთიანებული საქმიანობა; ინფრასტრუქტურის, შეიარაღების და ზურგის თანამშრომლობა.

სამხედრო სტრუქტურები მჭიდროდ თანამშრომლობენ და ეხმარებიან ერთმანეთს. ეს ძალებია: სახმელეთო ძალები, რომლებიც მათთვის დამახასიათებელი ელასტიურობითა და ამტანობით, ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ალიანსის მიერ კრიზისების რეგულირებისას; საჰაერო ძალები, რომელთა დანიშნულებაა, მხარი დაუჭირონ ხმელეთსა და ზღვაზე მოქმედებას, იგი მოითხოვს აპრობირებულ გრძელვადიან საჰაერო ძალების საწვავით მომარაგების აუცილებლობას. საჰაერო თავდაცვის ძალები მოითხოვენ საჰაერო თავდაცვის პირობების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციას მჭიდრო ურთიერთობები აქვს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალიზებული დაწესებულებანი; ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია; ევროპის კავშირი; დასავლეთ ევროპის კავშირი; ევროპის საბჭო და სხვა. გარდა აღნიშნული ორგანიზაციებისა, მნიშვნელოვანია სხვა სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობები.

პირველ რიგში აღსანიშნავია ჩრდილო ატლანტიკის ასამბლეა. იგი წარმოადგენს საპარლამენტთაშორისო ფორუმს და შედგება თექვსმეტი წევრი სახელმწიფოსაგან. ასამბლეა აერთიანებს ევროპულ და ჩრდილო ამერიკის კანონმდებლობებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების განსახილველად და გადასაწყვეტად. იგი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელი ორგანოა.

ჩრდილო ატლანტიკის ასამბლეაში დელეგატები ინიშებიან, მათი ეროვნული პარლამენტების მიერ დადგენილი პროცედურეს შესაბამისად, პარლამენტებში წარმოდგენილი პარტიული პროპორციების შესაბამისად. ასამბლეა შედგება 188 პარლამენტარისაგან და დელეგაციის წევრთა რაოდენობა თითოეული ქვეყნიდან დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობის რაოდენობაზე. ასამბლეს მიერ ყოველწლიურად ირჩევა ხუთი თანამდებობის პირი პლენარული სესიებისათვის: პრეზიდენტი, სამი

ვიცე-პრეზიდენტი და ხაზინადარი. მუდმივმოქმედი კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ ირჩევს გენერალურ მდივანს.

ჩრდილო ატლანტიკის ასამბლეა შედგება ხუთი კომიტეტისაგან, ესენია: პოლიტიკური კომიტეტი; თავდაცვისა უსაფრთხოების კომიტეტი; ეკონომიკის კომიტეტი; მეცნიერებისა და ტექნოლოგიის კომიტეტი; სამოქალაქო ურთიერთობათა კომიტეტი.

კომიტეტები სისტემატიურად მართავენ სხდომებს, განიხილავენ სასწავლო პროგრამების შემუშავების საკითხებს, წარუდგენენ მოხსენებებს ასამბლეის პლენარულ სესიებს. ასამბლეის რეკომენდაციები და რეზოლუციები ეგზავნებათ ეროვნულ მთავრობებს, პარლამენტებს, სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც წარადგენს მათ ჩრდილო ატლანტიკის საბჭოში განხილვისათვის.

ასამბლეასა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობები სათავეს იღებს 1990 წლიდან, როდესაც ამ ქვეყნების პარლამენტების წარმომადგენლები მიიწვიეს ასამბლეაზე ასოცირებული წევრების სტატუსით.

ატლანტიკის ხელშეკრულების ასოციაცია ნებაყოფლობითი ასოციაციების კავშირს წარმოადგენს. იგი ნატოს მხარდამჭერი ორგანიზაციაა და ახელს უწყობს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებით განსაზღვრული მთელი რიგი სფეროების განვითარებას.

ეს სფეროებია:

1. საზოგადოების განათლება და ინფორმირება;
2. ნატოსთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობის განხორციელება;
3. ჩრდილო ატლანტიკის ზონაში ხალხთა სოლიდარობისათვის ხელის შეწყობა;
4. ასოციაციებისა და თანამშრომლობის მუდმივი განვითარება.

ატლანტიკის ხელშეკრულების ასოციაციის წევრ ეროვნულ ნებაყოფილობით ორგანიზაციებს წარმოადგენენ: ბელგიაში – ბელგიის ატლანტიკის ასოციაცია; კანადაში – კანადის ატლანტიკის საბჭო; დანიაში – დანიის ატლანტიკის ასოციაცია; საფრანგეთში – საფრანგეთის

ატლანტიკის გაერთიანების ასოციაცია; გერმანიაში – გერმანიის ატლანტიკის გაერთიანების საზოგადოება; საბერძნეთში – საბერძნეთის ასოციაცია ატლანტიკისა და ევროპაში თანამშრომლობისათვის; ისლანდიაში – დასავლეთის თანამშრომლობის ასოციაცია; იტალიაში – იტალიის ატლანტიკის კომიტეტი; ლუქსემბურგში – ლუქსემბურგის ატლანტიკის ასოციაცია; ნიდერლანდებში – ნიდერლანდების ატლანტიკის კომიტეტი; ნორვეგიაში – ნორვეგიის ატლანტიკის კომიტეტი; პორტუგალიაში – პორტუგალიის ატლანტიკის კომიტეტი; ესპანეთში – ესპანეთის ატლანტიკის ასოციაცია; თურქეთში – თურქეთის ატლანტიკის კომიტეტი; გაერთიანებულ სამეფოში–ბრიტანეთის ატლანტიკის კომიტეტი; აშშ-ში – შეერთებული შტატების ატლანტიკის საბჭო.

რეზერვის ოფიცერთა სამოკავშირო კონფედერაცია–არც სამთავრობათაშორისო და არც პოლიტიკურ ორგანიზაციას არ წარმოადგენს. შეიქმნა 1948 წელს ბელგიის, საფრანგეთისა და ნიდერლანდების რეზერვის ოფიცერთა ასოციაციების მიერ. დღეისათვის იგი აერთიანებს ნატოს წევრ სახელმწიფოებში არსებულ რეზერვის ოფიცერთა ასოციაციებს. მის რიგებშია 800 ათასი რეზერვის ოფიცერი.

კონფედერაციის მიზანია: ორგანიზაციის წევრთა დაკავშირება და ინფორმირება ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის მიღწევებსა და საქმიანობაზე. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის სარეზერვო ძალების ორგანიზების, ადმინისტრირებისა და წვრთნის საქმეში.

XX საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში მოხდა უდიდესი გარდაქმნა მსოფლიო ისტორიაში: ორად გახლეჩილი მსოფლიო გაერთიანდა. ამ ეპოქის მთავარი შედეგებია: სოციალიზმის მსოფლიო სისტემისა და საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიის დემონტაჟი, ვარშავის პაქტის დაშლა, ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიისა და ევროპის გაერთიანება, “ცივი ომის” დამთავრება, პოსტსაბჭოურ სივრცეში 15 თავისუფალი, სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა,

ტოტალიტარიზმისა და ავტოკრატიაზე დემოკრატიისა და თავისუფლების შეუქცევადად გამარჯვება.

1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში “გარდაქმნის” პოლიტიკის შედეგად შექმნილმა ახალმა ვითარებამ, ნატოს წინაშე დააყენა საკითხი აღნიშნულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების შესახებ. ახალი სტრატეგია მიზნად ისახავდა “ცივი ომის” ეპოქის კონფრონტაციიდან პრაქტიკულ თანამშრომლობაზე გადასვლას, ევროპული სრტუქტურის ახალი არქიტექტურის მშენებლობას, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა დასავლური ცივილიზაციის ფასეულობები და პრინციპები.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისათვის, რომელიც საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავებისა და დასავლური დემოკრატიის დაცვას ემსახურებოდა დღიდან მისი დაარსებისა—1949 წლიდან, ამგვარი ტრანსფორმაციის განხორციელება დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან სიძნელეებთან. უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული მოწინააღმდეგის პარტნიორად აღიარება მოითხოვდა ალიანსის მიზნებისა და ამოცანების ახლებურ კონცეფციურ გააზრებას, ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალობასთან ადაპტირებასა და თანამშრომლობის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირისაკენ ნატოს “დიდი შემობრუნების” ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევენ ალიანსის 1990 წლის 5-6 ივლისის ლონდონის სამიტს. სამიტზე მიღებულ “ლონდონის დეკლარაციაში” ჩამოყალიბებულია ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მთავარი პრინციპები, რომლებიც დაეფუძნა არა ორი დაპირისპირებული ბანაკის ძალთა თანაფარდობას, არამედ თანამშრომლობასა და პარტნიორობას.

აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირის მიმართ ნატოს ახალი პრინციპებისა და პირველი პრაქტიკული ნაბიჯების უფრო დეტალურ განხილვას მიეძღვნა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ნატოს

საბჭოს 1991 წლის 6-7 ივნისის სხდომა (კოპენჰაგენში) “ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის შესახებ”, სხდომაზე მიღებულ განცხადებაში ნათქვამია: “ევროპის დაყოფის ხანგრძლივი ეპოქა დასრულდა. ჩვენ მივესალმებით ალიანსისა და მისი წევრი სახელმწიფოების კონტაქტების მნიშვნელოვან გაფართოებას საბჭოთა კავშირთან და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, თუკი ეს უკანასკლავი მიესალმებიან ლონდონის შეხვედრაზე ალიანსის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ მეგობრობისათვის გაწვდილ ხელს”.

სხდომაზე გამოჩნდა ახალი ტერმინი “სხვადასხვა დონეზე სამხედრო თანამშრომლობის განვითარების შესახებ”. მიღებულ დოკუმენტში ჩამოთვლილია შემდეგი მიმართულებები:

1. ოფიციალურ პირთა და ექსპერტთა შეხვედრები უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში აზრთა ურთიერთგაცვლისა და ინფორმირების მიზნით (სამხედრო სტრატეგია და დოქტრინები, შეიარაღებისადმი კონტროლი, სამხედრო ინდუსტრიის კონვერსია);

2. ერთი მხრივ, ნატოს სამხედრო ხელმძღვანელებს, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ევროპიდან მათ კოლეგებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარება;

3. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტთა მონაწილეობა ალიანსის ცალკეულ დონისძიებებში;

4. ნატოს საინფორმაციო პროგრამების განხორციელება რეგიონის ქვეყნებში, უშიშროებისა და დემოკრატიის საკითხებზე დისკუსიების გამართვა, ნატოს შტაბ-ბინაში აღნიშნული ქვეყნების პარლამენტართა, ჟურნალისტებისა და ახალგაზრდულ დელეგაციების მოწვევა;

5. თანამშრომლობის გაფართოება ჩრდილო-ატლანტიკურ ასამბლეასა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტებს შორის.

ნატოს გააჩნია თანამშრომლობისა და კონსულტაციების ახალი ინსტიტუტები, რომლებიც აერთიანებენ ევროატლანტიკური რეგიონის

ყველა ქვეყანას-ქვეყანას, რომლების წინათ ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო და “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამა წარმოადგენენ ინსტრუმენტებს, რომლებიც გულისხმობენ არა მარტო პოზიტიურ მონაწილეობას უშიშროების პრობლემათა გადაჭრაში, არამედ, აგრეთვე, ერთობლივი საქმიანობის ფართო წრის მიმართულებებსაც. ამ შესაძლებლობებით სარგებლობა ყველას შეუძლია.

ნატოს უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენს ნატოს საბჭო, რომელშიც შედის 28 წევრი სახელმწიფო. სხდომები ტარდება ორჯერ-გაზაფხულზე (ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს დედაქალაქში) და ზამთარში ბრიუსელში. შეიძლება გაიმართოს საგანგებო სესია. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობენ საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე – თავდაცვის, ფინანსების, ეკონომიკის და სხვა დარგის მინისტრები. ხშირად სესიები ტარდება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა დონეზე. ნატოს საბჭო ორგანიზაციის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა.

1952 წლის თებერვალში, ლისაბონში სამოქალაქო სამსახურების რეორგანიზაციის შემდეგ, ჩრდილოატლანტიკის ორგანიზაციის ორგანოებია:

1. საბჭო: შედგება ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. იგი იკრიბება წელიწადში ორ ან სამჯერ და წლის განმავლობაში მუდმივად, მუდმივი წარმომადგენლების დონეზე. საბჭო ორგანიზაციის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა.

2. საბჭოს კომიტეტებია: პოლიტიკური კომიტეტი; თავდაცვის საკითხის შემსწავლელი კომიტეტი; ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლის უმაღლესი დონის სამუშაო ჯგუფი, აღმასრულებელი სამუშაო ჯგუფი; ეკონომიკური კომიტეტი; ინფორმაციისა და კულტურული ურთიერთობების კომიტეტი; ეროვნულ დირექტორთა თათბირი შეიარაღებაზე; შეიარაღების კონტროლისმაკოორდინირებელი კომიტეტი; საგანგებო მდგომარეობის დროს სამოქალაქო სამსახურების გამოყენების დაგეგმვის მთავარი

კომიტეტი; ნატოს თათბირი მეტერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელთათვის; სამეცნიერო კომიტეტი; ნატოს საჰაერო თავდაცვის კომიტეტი; სტანდარტიზაციის ჯგუფი; ნატოს კავშირებისა და ინფორმაციის სისტემათა კომიტეტი; ნანთობგაყვანილობათა კომიტეტი; საბჭოს საქმიანობისა და სწავლების კომიტეტი; ინფრასტრუქტურის კომიტეტი; ნატოს უსაფრთხოების კომიტეტი.

3. საერთაშორისო შტაბი: გენერალური მდივანი, გენერალური მდივნის მოადგილეები, კაბინეტის დირექტორი, ფინანსტა დირექტორი, აღმასრულებელი მდივანი, ადმინისტრაციული დირექტორი; ინფორმაციისა და პრესის კაბინეტის დირექტორი.

4. სამხედრო კომიტეტი: იგი შედგება წევრი სახელმწიფოების სამხედრო შტაბის უფროსებისაგან და საფრანგეთის შტაბის უფროსის მიერ დანიშნულ საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლისაგან.

5. ევროპის მოკავშირეთა, ატლანტიკის მოკავშირეთა, ლა-მანშის ყურის მოკავშირეთა და აშშ-კანადის რეგიონული დაგეგმვის ჯგუფები.

ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ ნატო ახალი ამოცანების წინაშე დადგა. საჭირო იყო თვისებრივად ახალი ცვლილებანი მსოფლიო პოლიტიკაში. საბჭოური დიქტატისაგან გათავისუფლებული ევროპის ქვეყნები ითხოვდნენ ნატოს მხრიდან ყურადღებას.

1993 წლის 3 დეკემბრის ნაქსი-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გამოიყენეს მძლავრი დიპლომატიური “შეტევის ალიანსში გაწევრიანების სასარგებლოდ საკუთარი პიზიციების დასაცავად”.

დღის წესრიგში დადგა პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის ინტეგრირების საკითხი ნატოს სტრუქტურებში. ამასთან დაკავშირებით ალიანსის იმდროინდელმა გენერალურმა მდივანმა ბ-მა მ. ვიორნერმა განაცხადა, რომ დადგა ჯამი კონკრეტული პერსპექტივების შექმნისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც სურდათ ნატოს წევრობა და რომელთა მიღებაც ალიანსს შესაძლებლად მიაჩნდა.

ნატოში დაიწიეს ფიქრი ყოფილ სოციალისტურ ბანაკთან ურთიერთობებში თვისობრივი ცვლილებების შეტანაზე, რაც იგრძნობოდა “ყოფით საქმიანობაშიც”. მაგალითად, ნაქსი-ს წევრ-ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, შესთავაზეს ოფისის გახსნა ნატოს შტაბბინაში.

აღნიშნულ პერიოდში ნატოს გაფართოების მინარტ რუსეთის მეტნაკლებად ლოიალური დამოკიდებულებების გათვალისწინებით, დასავლეთში ბევრი მიიხნევდა, რომ საჭირო იყო ალიანსში ახალი წევრების სწრაფი ინტეგრირება. მიუხედავად ამისა, დასავლეთმა ვერ ისარგებლა ამ ისტორიული მომენტით და ხელშემწყობი გარემოებებით, რასაც მომდევნო პერიოდში მოჰყვა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ რუსეთში განწყობილებების ზრდა. 1996 წლისათვის, როდესაც უსაფრტხო ევროატლანტიკური თანამეგობრობის შექმნის კონტექსტში ნატოს

გაფართოება ვაშინგტონმა გამოაცხადა აშშ-ის პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანად, რუსეთი უკვე მტკიცედ იყო “გამაგრებული” საწინააღმდეგო პოიციასზე.

1994 წლის 10-11 იანვარს ბრუსელში გამართულ ნატოს სამიტზე მიღებულ იქნა აშშ-ის ახალი ინიციატივა—“პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამა (პმპ). ეს ინიციატივა ითვალისწინებდა ნატოსა და ყოფილ სოციალისტურ ბანკს შორის ურთიერთობების მასობრივად ახალ დონეზე აყვანას.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამაში მონაწილეობის მიღება უკვე შეეძლოთ, როგორც ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებს (რა თქმა უნდა რუსეთის ჩათვლით), ასევე ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს. პროგრამით დაინტერესებული სახელმწიფო ნატოსთან აფორმებდა ერთობლივ განცხადებას, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნებოდა კონკრეტული ვალდებულებები. მის შემდეგ იწყებოდა მუშაობა ნატოსთან ე.წ. ინდივიდუალური თანამშრომლობის გეგმის მომზადებაზე. საგულისხმოა, რომ პროგრამის მონაწილე ქვეყნის პოლიტიკა უნდა დაფუძნებოდა დასავლური ლიბერალური საზოგადოების ძირითად ფასეულობებსა და ისევე პრინციპებს, როგორცაა: დემოკრატია, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი, სამხედრო ბიუჯეტის გამჭვირვალობა და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით და ახალი სტრატეგიის გააზრებისათვის ეს პმპ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებაა, რადგან იგი გარკვეულწილად უკვე ითვალისწინებდა ნატოს უსაფრთხოების გარანტიების გავრცელებას პარტნიორ ქვეყნებზე.

პმპ-ის ინიციატივასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება დაიმსახურა პრეზიდენტ ბ. კლინტონის განცხადებამ, რომელიც მან ჩეხეთში ვიზიტად ყოფნისას გააკეთა: “...თუკი აღმოსავლეთ ევროპას დაემუქრება ისეთი საფრთხე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, ნატო არ დარჩება უმოქმედოდ. მე პირდაპირ უნდა განვაცხადო, თქვენი უსაფრთხოება მეტად მნიშვნელოვანია აშშ-ის უსაფრთხოებისათვის”.

ნატოს წევრ სახელმწიფოებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ის გარემოება, რომ ალიანსის გაფართოება ანტიდასავლურ და რევანშისტურ განწყობილებებს გამოიწვევდა რუსეთში. მიუხედავად ამისა, პრიორიტეტების შედარება იხრებოდა გაფართოების სასარგებლოდ.

ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება ნიშნავდა “ცივი ომის” დასასრულების შედეგად შექმნილი გეოსტრატეგიული ვითარების პრაქტიკულ დაკანონებას, ანუ აღნიშნულ “ომში” დამარცხებული რუსეთის გავლენის სფეროს ხარჯზე დასავლეთის სამყაროს გავლენის სფეროს გაზრდას. რუსეთს აღარც ძალა გააჩნდა და აღარც საკმარისი მოკავშირეები ამ პროცესის შესაჩერებლად.

იმავედროულად, ნატოში იწყებდნენ ფიქრს იმის თაობაზე, თუ როგორ “დაემოშმინებინათ” რუსეთი ალიანსის გაფართოების ფონზე. ცნობილი იყო ყველაზე “ნაცადი ხერხი”: ფინანსურ-ეკონომიკური დახმარება, რასაც საკმაოდ ფართოდ მიმართავდნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. 1994 წლის ბოლოს ნატოს კულუარებისა და პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ ალიანსში განიხილავდნენ ნატოსა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარების საკითხს.

1995 წლის 20 თებერვალს ნატოს საბჭომ განიხილა პრეზიდენტ კლინტონის პროექტი ბ-ნ ბ. ელიცინისადმი, რომელიც ალიანსსა და რუსეთს შორის ურთიერთობებს ეხებოდა. წერილში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ ნატოს გაფართოება არ ნიშნავდა რუსეთის იზოლირებას და ამა თუ იმ სახის რუსეთის როლის შესუსტებას ახალი უსაფრთხო ევროპის მშენებლობაში.

მიუხედავად ალიანსის ასეთი “რევერანსებისა”, რუსეთი მაინც ეჭვად აღიქვამდა ნატოს გაფართოებას.

კრიტიკული დამოკიდებულებით მოსკოვი ხაზს უსვამდა თავის განსაკუთრებულ წონას მსოფლიო საქმეებში.

ნატოს გაფართოების მიმართ რუსეთის უარყოფით მიდგომაში იკითხებოდა (და განსაკუთრებით დღეს იკითხება) ამ ქვეყნის სტრატეგიული ხედვა და მისი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან.

საკუთრივ ნატოს რუსი ავტორები მიიჩნევენ აშშ-ის ინსტრუმენტად, რომელიც ამ ორგანიზაციის მეშვეობით “ინარჩუნებს კონტროლს ევროპის ქვეყნებზე” და ეწევა “არაკეთილსინდისიერ კონკურენციას” თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად.

რაც შეეხება ნატოს გაფართოებას, უმთავრესად რუსეთის ფაქტორის დათვალისწინებით, ეს ყველაზე რთული პოლიტიკური ამოცანა იყო. როგორც ჩანს, დაფართოების შესახებ შიდა პრინციპული გადაწყვეტილება ალიანსმა ჯერ კიდევ 1995 წელს მიიღო, როდესაც მომზადდა სპეციალური სტრატეგიული გამოკვლევა ნატოს გაფართოების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების პოლიტიკური “გაუდერება” მოხდა 1996 წლის დეკემბერში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე.

მიუხედავად არსებითი სირთულეებისა, ნატოსა და რუსეთს შორის გამოინახა კონსესუსი ახალი დოკუმენტის გაფორმებასთან დაკავშირებით. რუსეთი იძულებული გახდა პრინციპულად გაეზიარებინა ალიანსის მიერ შეთავაზებული ძირითადი წინადადებები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთიც გარკვეულ დათმობებზე წავიდა.

1997 წლის 27 მაისს პარიზში, ერთი მხრივ ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა და ალიანსის გენერალურმა მდივანმა, ხოლო მეორე მხრივ – პრეზიდენტმა ბ. ელიცინმა ხელი მოაწერეს “დამფუძნებელ აქტს ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ურთიერთობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ”, რომელიც შეფასდა, როგორც “ახალი, ძლიერი, სტაბილური და მრავალმხრივი პარტნიორობის დასაწყისი”.

ნატოსა და ევროატლანტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესების კონცეპტუალური გააზრება, ალიანსის დანიშნულებისა და მიზნების ახლრბური ხედვა განაპირობებდა ნატოს სტრატეგიული კონცეფციის გადახედვას და მასში პრინციპული სახის კორექტივების შეტანას. ამ კორექტივების არსი კი ის იყო, რომ ალიანსის უსაფრთხოების ინტერესები უკვე სცილდებოდა მის გეოგრაფიულ საზღვრებს და

გარკვეულწილად ითვალისწინებდა მოსაზღვრე რეგიონებსაც. ამ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნებოდა კავკასიაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნატოს განახლებული სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ვაშინგტონის სამიტის მომზადების პერიოდში საკმაოდ მწვავე დისკუსიების საგანი იყო.

კონცეფციის შესავალ ნაწილში განხილულია ის ღრმა ცვლილებები, რომლებიც მოხდა ევროატლანტიკურ სივრცეში 1991 წლის შემდეგ, ანუ ნატოს წინა სტრატეგიული კონცეფციის მიღების შემდგომ პერიოდში. კერძოდ აღინიშნება, რომ “ცივი ომის” ეპოქამ ადგილი დაუთმო ახალ იმედის მომცემ პერსპექტივებს, რაც ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის საშუალებას იძლევა. ნატომ საკვანძო როლი შეასრულა ამ ახალი ტიპის ურთიერთობების დამყარებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში პარტნიორული სულისკვეთების ჩამოყალიბებაში.

აღნიშნულია, რომ ნატოს მთავარი მიზანია ვაშინგტონის ხელშეკრულების შესაბამისად წვერი ქვეყნების თავიუსუფლებისა და უშიშროების უზრუნველყოფა, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო საშუალებებით.

კონცეფციაში გაშუქებულია ალიანსის მიერ XXI საუკუნის უსაფრთხოების სისტემის ხედვა. აღინიშნება, რომ ალიანსი განიხილავს თავის უსაფრთხოებას ფართო გაგებით როგორც სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორების ერთიანობას.

XXI საუკუნეში ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის ნატო აუცილებლად მიიჩნევს – ტრანსატლანტიკური კავშირის (აშშ– დასავლეთ ევროპა) შენარჩუნებას;

– ალიანსის ისეთი სამხედრო პოტენციალის შენარჩუნებას, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს თავდაცვისა და შეკავებასთან (deterrence) დაკავშირებული ყველა სამხედრო მისია;

- ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტურობის განვითარებას ალიანსის ფარგლებში;
- კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით მრავალმხრივი პოტენციალის განვითარებას;
- “ღია კარის” პოლიტიკის გატარებას ალიანსში გაწევრიანების მსურველთათვის;
- მრავალმხრივი პარტნიორობის, თანამშრომლობისა და დიალოგის განხორციელებას ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებთან.

კონცეფციაში ხაზგასმითაა აღნიშნული ევროატლანტიკურ კონტექსტში რუსეთის მნიშვნელობა. “ძლიერი, სტაბილური და მრავალმხრივი თანამშრომლობა ნატოსა და რუსეთს შორის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობისათვის” – ნათქვამია დოკუმენტში.

ალიანსის სტრატეგიის პრინციპებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მთავარ პრინციპად კვლავ რჩება ვაშინგტონის ხელშეკრულების ცნობილი მე-5 პუნქტი, რომელიც განიხილავს ნატოს უსაფრთხოებას, როგორც განუყოფელ ცნებას, დევიზით – “აგრესია ერთ-ერთი მოკავშირის წინააღმდეგ ნიშნავს აგრესიას ალიანსის ყველა წევრის მიმართ”.

ამავე დროს, აღნიშნული დოკუმენტის ახალი ელემენტია დებულება ალიანსის ფარგლებში ე.წ. ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის იდენტურობის შექმნის შესახებ (ESDI).

კონცეფციის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო დებულება ჩამოყალიბებულია 48-ე მუხლში, რომელშიც საუბარია ალიანსის სამხედრო ძალების ამოცანებზე ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. გატარებულია აზრი, რომ ალიანსის მიზანია კრიზისული სიტუაციების მოგვარება ადრეულ სტადიაში, რათა მათ საფრთხე არ შეუქმნან მოკავშირეთა სასიცოცხლო ინტერესებს. შწორედ ამ კონტექსტში აღინიშნება, რომ “თუკი კრიზისული ვითარება საშიშროებას შეუქმნის ევროატლანტიკურ სტაბილურობასა და

ალიანსის უსაფრთხოებას, ალიანსის შეიარაღებულ ძალები შეიძლება გამოყენებული იყოს მართვის ოპერაციებში”.

ამგვარად, 1991 წლის სტრატეგიული კონცეფციისაგან განსხვავებით, რომელიც ალიანსის უშიშროების ინტერესებით შემოიფარგლებოდა, ვაშინგტონის სამიტზე მიღებული განახლებული დოკუმენტი აქცენტს აკეთებს მთელ ევროატლანტიკურ კონტექსტში ნატოს როლსა და პასუხისმგებლობაზე. ამ ახალი ხედვით ნატოს წინაშე დგება ამოცანა – მოახდინოს დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პროექტირება იმ ვრცელ რეგიონში, რომელიც “ცივი ომის” პერიოდში ალიანსის მოწინააღმდეგე ბანაკში იმყოფებოდა.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მექანიზმებთან ერთად ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნაში ნატო აშკარად თავის თავზე იღებს ცენტრალურ როლსა და წამყვან ფუნქციას.

ვაშინგტონის სამიტზე მიიღეს “გაწვევრიანების სამოქმედო გეგმა” (MAP), რომელშიც ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ნატოში გაერთიანების მსურველი ქვეყნებისათვის. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ეს დოკუმენტი შექმნილია ალიანსში გაწვევრიანების მსურველი ქვეყნების დასახმარებლად იმის გათვალისწინებით, რომ რჩევების საფუძველზე პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება და მათი განხორციელება წარადგენს თვით პარტნიორი ქვეყნის პრეროგატივას.

დაინტერესებულ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს დოკუმენტიდან ის პროგრამები და ღონისძიებები, რომლებსაც იგი მიიჩნევს საჩიროდ ნატოში გაწვევრიანების მზადების პერიოდში.

დოკუმენტში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ “გეგმა არ უნდა მივიჩნიოთ ნატოში გაწვევრიანების კრიტერიუმების უბრალო ნუსხად”.

გაწვევრიანების სამოქმედო გეგმა შედგება 5 თავისაგან:

- პოლიტიკური და ეკონომიკურის აკითხვები;
- თავდაცვისა და სამხედრო საკითხები;
- რესურსები;
- უსაფრთხოებისა საკითხები;

– სამართლებრივი საკითხები.

აღნიშნული დოკუმენტი ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყანას საშუალებას აძლევს გამოხატოს მზადყოფნა, გაიზიაროს ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულებითა და ნატოს გაფართოების შესახებ 1994 წელს მომზადებული გამოკვლევით გათვალისწინებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

MAP-ი ითვალისწინებს ასევე გაწევრიანების მსურველი ქვეყნის მიერ ნატოსათვის ყოველწლიური საინფორმაციო მასალების წარდგენას ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც უმნიშვნელოვანეს მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მაკროეკონომიკური განვითარებისა და ბიუჯეტის შესახებ.

ნატოსა და მასში გაწევრიანების მსურველ პარტნიორს შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე კონსულტაციების ჩასატარებლად MAPI ითვალისწინებს ყოველწლიურ შეხვედრებს მაღალი დონის პოლიტიკური კომიტეტის ფორმატით.

რაც შეეხება სამხედრო ასპექტებს, MAPI მიიჩნევს, რომ ნატოში გაწევრიანების მიზანშეწონილობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორცაა პარტნიორის მზადყოფნა შეიტანოს თვისი წვლილი ალიანსის კოლექტიურ უსაფრთხოებაში, მონაწილეობა მიიღოს ალიანსის ახალ მისიებში, ასევე თანმიმდევრულად დახვეწოს საკუთარი სამხედრო პოტენციალი.

ნატოში გაწევრიანების მსურველი ქვეყანა დეტალურად უნდა გაეცნოს ნატოს საკანონმდებლო ბაზას და დაიწყოს მზადება მასთან მისაერთებლად. ეს არის მთელი რიგი ხელშეკრულებები და ნორმატივები, რომლებიც არეგულირებენ ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. ამასათვის MAP-ით გათვალისწინებულია სპეციალური შეხვედრების გამართვა, რომლებზეც განხილული იქნება კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან დაკავშირებული ნაბიჯების თანმიმდევრობა და პროცედურები.

მნიშვნელოვნად გვესახება ის გარემოებაც, რომ ნატო არავის აძლევს მის რიგებში გაერთიანებას, ამასთან, არც იმის გარანტიას იძლევა, რომ აუცილებლად დააკმაყოფილებს პარტნიორი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების სურვილს.

NATO-ს სტრუქტურა

ნატოს საბჭოს სესიებზე განიხილება ორგანიზაციის საქმიანობის საკვანძო საკითხები, მიმოიხილავენ სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას სხვადასხვა რეგიონში, ისმენენ ნატოს დაწესებულებათა ხელმძღვანელოთა მოხსენებებს.

ნატოს გენერალური მდივანი თავმჯდომარეობს საბჭოს სამუშაო სესიებს, ხოლო ნატოს საბჭოს სესიებს შორის პერიოდში მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს ნატოს მუდმივი კომიტეტი, რომელიც შედგება წევრი ქვეყნების ელჩებისაგან.

მუდმივი საბჭოს სხდომები კვირაში რამდენჯერმე იმართება; იგი აწარმოებს პოლიტიკურ კონსულტაციებს, ახდენს ინფორმაციის გაცვლას, ამზადებს მასალებს ნატოს საბჭოს სესიისათვის, განიხილავს ნატოს კომიტეტებში მომზადებულ დოკუმენტებს, ხელმძღვანელობს კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობას. მუდმივ საბჭოს ხელმძღვანელობს ნატოს გენერალური მდივანი.

ნატოს უმაღლესი სამხედრო ორგანოა: სამხედრო კომიტეტი, რომლის წევრებია წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლები. სამხედრო კომიტეტის სხდომებს შორის მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას აკონტროლებს მუდმივი სამხედრო კომიტეტი. მას ევალება ნატოს ორგანოთა საქმიანობის კოორდინაცია.

საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანოა ბირთვული თავდაცვის კომიტეტი, რომელიც განიხილავს ბირთვული იარაღის პრობლემებს და მისი გამოყენების პრინციპებს. იგი შეიქმნა 1966 წელს და მისი სხდომების ტარდება წელიწადში ორჯერ. ბირთვული კომიტეტის შემადგენლობაში შედიან თავდაცვის მინისტრები.

ნატოს აღმასრულებელი ორგანოა საერთაშორისო სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით. შეიარაღებულ ძალთა უშუალო ხელმძღვანელობისათვის, ომის შესაძლებელ რაიონში, ინიშნება სტრატეგიული ხელმძღვანელობა ევროპისათვის, ატლანტიკისათვის, ლა-

მანშის ზონისათვის, აგრეთვე კანადის რეგიონული სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი.

ევროპაში ნატოს სარდლობას სათავეში უდგას უმაღლესი მთავარსარდალი. მას ემორჩილება ჩრდილო ევროპის ცენტრალური და სამხრეთ ევროპის სამი მთავარი საომარი მოქმედების სფეროს უმაღლესი სარდლობა.

ნატოს შეიარაღებული ძალები იყოფა: გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებად, რომლებიც ნატოს განკარგულებაშია გადაცემული და ეროვნულ დაქვემდებარებაში მყოფ ძალებად. გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში შედის ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, კანადის, გერმანიის, ბელგიის, ნიდერლანდების, იტალიისა და თურქეთის სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების გაერთიანებანი, შენაერთები და ნაწილების, ნორვეგიისა და დანიის სამხედრო-საჰაერო ძალები. ეროვნულ დაქვემდებარებაშია: ამერიკის შეერთებული შტატების საკონინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სტრატეგიული ავიაცია და ატომური რაკეტმზიდი წყალქვეშა ნაგები, წვერი ქვეყნების ზიგიერთი სახმელეთო შენაერთი და ნაწილი.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა ტრადიციულად ამერიკელ გენერალს უჭირავს.

მშვიდობიან პერიოდში უმაღლესი მთავარსარდალი პასუხს აგებს თავის ზონაში თავდაცვის გეგმების შემუშავებაზე, განაგებს მის განკარგულებაში მყოფ ჯარების მომზადების, ორგანიზებისა და მომარაგების საკითხებს. ომის პერიოდში იგი პასუხს აგებს ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ოპერაციების ორგანიზებასა და განხორციელებაზე. უფლებამოსილია გამოიყენოს წვერი ქვეყნების ადამიანთა და მატერიალური რესურსები.

უმაღლეს მთავარსარდალს ყავს ორი მოადგილე – ინგლისელი და გერმანელი გენერლები. გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბი,

რომელსაც ასევე ამერიკელი გენერალი უდგას სათავეში, ემორჩილება უმაღლეს მთავარსარდალს.

უმაღლესი მთავარსარდალის შტაბ-ბინა ქალაქ ნორდფოლკშია (აშშ) განლაგებული.

ნატოს მთავარი სარდლობა ლა-მანშიის სრუტის რაიონში მოიცავს აგრეთვე პა-დე-კალეს სრუტეს. სარდლობის შტაბ-ბინა ნორთუდშია (დიდი ბრიტანეთი). ნატოს ადგილსამყოფელი ბრიუსელშია, ხოლო ევროპის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი კასტოში (ბრიუსელის გარეუბანი).

სამოქალაქო სტრუქტურა

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრებს NATO-ს გენერალური მდივანი უძღვება. გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსით ხდება. გადაწყვეტილებების მიღება უმრავლესობის ან ხმის მიცემის პრინციპით არ მიიღება. თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენელს საბჭოს შეხვედრებსა და არსებულ კომიტეტებში თავისი ადგილი აქვს და გადაწყვეტილებების მიღებისას სრული სუვერენიტეტი ენიჭება. შესაბამისად, მიღებულ გადაწყვეტილებებზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ნატოს დამაარსებლები იმთავითვე აცნობიერებდნენ იმ ბუნებრივ მომენტს, რომ ნებისმიერი საკითხის განხილვისას შესაძლებელი და მოსალოდნელიც იყო აზრთა სხვაობა და უთანხმოება, თვით კრიზისამდე მისული სიტუაცია ორგანიზაციის შიგნით. აქედან გამომდინარე, შეიძლება გარკვეული რისკიც კი იყო კონსენსუსის პრინციპის დამკვიდრება, მაგრამ, როგორც შემდგომში პრაქტიკამ ცხადყო, ეს იყო სწორი დემოკრატიული გადაწყვეტილება—კონსულტაციების, დისკუსიების, პოზიციების შეჯერების საფუძველზე ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების ძებნა და პოვნა.

სამხედრო სტრუქტურა

წევრი-ქვეყნების დელეგაციების მეორე მნიშვნელოვანი რგოლი სამხედრო წარმომადგენელია, რომელიც თითოეული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მაღალი დონის ოფიცერია. სამხედრო წარმომადგენლები ერთად სამხედრო კომიტეტს ქმნიან. კომიტეტი ნატოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას თავდაცვის უზრუნველსაყოფად რეკომენდაციებს აწვდის. მისი მთავარი ფუნქცია სამხედრო პოლიტიკისა და სტრატეგიის მიმართულებისა და რჩევების განსაზღვრაა. ის ასევე აწვდის რჩევებს NATO-ს სტრატეგიულ სარდლობას. სარდლობის წარმომადგენლები კომიტეტის სხდომებს ესწრებიან და ალიანსის სამხედრო ურთიერთობებზე მუშაობენ. საბჭოს მსგავსად, სამხედრო კომიტეტი პერიოდულად მაღალ დონეზე იკრიბება. კერძოდ, შეხვედრებზე ყველა წევრი სახელმწიფოს თავდაცვის ხელმძღვანელი პირებისა და შეიარაღებული ძალების მაღალი რანგის ოფიცრები მონაწილეობენ. ნატო 28 წევრი სახელმწიფოს მიერ იმართება. ამასთან, გადაწყვეტილების მიღების წესი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებითა და სხვა არსებული შეთანხმებებით განისაზღვრება. თითოეული წევრი-სახელმწიფო NATO-ს შტაბ-ბინაში - ბრიუსელში თავის დელეგაციას ან მისიას აგზავნის. თითოეული დელეგაციის ხელმძღვანელი პირი ცნობილია, როგორც მუდმივი წარმომადგენელი. მუდმივი წარმომადგენლები ერთად ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს (NAC-North-Atlantic Council) წარმოადგენენ, რომელიც კვირაში ერთხელ იკრიბება და NATO-ში გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკური უფლებამოსილება აქვს. პერიოდულად საბჭო უფრო მაღალი დონის შეხვედრებს მართავს, სადაც უკვე საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, ან მთავრობების ხელმძღვანელები მონაწილეობენ. ამ შეხვედრებზე ძირითადად მიიღება გადაწყვეტილებები NATO-ს პოლიტიკის შესახებ. იმის მიუხედავად, თუ რა დონის შეხვედრები

იმართება საბჭოში, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს თანაბარი ძალა აქვს.

შეიარაღებული ძალები

ნატოს არ გააჩნია საკუთარი შეიარაღებული ძალები მუდმივ საწყისზე. ყოველი წევრი სახელმწიფო საჭიროების შემთხვევაში გამოჰყოფს განსაზღვრული რაოდენობის შეიარაღებულ ძალებს კონკრეტულ ღონისძიებაში (მაგ. კონფლიქტური ვითარება, მშვიდობის უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაცია და სხვა) მონაწილეობის მისაღებად. 2003 წლიდან კი ნატოს ჰყავს ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული, კარგად გაწვრთნილი სწრაფი რეაგირების ძალები (NFR) რომლებიც მოიცავს სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური ძალების კომპონენტებს. ამ ძალების რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 25000-ს ისინი მუდმივ მზადყოფნაში არიან დედამიწის ნებისმიერ წერტილში განთავსდნენ 5 დღის ვადაში მიღებული ბრძანების შესაბამისად და 30 დღის განმავლობაში თავიანთი რესურსებით უზრუნველყონ შესაბამისი ოპერაციებისა და დავალებების განხორციელება.

NATO საერთაშორისო ურთიერთობებში “ცივი ომის” წლებში

ნატო დაფუძნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის ქვეყნების საბჭოთა კავშირის ექსპანსიისაგან დასაცავად. ვითარება განსაკუთრებით 1947-1949 წლებში დაიძაბა, თუმცა პირველად განგაშის ზარი 1946 წლის 5 მარტს ჩამოჰკრეს შეერთებულ შტატებში, მისურის შტატის პატარა ქალაქ ფულტონში, როდესაც პრეზიდენტმა ტრუმენმა პირადად წარუდგინა აუდიტორიას მსოფლიო პოლიტიკის პატრიარქი, დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერი – უინსტონ ჩერჩილი. მას შემდეგ „ფულტონის სიტყვა“ და „ცივი ომი“ სინონიმებად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ჩერჩილმა მხოლოდ არსებულ რეალობასა და იმ „რკინის ფარდაზე“ ილაპარაკა, რომელიც უკვე ჩამოშვებული იყო „ბალტიიდან ადრიატიკამდე“.

ნაწყვეტი ჩერჩილის სიტყვიდან ფულტონში – “სივრცეზე, რომელზეც ჯერ კიდევ ახლახან ანათებდა მოკავშირეთა გამარჯვების შუქი, ჩამოწვა ჩრდილი. არავინ იცის საბჭოთა რუსეთისა და მისი საერთაშორისო ორგანიზაციების უახლოესი მიზნები ახლო მომავალში, არც მათი ექსპანსიის საზღვრები . . . მე ძალიან დიდ პატივს ვცემ რუსი ხალხის სიმტკიცესა და ომის პერიოდის ჩემს მეგობარს, მარშალ სტალინს. ეჭვი არ მეპარება, რომ დიდ ბრიტანეთში, ასევე, აქ, აშშ-ში, განმსჭვალულნი არიან ღრმა პატივისცემით რუსი ხალხის მიმართ. . . ჩვენ გვესმის რუსეთის მისწრაფება, განამტკიცოს თავისი დასავლეთ საზღვარი, გერმანიის მხრიდან გამორიცხოს აგრესიის ყოველგვარი მცდელობა. ჩვენ მივესალმებით რუსეთის ჩართვას წამყვანი ქვეყნების რიგებში . . . და მაინც, ჩვენი ვალია, მივაქციოთ ყურადღება ახლანდელ ევროპაში შექმნილ ზოგიერთ ფაქტს. ბალტიის ზღვიდან, კერძოდ, შეცინიდან ტრიესტამდე – ანუ ადრეატიკის სანაპირომდე–ჩამოეშვა „რკინის ფარდა“. ამ ფარდის მიღმა აღმოჩნდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უძველესი ქვეყნების დედაქალაქები – ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი, სოფია . . . მათი მოქალაქეები იმყოფებიან, იძულებული ვარ ასე ვუწოდო, საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში და

ყველანი განიცდიან არა მარტო საბჭოურ გავლენას, არამედ ექვემდებარებიან ძალიან ძლიერი და ყოველისმომცველი მოსკოვის კონტროლს . . . თითქმის ყველგან შექმნილია მთავრობები, მაგრამ ამ ქვეყნებში ჭეშმარიტი დემოკრატია არ არსებობს, გარდა ჩეხოსლოვაკიისა.” ისევე, როგორც 10-15 წლის წინ, ჩერჩილი ამჯერადაც სხვაზე უკეთ ადრე გრძნობდა საფრთხეს, რომელიც, უკვე კომუნისტური დიქტატურის სახით, აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა დემოკრატიულ დასავლეთს. „ასპროცენტიანი ინგლისელი“, ჩერჩილი, მაშინ არ ფიქრობდა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსზე, როგორც ევროპული დემოკრატიის მაშველ რგოლზე. ფულტონში იგი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის სამხედრო კავშირის იდეაზე საუბრობდა, თუმცა ეს დიდად არ ცვლიდა საერთო სურათს. უფრო ხანგრძლივ მოქმედ გადაწყვეტილებად კი ჩერჩილს მაინც ევროპის ერთობა მიაჩნდა, რომლის კარიც „არავისთვის არ უნდა ყოფილიყო სამუდამოდ ჩარახული“.

1948 წლის დასაწყისში კომუნისტური ექსპანსიის პირდაპირი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საბერძნეთი და ნორვეგია, აპრილში კი მოსკოვმა ყველა თავის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევით დაიწყო ბერლინის ბლოკადა, ხოლო ივნისში მთელი მსოფლიოს თვალწინ განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება ჩეხოსლოვაკიაში. უკანასკნელ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთისათვის; საქმე ის იყო, რომ ჩეხოსლოვაკიას ისედაც კომუნისტები მართავდნენ, რომლებმაც თავისუფალ არჩევნებში გაიმარჯვეს, თუმცა ეს უკვე საკმარისი აღარ იყო კრემლისათვის. მას აღარ აკმაყოფილებდა ის ფაქტი, რომ თავისუფალ არჩევნებში გამარჯვებული კომუნისტური პარტია მმართველი ძალა იყო. ბუნებრივია, მოსკოვისათვის კომუნისტური მთავრობა კი არ ყოფილა მიუღებელი, არამედ—თვითონ თავისუფალი არჩევნების ფაქტი. თუკი ეს პრეცედენტი პრაქტიკად იქცეოდა, გარანტირებული აღარ იყო ერთპარტიული კომუნისტური დიქტატურა. მიტომაცნ იქცა ჩეხოსლოვაკიის ფაქტი

უკანასკნელ წევთად. არც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და არც ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებს მეტის მოთმენა აღარ სურდათ. მათ აღარ სურდათ გულხელდაკრეფილები დალოდებოდნენ კომუნისტური ტოტალიტარიზმის მორიგი მსხვერპლის გამოჩენას. ცხრა წლის წინ ჰიტლერის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციამ დაუსვა წერტილი დასავლეთის დემოკრატიულ ლიდერთა მოთმინებას. 1948 წლის ზაფხულში ჩეხოსლოვაკიაში განხორციელებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ რეალობად აქცია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ამ დროისათვის უკვე არსებობდა დასავლეთ ევროპის ხუთი სახელმწიფოს (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი) თავდაცვითი კავშირი, ე.წ. „ბრიუსელის პაქტი“. ეს უკანასკნელი იქცა ომის შემდგომი დასავლეთ ევროპის უსაფრთხოების სისტემის პირველ კონსტრუქციად. ამავე დროს, მალე გაირკვა, რომ გაერთიანებული დასავლეთი ევროპაც კი ვერ შესძლებდა საჭიროების შემთხვევაში თავი დაეცვა საბჭოთა აგრესიისაგან, რომლის სცენარიც ასე გამოიყურებოდა: დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში, მოსკოვში შედგენილი გეგმით, ადგილობრივი კომუნისტები ხელში ჩაიგდებდნენ ხელისუფლებას და სამხედრო დახმარების თხოვნით მიმართავდნენ საბჭოთა კავშირს. ეს უკანასკნელი, პარტიულ-პროლეტარული სოლიდარობის ნიშნით, სრულ დახმარებას აღმოუჩენდა „სახალხო ხელისუფლებას“. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ომის შემდეგ პირველ წლებში, მთელ ევროპაში ძლიერი იყო კომუნისტთა გავლენა, არცთუ ფანტაზიად გამოიყურებოდა მოვლენათა ასეთი განვითარება. იმ პერიოდში ჩატარებული ყველა გამოკვლევა და ანალიზი ცალსახად ამტკიცებდა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოთა გლობალური სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გარეშე შეუძლებელი იყო კომუნისტური დიქტატურის საფრთხისაგან თავის დაცვა.

მან თვალნათლივ დაამტკიცა საკუთარი ეფექტურობა „ცივი ომის“ წლებში. მშვიდობიანი მეთოდებით შეძლო დაეჩქარებინა როგორც

ბერლინის კედლისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის გაქრობა. ასევე საბჭოთა იმპერიის კრახი და მის ნანგრევებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნა. XXI საუკუნეში კი უკვე გაფართოებული და კიდევ უფრო გაძლიერებული ნატო წარმატებით უმკლავდება ახალ, სრულიად სპეციფიკურ, გლობალურ თუ რეგიონალ გამოწვევებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ნატოს შექმნაში საბჭოთა კავშირს „მიუძღოდა წვლილი“. რომ არა ომის შემდგომ პერიოდში მოსკოვის ევროპული პოლიტიკა, რომელიც დაუფარავად იყო გამიზნული კომუნისტური დიქტატურის ექსპორტსა და „სოციალისტური ბანაკის“ გაფართოებაზე ძალისმიერი მეთოდებით, ძნელი სავარაუდოა, რომ ატლანტიკის ორივე სანაპიროზე პრაქტიკულად ერთდროულად დაბადებულიყო ზემოქმადრი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნის იდეა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მკვლევართა განკარგულებაში „ცივი ომის“ წინაპირობათა ობიექტურად ამსახველი მდიდარი დოკუმენტური მასალაა, უკანასკნელ პერიოდში, ნატოს გაფართოების კონტექსტში, კვლავ განახლდა ხელოვნური დისკუსია როგორც ალიანსის დაარსების რეალურ მიზანზე, ასევე მის სადღეისო როლსა და გეგმებზე. ნატოს „მამა-დამაარსებელი“ ქვეყნების საზოგადოებათათვის, ალბათ, ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ და რა მეთოდებით ცდილობენ დღეს ისტორიის გაყალბებას ალიანსის ისტორიული და „უბერებელი“ მოწინააღმდეგეები. მათთვის ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი 60-წლიანი გარანტირებული უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარებაა. მათთვის კი, რომლებიც დღეს სწორედ ნატოში გაწევრიანებას უკავშირებენ (ზოგი გააზრებულად, ზოგიც ემოციურად) საიმედოდ დაცული სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებასა და დასავლურ ფასეულობა-ღირებულებებს, საჭიროც არის და აუცილებელიც მისი სრული „ბიოგრაფიული მონაცემების“ საფუძვლიანი ცოდნა. ... მუდამ ასე იყო ისტორიაში – რაც უფრო დამანგრეველი და სისხლისმღვრელი ომი მთავრდებოდა, მით უფრო გრანდიოზულად ოპტიმისტური (ამავე დროს არარეალისტური) იყო

ომგამოვლილი საზოგადოების სამომავლო გეგმები. ასე იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც, როდესაც თვით ბრიტანულად თავშეკავებულმა და სადად მოაზროვნე პრემიერმა ლოიდ-ჯორჯმა „კაცობრიობის უკანასკნელი ომის დასასრული“ მიულოცა თანამემამულეებს. ასევე იყო მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ ეტაპზე, როდესაც პრეზიდენტი რუზველტი „ოთხი პოლიციელით“ იძლეოდა სამუდამო მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიას. არ ახდა – ლოიდ-ჯორჯის პროგნოზმა ოცი წელი რის ვაივაგლახით იარსება, ხოლო „ოთხი პოლიციელის“ კეთილშობილური იდეა „ცივმა ომმა“ დაასამარა. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ომის დამთავრებისას არც „ცივ ომსა“ და არც ნატოზე არავინ ფიქრობდა. ამერიკაში „მარშალის გეგმის“ დეტალებსა და მონაწილეებს აკონკრეტებდნენ და მიწასთან გასწორებული ევროპის აღდგენაზე ფიქრობდნენ, მოსკოვში კი მეფისდროინდელი იმპერიის საზღვრებს აზუსტებდნენ და კომუნისტური დიქტატურის საზღვრების გაფართოების (ყველა მიმართულებით) გეგმებს ადგენდნენ. მაშინ, როდესაც დასავლეთში ფაშიზმზე გამარჯვებას ორგანულად უკავშირებდნენ დემოკრატიასა და თავისუფლებას, საბჭოთა ხელმძღვანელობამ კურსი აიღო საზღვრების მთელ პერიმეტრზე ერთი დიქტატურის (ფაშისტურის) მეორეთი (კომუნისტურით) შეცვლაზე. ამერიკის შეერთებული შტატები და მისი დასავლეთ-ევროპელი მოკავშირეები შეშფოთებით აღიქვამდნენ იმ ფაქტს, რომ, მათგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირი არ ჩქარობდა (სინამდვილეში არც ფიქრობდა) შეესრულებინა სამოკავშირეო ვალდებულებები, კერძოდ, განეხორციელებინა ფართო დემობილიზაცია და შეემცირებინა საკუთარი შეიარაღებული ძალები. წითელი არმია კვლავ რჩებოდა მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვან და საბრძოლო მზადყოფნაში მყოფ სამხედრო ძალად. ევროპის დემოკრატიული ქვეყნები სულ უფრო და უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ არც გაერო და არც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები არანაირ ბარიერს არ წარმოადგენდა საბჭოთა აგრესიასთან პირისპირ დგომაში. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლეოდა

საბჭოების მიერ არადემოკრატიული მმართველობის იძულებითი დანერგვა, პოლიტიკურ ოპოზიციასთან ანგარიშსწორება, ადამიანთა უფლებების ცინიკური იგნორირება.

ამიტომაც იქცა უბრეცველენტო ისტორიულ მოვლენად 1949 წლის 4 აპრილის ხელშეკრულება. ნატოს სახით შეიქმნა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც სრულად ინარჩუნებენ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. საყურადღებოა, რომ დოკუმენტს არ გააჩნია საიდუმლო მუხლები პოტენციური თუ რეალური მოწინააღმდეგეების დაკონკრეტებით. იგი ითვალისწინებდა ნებისმიერი მხარიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან დაცვას.

როგორც სენატში ხელშეკრულების განხილვის დროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, სენატორმა კონელიმ, განაცხადა, პაქტი არ იყო ტიპური სამხედრო კავშირი, ეს იყო „კავშირი ომის წინააღმდეგ“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისევე როგორც ნებისმიერი მოქალაქე არ უნდა თვლიდეს, რომ პიროვნულადმის დასჯას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი, ასევე ნებისმიერმშვიდობისმოყვარე ქვეყანას არანაირი საფუძველი არა აქვს საფრთხედ მიიჩნევდეს ნატოს. ეს ფუძემდებელი პრინციპი სრული დატვირთვით ფუნქციონირებს დღესაც, რისი აღიარებაც ჯიუტად არ სურთ ზოგიერთ დედაქალაქში. თვითონ ის ფაქტი, რომ ნატო შეიქმნა ოფიციალურად ჰიპოტეტული, პრაქტიკულად კი კონკრეტული და რეალური საფრთხისგან თავის დასაცავად, განაპირობებდა მის წევრთა რაოდენობის ზრდასა და შემცირებას. ყველაფერი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ კიდევ რამდენ ქვეყანას დაემუქრებოდა საფრთხე. ცხადია, თეორიულად არც ის იყო გამორიცხული, რომ ამა თუ იმ წევრს სახელმწიფოს რომელიღაც მომენტში დამოუკიდებლად ეგრძნო თავი დაცულად და ალიანსიდან გამოსულიყო. ასეთი რამ იმ უბრალო მიზეზის გამო არ მოხდა, რომ მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნამ “თავშეკავებული” კი გახადა საბჭოთა კავშირი უშუალოდ წევრ-სახელმწიფოებთან მიმართებაში, მაგრამ სხვა მიმართულებით ექსპანსიაზე

მას ხელი არ აუღია. ამიტომაც ნატოს გაფართოების ქრონიკები უნიკალური პოლიტიკური ბარომეტრი და კომპასია ერთდროულად, რომელიც უტყუარად მიგვანიშნებს საბჭოური ექსპანსიის გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, სამხედრო ვექტორებზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ადვილი ასახსნელია, თუ რატომ გახდნენ პირველი შევსების “დოქტორანტები” 1952 წელს თურქეთი და საბერძნეთი. თურქეთს ჯერ კიდევ მაშინ დაადგა თვალი მეფის რუსეთმა, როდესაც ეს ქვეყანა ოტომანთა იმპერიას წარმოადგენდა. ბევრი რამ არც საბჭოთა საგარეო-პოლიტიკურ დოქტრინაში შეცვლილა, მით უმეტეს, რომ, მოსკოვის აზრით, არსებობდა ფორმალური საბაბი – ომის წლებში თურქეთი აშკარად თანაუგრძნობდა ბერლინს (თუმცა ომში არ ჩაბმულა). რაც შეეხება საბერძნეთს, აქ მზად იყო მოსკოვში შედგენილი სამოქალაქო ომის სცენარი. როდესაც დღეს ვსვამთ კითხვას ამ ქვეყნების გაწევრიანების პერიოდში იქ არსებული დემოკრატიის ხარისხზე (სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი არჩევნები, ადამიანის უფლებები და ა.შ.), ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა და იმ პერიოდში პრიორიტეტული ამოცანა საბჭოთა კავშირის ექსპანსიის შეკავება იყო. დღეს კი, როდესაც განსხვავებული გამოწვევის წინაშე დგას ნატო, გარკვეული ტრანსფორმაცია (თუმცა არა პრინციპული) განიცადა გაწევრიანების კრიტერიუმებმაც. პოლიტიკური, სტრატეგიული თუ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ალიანსში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიღებას (1955წ.). ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც დაუნდობელი და უსიტყვო კაპიტულაციით დამთავრებული ომიდან, სულ რაღაც ათი წლის შემდეგ, გამარჯვებულებმა თავიანთ რიგებში სრულუფლებიან წევრად მიიწვიეს დამარცხებული. სწორედ ამ გადაწყვეტილებით მოელო ბოლო ერთხელ და სამუდამოდ “შიდა ევროპული” ომების საშიშროებას. სულ სხვა პოლიტიკური ლანდშაფტის პირობებში შედგა ესპანეთის გაწევრიანება (1982წ.). აქ უკვე სახეზე იყო ქვეყნის ფართომასშტაბიანი დემოკრატიზაციის პირველი, პრინციპული

ხასიათის შედეგები. უკან იყო მოტოვებული “ცივი ომი”, ხოლო მისი მთავარი ინიციატორი და ფიგურანტი – საბჭოთა კავშირი – არსებობის ბოლო წლებს ითვლიდა. ნატოს პირველი გაფართოება “ცივი ომის” შემდგომ პერიოდში პრინციპული ხასიათის იყო – მან ცხადყო თვისობრივად ახალი საერთაშორისო გარემოებები. ნატო კვლავ სჭირდება დემოკრატიას. ანალოგიური მოტივაციით შედგა 1999 წელს მორიგი გაფართოება, როდესაც ალიანსმა სიმბოლურად გადაკვეთა “წითელი ხაზი” და მოსკოვის სამი სატელიტი ქვეყანა – უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი – მიიღო თავის რიგებში. შემდეგ უკვე იყო ისტორიული 2004 წელი ყველაზე

ფართოდ გაღებული კარით, როდესაც მას 7 წევრი შეემატა ერთდროულად: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვენია, სლოვაკეთი და რუმინეთი. ვაშინგტონის ხელშეკრულებამ არა მხოლოდ ზღვარი დაუდო კომუნისტურ ექსპანსიას ევროპაში, არამედ კონტინენტის წამყვან სახელმწიფოთა დაახლოებაც დააჩქარა. ქვეყნები, რომელნიც განუწყვეტლივ ეომებოდნენ ერთმანეთს წარსულში, უკვე გაერთიანებული ძალით იცავდნენ საერთო უსაფრთხოებას. გარდა ამისა, შეიქმნა საერთო თავდაცვითი სივრცე ევროპასა და ამერიკას შორის მყარი ტრანსატლანტიკური კავშირით. ბუნებრივია, რომ ნებისმიერი პატარა ქვეყნისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიმზიდველი დიდ და ძლიერ ქვეყნებთან კავშირი, როდესაც მას უმცროსი პარტნიორის ხვედრი არ ელის. იმავე ნატოში ერთ ჭერქვეშ თანამშრომლობენ თანამედროვე მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის რუკაზე ძნელად საპოვნინ ერთი ციციქნა ლუქსემბურგი, რომელსაც ზუსტად ისეთივე უფლებები აქვს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც ძღვევამოსილ ვაშინგტონს. სწორედ გადაწყვეტილების მიღებისას თანასწორუფლებიანობამ განისაზღვრა ნატოს ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად. როდესაც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია კონსენსუსის რეჟიმში, ყველასათვის ერთნაირადაა

აუცილებელი დასავალდებულო შეთანხმებული და მოწონებული საკითხების ცხოვრებაში გატარება.

იმავე „ცივი ომის“ წლებში ევროპის (და ზოგადად მთელი მსოფლიოს) მასშტაბით ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი – ნატო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია – იდგა ბარიკადის ორ მხარეს. ერთი დღემოკლე აღმოჩნდა და ბევრს აღარც ახსოვს მისი არსებობა, მეორე სულ უფრო ძლიერდება და მიმზიდველი ხდება. რატომ გადაჰყვა საბჭოთა კავშირს ვარშავის ორგანიზაცია? ფორმალურად ხომ მისი წევრებიც სუვერენული სახელმწიფოები იყვნენ და თეორიულად საბჭოთა კავშირის გარეშეც შეეძლო ორგანიზაციას არსებობა? კრახის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ვარშავის ორგანიზაციის პოლიტიკურ-სამხედრო ანატომია იყო; ხისტ დისციპლინაზე კონსტრუირებული ორგანიზაცია საფუძველშივე გამორიცხავდა თავისუფალ აზრს, დისკუსიას, კონსენსუსის ძიებას. გადაწყვეტილებას უმრავლესობა იღებდა ცხადია, მოსკოვის კარნახით. მთავარსარდალიც მუდამ რუსი გენერალი იყო. ერთი შეხედვით, ვარშავის ორგანიზაცია ნატოზე მძლავრ სამხედრო ძალადაც კი გამოიყურებოდა, მაგრამ სიმტკიცეზე პირველივე სერიოზული გამოცდა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა – ყველამ დიდი სიამოვნებით მიატოვა, როგორც კი ამის რეალური შანსი გაჩნდა. რაც შეეხება ნატოს, მან არა ერთ შინაგან უთანხმოებასა და კრიზისსაც კი გაუძლო. მაგალითად, როდესაც დე გოლმა 1966 წელს ალიანსის სამხედრო ორგანიზაციიდან გამოიყვანა საფრანგეთი და შტაბ-ბინაც პარიზიდან ბრიუსელში გადაიტანინა. საფრანგეთის პრეზიდენტის ხსენებული გადაწყვეტილების რეალური მოტივაცია ცალკე მსჯელობის თემაა. საყურადღებო ისაა, რომ ამერიკისადმი სპეციფიკური

(შეიძლება საფუძვლიანი) სკეპტიციზმით გამსჭვალული დე გოლიც კი არ აყენებდა ეჭვის ქვეშ არც ნატოს საბაზო პრინციპთა დემოკრატიულ არსს და არც მისი არსებობის საჭიროებას. უბრალოდ, მას საკუთარი ხედვა ჰქონდა ერთიან ევროპასა და მის შეიარაღებულ ძალებზე. მიუხედავად ნატოს ფუნქციონირების ისეთი პრინციპებისა როგორცაა კონსენსუსი,

წვერთა სრული სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და თანასწორუფლებიანობა, საიდუმლოს არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების როლი და გავლენა ორგანიზაციაში. გადაჭარბებული არც იმის თქმა იქნება, რომ ის ზნეობრივი, მორალური პოსტულატები, რომლებსაც ტრადიციულად ეყრდნობა და რომლებიც ტრადიციულად განსაზღვრავენ ქვეყნის ეროვნულ ინტერესთა არსსა და თეზას, საფუძვლად დაედო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის არსებობის აუცილებლობასა და წარმატებას. ორი სიტყვით, ესაა მორალურიპრინციპები. ამერიკული დიპლომატიის აღიარებულ პატრიარქს, ჰენრი კისინჯერს, თავის ერთ-ერთ ნაშრომში ასეთი ციტატა მოჰყავს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს 1950 წლის ზესაიდუმლო დოკუმენტიდან: „თავისუფალი საზოგადოების დამარცხება, სადაც არ უნდა მოხდეს ეს, არის საყოველთაო ხასიათის დამარცხება. შოკი, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ჩეხოსლოვაკიის განადგურებით, გამოწვეული იყო არა იმით, რომ ჩეხოსლოვაკია მატერიალურად იყო მნიშვნელოვანი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. მატერიალური თვალსაზრისით მისი პოტენციური შესაძლებლობები უკვე საბჭოთა კავშირის განკარგულებაში იყო, მაგრამ, როდესაც განადგურდა ჩეხოსლოვაკიის მთელი საზოგადოებრივი სისტემა, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მატერიალურზე უფრო მტკივნეული აღმოჩნდა მორალურ ფასეულობათა სფეროში მიყენებული ზიანი“. ჩეხოსლოვაკიაში ზემოაღნიშნული კომუნისტური გადატრიალების ამგვარი ინტერპრეტაცია ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც შედგენილი იყო ძალზე ვიწრო წრისათვის, არ შეიძლება პროპაგანდისტური დანიშნულების ყოფილიყო.

რაც არ უნდა უზვეულოდ გამოიყურებოდეს დღევანდელი გადასახედიდან, ჯეფერსონისა და მისი თანამებრძოლების ღრმა რწმენით, სწორედ ამერიკელ ხალხსა და საზოგადოებას ევალებოდა თავისუფლების გზამკვლევ შუქურად ქცეულიყვნენ დანარჩენი კაცობრიობისათვის. სწორედ ეს ყოვლისმომცველი და ურყევი რწმენა განსაზღვრავდა

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ კურსს „ცივი ომის“ წლებში. „კრემლის გეგმებზე ჭეშმარიტად გამანადგურებელი პასუხი იქნება ჩვენი ფუძემდებელი ღირებულებების დამკვიდრება პრაქტიკაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე – საზღვარგარეთ“, – ვკითხულობთ ზემოსხენებულ საიდუმლო დოკუმენტში. როდესაც, XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, საგრძნობლად დაიძაბა საერთაშორისო ვითარება და მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პირველი ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები დაიწყო ჩრდილოეთ კორეის (საბჭოთა კავშირის სატელიტის) აგრესიით. უკვე ეჭვგარეშე იყო კომუნისტური ბანაკის სტრატეგიული ჩანაფიქრი – შეიარაღებული აგრესიით გლობალური შეტევა დაეწყო დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. თავის მხრივ, ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა გაააქტიურეს ძალისხმევა ერთობლივი სამხედრო სტრუქტურების გაძლიერების კუთხით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამერიკის სამხედრო კონტინგენტის როლი ევროპაში. დასავლელ ექსპერტთა ყველა მიუკერძოებელი ანალიზი ცალსახად ამტკიცებს, რომ სწორედ ამერიკის სამხედრო კონტინგენტი იქცა „ცივი ომის“ წლებში საბჭოთა აგრესიისაგან ევროპის მთავარ დამცველ ძალად. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მშვიდობიან პერიოდში უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე რჩებიან ამერიკელი ჯარისკაცები თვით მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ თვეებშიც კი. პრეზიდენტი რუზველტი დაბეჯითებით სთხოვდა ბრიტანეთის იმდროინდელ პრემიერს – ჩერჩილს: „ღვთის გულისათვის, გემუდარებით, ნუ მოითხოვთ ამერიკელი ჯარისკაცების ევროპაში დატოვებას ომის შემდეგ. მე არ შემიძლია ამის გააკეთება. მე ვერ გავაკეთებ ამას. ჩვენი ბიჭები უკლებლივ უნდა დაბრუნდნენ სახლებში“. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ზემოთ ნათქვამს – რა შთამბეჭდავი და უაღტერნატივო უნდა ყოფილიყო ომის შემდგომი პერიოდის ამერიკელ ლიდერთა მოტივაცია, რომ პრაქტიკულად უვადო რეჟიმში დაეტოვებინათ ევროპაში (და არა მარტო ევროპაში) ძლიერი და თანამედროვე შეიარაღებით (ყველა სახეობის!) აღჭურვილი სამხედრო კონტინგენტი. ხსენებული მოტივაციის

სათავე კი კომუნისტური აგრესიის შეუნიღბავი და ყოვლისმომცველი საფრთხე იყო.”

NATO საერთაშორისო ურთიერთობებში თანამედროვე ეტაპზე

“ცივი ომის“ პერიოდში ნატოს დანიშნულებასა და მიზანს განაპირობებდასაბჭოთა კავშირის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე. უკვე XXI საუკუნეში, როდესაც რეტროსპექტივში ვიხილავთ ნატოს შექმნის ობიექტურ მიზეზებსა და აუცილებლობას, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ, ერთი მხრივ, რამდენად რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა სისხლისაგან დაცვლილი, ომგამოვლილი ევროპის დასუსტებული დემოკრატია, ხოლო, მეორე მხრივ, კი—რამდენად ყოვლისმომცველი იყო ამერიკის საზოგადოებისათვის დემოკრატიული ღირებულებები (მიუხედავად გეოგრაფიული ფაქტორისა) თუკი ქვეყანა, პირველად თავის ისტორიაში, სხვა კონტინენტზე „სტატუს-კოს“ შესანარჩუნებლად (თანაც მშვიდობიან პერიოდში), ფართომასშტაბიან და გრძელვადიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე წავიდა. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამერიკაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო “ვილსონიანიზმი“ ძალთა თანაფარდობის თვით იდეის კატეგორიული უარყოფით. ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრმა ცვლილებამ ნატოს სამხედრო სტრატეგიის მოდერნიზაციის საკითხი დააყენა. ახალ სტრატეგიულ კონცეფციაზე მუშაობა ბერლინის კედლის დაცემისთანავე დაიწყო და ორი წელი გრძელდებოდა. თავისი წინამორბედებისაგან ახალი კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ, თუ ადრე მთავარი აქცენტი პირისპირ დგომასა და კონფრონტაციაზე იყო გადატანილი, ახალ კონცეფციას წითელ ხაზად გასდევს ყოფილ მოწინააღმდეგეებთან დიალოგისა და თანამშრომლობის აუცილებლობა. რასაკვირველია, ნატოს მთავარ ამოცანად კვლავინდებურადაა აღიარებული ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის წევრ-სახელმწიფოთა უსაფრთხოების დაცვა, მაგრამ, ამასთანავე, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ზონად უკვე მთელი ევროპაა აღიარებული. ახალი კონცეფცია გაცილებით უფრო მეტად იყო გახსნილი ჟურნალისტებისა და მთელი საზოგადოებისათვის

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის გაუქმებასა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ე.ი. ტრადიციული მოწინააღმდეგის არარსებობის პირობებში, ზოგიერთი ექსპერტი (თვით დასავლეთშიც კი) უკვე ზედმეტად მიიჩნევდა ნატოს არსებობას. ამ პერიოდში ალიანსის ბევრმა წევრმა-სახელმწიფომ მკვეთრად შეამცირა საკუთარი სამხედრო ხარჯები უპრობლემო, უკონფლიქტო და უსაფრთხო მომავლის მოლოდინში. სამწუხაროდ, დიდი დრო არ დასჭირდა ილუზიის გაქრობას. თუმცა სამხედრო ინტერვენციის საფრთხე უკვე გაქრა, მაგრამ საგრძნობლად იმატა არასტაბილურობამ ევროპის მთელ რიგ რეგიონებში. იუგოსლავიის მოვლენებს დაერთო გარეშე ძალების მიერ პროვოცირებული და ხელოვნურად გაღვივებული სისხლიანი კონფლიქტები ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. მასობრივი ხასიათი მიიღო ეთნიკურმა წმენდამაც. ალიანსის წევრის ხელმწიფოებიმალე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნატო კვლავ რჩებოდა მათი კოლექტიური უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მთავარ გარანტად.

1997 წელს კვლავ გადაისინჯა და განახლდა 1991 წლის კონცეფცია ევროპაში მომხდარ ცვლილებათა და სიახლეთა შესატყვისად. ამ დროისათვის უკვე სახეზე იყო პირველი დადებითი შედეგები 1994 წლის ფართომასშტაბიანი ინიციატივისა საერთო სახელწოდებით— „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ხსენებული ინიციატივის ბაზაზე შედგენილი პროგრამის მიზანია (ცხადია, სხვა მომენტებთან ერთად) ეროვნული არმიების რეფორმირებაში დაეხმაროს ორგანიზაციის არაწევრ ქვეყნებს, რათა მათ შესძლონ სამომავლოდ მონაწილეობა მიიღონ სამშვიდობო ოპერაციებში ნატოს ეგიდით. ბუნებრივია, რომ პროგრამა განსაკუთრებულ ადგილს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას უთმობს. იგი ითვალისწინებს თითოეული ქვეყნის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებსა და თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა სამხედრო საქმიანობის სფეროში სრული გამჭვირვალობა და დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ალიანსის ფუნქციათა გაფართოებას, კრიზისების დარეგულირებას, იძულებითი მშვიდობისა და, საერთოდ, სამშვიდობო ოპერაციებს. აღიარებს რა მშვიდობიან მოლაპარაკებათა და პოლიტიკური დიალოგის პრიმატს, ნატო არ გამორიცხავს (და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს კიდევ) მშვიდობიანი ძალისხმევის შევსებას სამხედრო ოპერაციებით. როგორც წესი, ეს ხდება მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ჰუმანიტარულ კატასტროფებს, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში. სამწუხაროდ, ეთნიკური წმენდის შედეგთა ლიკვიდაცია მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით უიშვიათესი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. სწორედ უკანასკნელი ფაქტი გაითვალისწინა ნატოს ხელმძღვანელობამ, როდესაც ძალის გამოყენებით აღკვეთა ეთნიკური წმენდის შედეგთა დაკანონების ცდა კოსოვოში. ხსენებული პრობლემის აქტუალობითაა განპირობებული ნატოს როლის ზრდა კრიზისებისა და ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირების სფეროში. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ორგანიზაციის წინაშე ადრე მდგომი არც ერთი ამოცანა არ საჭიროებდა ისეთ ერთსულოვნებასა და პოლიტიკურ ნებას, როგორსაც საჭიროებს კონფლიქტურ რეგიონებში შეიარაღებული ძალების გაგზავნა და შეიარაღებული ჩარევა ჰუმანიტარულ კატასტროფათა თავიდან ასაცილებლად. ნატომ შეძლო ამის გაკეთება. პირველი სერიოზული საბრძოლო ოპერაცია, რომელიც ნატოს ეგიდითა და ძალებით ჩატარდა მშვიდობის აღსადგენად, 1995 წელს იუგოსლავიის მოვლენების კრიზისულ პერიოდში განხორციელდა. ოპერაციამ სახელწოდებით „საგანგებო ძალები“ (ელიბერატე ორცე), შესაძლებელი გახადა ბოსნიის პრობლემის დარეგულირება პოლიტიკური შეთანხმებით. იმავე წლის ბოლოს, გაეროს მანდატით, ნატოს დაევალა სათავეში

ჩასდგომოდა მრავალეროვან შეიარაღებულ ძალებს, რათა უზრუნველყო შეთანხმების სამხედრო ასპექტთა რეალიზება. მალე კვლავ გაიზარდა ნატოს ფუნქცია: თუ პირველ ეტაპზე მას მხოლოდ გაეროს სამშვიდობო ძალისხმევათა მხარდაჭერა ევალებოდა, 90-იანი წლების დასასრულისათვის უკვე მის ფუნქციაში შედიოდა პარტნიორი ქვეყნების, ასევე არაწევრი ქვეყნების, სამხედრო ძალებთან ერთად მშვიდობის შენარჩუნების მრავალვექტორიანი ოპერაციების ხელმძღვანელობა; ბალკანეთში მთლიანად, და კონკრეტულად კოსოვოში, კუმანიტარული კატასტროფის შეჩერება. 840 ათასი ლტოლვილის საკუთარ სახლ-კარში დაბრუნება ცალკე თემაა, ამჯერად კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სწორედ ბალკანეთის მოვლენებმა დაამტკიცა ნატოს, როგორც მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის, შენარჩუნებისა და მისი თავდაპირველი ფუნქციის ტრანსფორმაციისა და გაფართოების ეფექტურობა. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივად გამოიყურება ნატოს პოპულარობის ზრდა როგორც ტოტალიტარული რეჟიმებისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში, ასევე „ცივი ომის“ წლებში ბლოკური პირისპირდგომის პერიოდებში. 1995 წელს ურთიერთთანხმობის საფუძველზე ნატო იწვეებს ე.წ. „ხმელთაშუა ზღვის დიალოგს“ რეგიონის ექვს ქვეყანასთან: ეგვიპტესთან, ისრაელთან, იორდანიასთან, მავრიტანიასთან, მაროკოსა და ტუნისთან. 2000 წელს ინიციატივას შეუერთდა ალჟირი. თუმცა ჯერ ნაადრევია შორეულ მიღწევებზე საუბარი, მაგრამ, პროგრამა რომ ხელს უწყობს ფეთქებად რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას, ეს ფაქტია. კანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი გადაჭყვეტილება მიიღო ალიანსმა როდესაც მის რიგებს შეემატა ალბანეთი და ხორვატია.

ნატო და სამხრეთ კავკასია

სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, განსაკუთრებით სამხრეთი კავკასია, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ევროატლანტიკური სივრცისათვის. ამ რეგიონის გავლით მიიღებს მსოფლიო ბაზარი კასპიის ენერგორესურსებს, ცენტრალური აზიის, მათ შორის, ავღანეთის და შორეული აღმოსავლეთის ბუნებრივ სიმდიდრეებთან, ადგილობრივ მუშახელთან და ბაზრებთან დაკავშირებულ უმოკლეს გზებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღიარებულია, რომ სამხრეთ კავკასია ფეთქებადსაშიში რეგიონია რაც კიდევაც დაამტკიცა რეგიონში 90-იანი წლების დასაწყისიდან მიმდინარე ეთნოკონფლიქტებმა და 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომმა. არასტაბილური კავკასია, პოტენციურად დიდ საშიშროებას წარმოადგენს არა მარტო რეგიონისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. დღეისათვის აშკარად იკვეთება იმის საფრთხეები, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი კვლავ შეიძლება გახდეს დიდი სახელმწიფოების საჯილდაო ქვა.

მას შემდეგ რაც კავკასიაში მდებარე სამმა სახელმწიფომ: საქართველომ სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, სამხრეთ კავკასია დასავლეთის სახელმწიფოების ინტერესებში მოექცა. მათი დაინტერესება ძირითადად განპირობებული იყო და არის რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობით. მათ ინტერესებში უპირველესად მოექცა ნავთობით მდიდარი კასპიისპირეთი და ამავე დროს სავაჭრო-სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც უმოკლესი გზით ევროპას აზიასთან აკავშირებს.

კავკასიაში საუკუნეების განმავლობაში მთავარმა პოლიტიკურმა მოთამაშემ და თითქმის უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მისმა მფლობელმა რუსეთმა, მტკივნეულად განიცადა რეგიონში მისი პოზიციების

შესუსტება და იმისათვის, რომ გავლენა შეენარჩუნებინა მიმართა სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხერხებს. რომელთა შორის თავისი აგრესიულობით გამოირჩევა ყოფილი მეტროპოლიის მიერ უკვე სუვერენულ ქვეყნებში გაჩაღებული და მართული ეთნოკონფლიქტები, რომლის მიმართაც ახლად ფესადგმული სახელმწიფოები უძღურნი აღმოჩნდნენ. ეს არც იყო გასაკვირი ვინაიდან ამ სახელმწიფოებს არავითარი სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება არ გააჩნდათ.

მოსახლეობის ეთნიკური რაოდენობის მიხედვით საკუთრივ საქართველოში ქართველები შეადგენდნენ მოსახლეობის 69%-ს, აზერბაიჯანელები აზერბაიჯანში 91%. სომხები სომხეთში 98%-ს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამივე მოკავშირე რესპუბლიკაში სოციალური საკითხები მეტ-ნაკლებად გადაწყვეტილი იყო. დამოუკიდებლობის წლებში კი სამხრეთ ამიერკავკასიაში მოსახლეობის ცხოვრების დონე გაუარესდა. სამივე სახელმწიფო დატოვა და უცხოეთში სამუშაოს საძებნად გაემურა 3,5 მლნ ადამიანი. რამაც ძალიან ცუდი ასახვა ჰპოვა რეგიონში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე.

დასავლეთის ინტერესების იმთავითვე გამოკვეთა მაშინვე იწვევდა რუსეთის გაღიზიანებას, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისისათვის მას არ გააჩნდა ის ძალა, რომ მკვეთრად და აშკარად გამოეკვეთა ის აგრესია რომელიც მან გამოამჟღავნა 2008 წლის აგვისტოში. როდესაც მოსკოვმა მთელი მსოფლიოს პროტესტის ფონზე მოახდინა საქართველოს ძირძველი ტერიტორიების ოკუპაცია.

სამხრეთ კავკასიის მიმართ თავისი დაინტერესება დამოუკიდებლობის პირველსავე წლებში გამოიჩინა საკუთრივ ევროპამაც, რომელმაც დიდი ეკონომიკური დახმარება გაუწია სამივე რესპუბლიკას მის წინაშე მდგომი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის. ევროპის ქვეყნები ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ ამ ქვეყნებში მიმდინარე სუსტი დემოკრატიული პროცესების მიმართ. ამის დასტური იყო, 1992 წელს საქართველოში ეუთო-ს მისიის გახსნა, 1999 წელს საქართველოს მიღება ევროსაბჭოს წევრად, ხოლო 2001 წლის იანვარში ამ ორგანიზაციის

წევრები გახდნენ სომხეთი და აზერბაიჯანი. სამხრეთ კავკასიაში გააქტიურება დაიწყო ჩრდილოატლანტიკურმა სამხედრო-პოლიტიკურმა პაქტმა(ნატო), რომელმაც რეგიონში თავისი პროექტების გატარება დაიწყო. 1994 წლიდან ნატოს პროგრამის “პარტნიორობა მშვიდობისათვის” აქტიური წევრები არიან აზერბაიჯანი და საქართველო, ხოლო 2000 წლიდან სომხეთი.

დასავლეთის განწყობა მხარი დაეჭირათ კავკასიაში მიმდინარე პროცესებისადმი კარგად გამოიყენეს სომხეთმა და საქართველომ. სომხეთს 1992-2003 წლებში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ 1,3 მილიარდი დახმარება გამოუყო. საქართველომ კი 1992-2001 წლებში 986 მილიონი დოლარის დახმარება, გარდა ამისა დამატებით 334 მილიონი დოლარის ჰუმანიტარული. სამწუხაროდ ამ ქვეყნების მმართველმა წრეებმა აღნიშნული დახმარება მხოლოდ საკუთარი პირადი ინტერესებისათვის გამოიყენეს რის შედეგადაც ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას ბევრი არაფერი დატყობია. განსაკუთრებით საშიშროებას წარმოადგენდა ის, რომ მმართველ ფენას სამივე რესპუბლიკაში წარმოადგენდა ყოფილი კომუნისტური ნომეკლატურა, რომელსაც საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ სათავისოდ ესმოდა და იგნორირებას უკეთებდა სახელმწიფო ინტერესებს.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ქართული პოლიტიკური ელიტის აკვიატებული აზრი რუსეთის ნეოიმპერიალისტური ზრახვების შესახებ, რამაც შეუშალა ხელი ქვეყანას, გამოეძებნა შიდაპრობლემებისადმი რელისტური მიდგომა. ოლიტიკური იტებლიშმენტის მიერ შიდა ბრძოლებში და სამოქალაქო დაპირისპირებაში დაკარგული იქნა ძვირფასი დრო, სახელდობრ, როდესაც რუსეთი დასუსტებული იყო და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეეძლო მსოფლიო პოლიტიკური თეატრის სცენაზე აგრესიული პოლიტიკის წარმოება. რაეალურად ამ დროისათვის ქართული პოლიტიკური სინამდვილე შიდა პოლიტიკურ ბრძოლებში ჩაიძირა და მასში მოწინააღმდეგეზე გასამარჯვებლად დამხმარე ძალად რუსეთს უხმობდა.

რუსეთის პოლიტიკაში 1993 წლიდან აშკარად გამოიკვეთა კავკასიისადმი მისი დამოკიდებულება. აცხადებდა რამ მას თავისი ინტერესების და გავლენის სფეროდ, იგი ცდილობდა სრულიად აღეკვეთა საერთაშორისო დამკვირვებელთა ყოფნა რეგიონში ან დაერწმუნებინა ისინი, რომ რუსეთის გარეშე სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის დამყარება შეუძლებელია.

მოსკოვი კარგად აცნობიერებდა სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობას მისთვის და აძლიერებდა ამ ქვეყნების მთავრობებზე თავის ზეწოლას. რუსეთი მიიხნევედა, რომ რეგიონში ხორციელდებოდა ამერიკის სახელმწიფო მდინის მადლენ ოლბრაიტის პროგრამა, რომელიც მათი აზრით ითვალისწინებდა რუსეთის მოქცევას იზოლაციაში და კასპიის ნავთობის გატანას მის გარეშე საერთაშორისო ბაზარზე. იგრძნეს რა საშიშროება რუსეთის მხრიდან მოსკოვის პოლიტიკურ სამზარეულოს კარგად მცოდნე პოლიტიკოსებმა აღიევმა და შევარდნაძემ დასავლეთს შესთავაზეს კარგად გააზრებული კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების გეგმა, რომელიც ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად მოაგვარებდა რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს. დიდი ბრძოლის შემდეგ ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი რეალურად იქცა. ეს იყო ფაქტობრივად დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური გამარჯვება იმ აზრით, რომ რუსეთს იმ დროისათვის რეგიონში გააჩნდა სამხედრო ბაზები. მათ შორის საქართველოში ოთხი: ბათუმში, ახალქალაქში, გუდაუთაში და ვაზიანში. ასევე იყო აზერბაიჯანშიც. დასავლეთის ზეწოლის შედეგად, 1999 წლის სტამბოლის სამიტზე მიღებული ვალდებულებების შესაბამისად რუსეთს უნდა გაეყვანა თავის ბაზები საქართველოდან. რომლის შესრულებასაც არაფერი უკლდა, რომ არა 2008 წლის აგვისტოს საბედისწეო ომი. რომლის შემდეგაც ვითარება რეგიონში ვითარება კვლავ დაიძაბა. მოსკოვმა მოუგო რა დასავლეთს პოლიტიკური ნიში კოსოვოსათვის, მის ჯიბრზე აღიარა ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა რის შემდეგაც აფხაზეთში დაიწყო ახალი სამხედრო-სახდვაო ბაზების მშენებლობა. საქართველოს ხელისუფლების

მცდელობამ ნატოში შეყვანით ქვეყანა გადაერჩინა რუსეთის მოსალოდნელი აგრესიისაგან ჯერჯერობით უშედეგო გამოდგა.

ამრიგად თუ გაუუკეთებთ ერთგვარ შეჯამებას ჩვენს ზემოდ აღნიშნულ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ერთი რამ უდავოდ იკვეთება, კერძოდ ის, რომ რუსეთი ამ რეგიონში მდებარე სახელმწიფოებს განიხილავს, როგორც მის გავლენის სფეროებში მყოფს და მათ ახლო საზღვარგარეთს უწოდებს. მათ აღიქვამს, როგორც სარტყელს თავის ირგვლივ და ამ სივრცეზე თავის კონტროლის შენარჩუნებას ცდილობს. უფრო მეტიც, იგი არ აპირებს კავკასიის უბრძოლველად დატოვებას.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ რუსეთი ისეთსავე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობა. ხალხი გრძნობდა, რომ უსაფრთხოება დაცული არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ლიდერები რუსეთის დემოკრატიზაციისა და მშვიდობიანი განვითარების ლოზუნგს აჟღერებდნენ, ხალხი უცხო სადმი უნდობლობით განიმსჭვალა, რადგან ქვეყნის შიგნით უნიათო მმართველს ხედავდნენ, უცხოს კი სიტყვაზე ვერ ენდობოდნენ. ამ უნდობლობის რესურსზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ისეთი ძალის მოსვლა ხელისუფლებაში, რომელიც ხალხს ძლიერ ხელს აჩვენებდა და უკეთეს უსაფრთხოებას მისცემდა. ელცინის ხელში რუსეთმა მხოლოდ იმიტომ გაძლო, რომ რამდენიმე წელი ასეთი მოცულობის ძვრებისათვის დრო არაა, რუსეთი კი ძალიან დიდი ქვეყანაა და მისი ზღვარგადასული დასუსტებისა ყველას ეშინოდა. მსოფლიოს სახელმწიფო ლიდერები ამას ხმამაღლა აცხადებდნენ კიდევ და ბევრ ფულსაც ხარჯავდნენ იმისათვის, რომ რუსეთის რესურსები უმართავი არ გამხდარიყო. პუტინმა მოახერხა, რომ ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა, მაგრამ რუსეთის განვითარებას რამდენიმე ძირითადი მიზეზი მაინც აფერხებს. ესენია: 1. დემოგრაფიული დინამიკა; 2. საერთაშორისო რეჟიმებში არასაკმარისი ინტეგრაცია; 3. ეთნიკური კონფლიქტები. რუსეთი ასე თუ ისე მაინც უმკლავდება ამ პრობლემებს, მაგრამ იმ სიტუაციაში, როდესაც

ნატოსა და რუსეთს შორის სრულ ურთიერთნდობაზე ლაპარაკი არ გვიწევს, საქართველოს ნატოში ინტეგრაციას მოსკოვი ძალიან მტკივნეულად აღიქვამს. რუსეთს ეშინია, რომ ნატომ მომავალში აშშ აქტივისტური საგარეო პოლიტიკის სტილში არ იმოქმედოს. ესეც არ იყოს, ნატო დიდი მანქანაა, რომელიც დასავლეთს ხმამაღლა ლაპარაკის საშუალებას აძლევს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და ამიტომ რუსეთი ფიქრობს, რამდენად მისაღებია მისთვის ასეთი მანქანის კიდევ უფრო გაძლიერება. მართალია, დემოკრატიული რუსეთის ნატოში ინტეგრაცია ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, მაგრამ დღევანდელ რუსეთს ნატო თავად არ მიიღებს, გარდაქმნა კი რუსეთისთვის ძალიან დიდ ცვლილებებს უკავშირდება, თანაც ისეთს, დღევანდელი რუსეთისთვის თავადვე რომ შეიცავენ უსაფრთხოების რისკებს. ამიტომ რუსეთიც და ევროპაც იძულებულნი არიან, რომ შორიანხლოს დაიჭირონ თავი ერთმანეთისგან. კავკასია ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთისთვის. კავკასია ნატოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ რუსეთისთვის ეს რეგიონი სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს. საქართველოს ნატოში შესვლის შემთხვევაში რუსეთს შეეშინდება არამარტო იმისა, რომ კონტროლს დაკარგავს შავ ზღვაზე, არამედ იმისაც, რომ ნატოს მოსაზღვრეობა უარყოფითად აისახება მის შიდა უსაფრთხოებაზე და ეთნო-კონფლიქტებზე. რუსეთს შეეშინდება, რომ თუ ნატო ძალიან ახლოს მოუშვავ, მაშინ არათუ შავ ზღვას და კავკასიას, არამედ – კასპიის ზღვასაც დაკარგავს თავისი ენერგორესურსებიანად. შესაბამისად დაკარგავს კონტროლს კასპიის გადაღმა სახელმწიფოებზე და პოლიტიკის ცენტრი აღმოსავლეთით გადაუნაცვლდება, სადაც ასევე ძალიან არასახარბიელო სიტუაცია დახვდება მზარდი ჩინეთისა და ინდოეთის სახით. ეს შეხედულება რუსეთში განსაკუთრებით მძაფრი გახდა მას შემდეგ, რაც აშშ ხელისუფლებაში რესპუბლიკელები მოვიდნენ. ასეა თუ ისე, კავკასიისა და კასპიის ზღვის გარეშე რუსეთი აზიური სახელმწიფოა. შეიძლება ძალიან რადიკალურად ჟღერს, მაგრამ ეს სცენარი ასე გამოიყურება და თანაც, რუსეთში მისი რეალურობისა ძალიან ბევრს

სჯერა. ესეც არ იყოს, რამდენიც უნდა ამტკიცონ მსოფლიო ლიდერებმა, რომ ისინი რუსეთის დაშლას არ დაუშვებენ, რუსეთისათვის სხვების მიერ ბოძებული უსაფრთხოება, სულ მცირე, შეურაცხყოფელი იქნება. მაგრამ შეურაცხყოფის გარდა ეს იქნება აბსურდი, რადგან ხალხი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას უცხოს ვერ მიანდობს. ასეა თუ ისე, ზემოთქმული ნიშნავს, რომ რუსეთს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ სახელმწიფოს დედამიწის ზურგზე, სჭირდება უსაფრთხოების გარანტიები და მათ მოსაპოვებლად იბრძვის. რამდენადაც რაციონალური იქნება გარემოს პასუხი რუსეთის ლეგიტიმურ ინტერესებზე, იმდენად პროგნოზირებადი და მშვიდობიანი იქნება პროცესები ზოგადად. კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ კავკასია რუსეთისათვის აბსოლუტურად გადამწყვეტია. კავკასიის დაკარგვა რუსეთისთვის ნიშნავს, რომ ისეთი საყრდენი დაკარგა, რაც მის უეჭველ დასუსტებას და საბოლოო დაშლას გამოიწვევს. ფიგურალურად რომ ვთქვათ, სანამ რუსეთი თავად არ შეუერთდება ნატოს, ხსენებული შიში მუდმივად იარსებებს. რაც შეეხება ნატოს, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება საქართველოს წევრად მიღებას, თუ ეცოდინება, რომ ასეთი ნაბიჯი ევროპას დამატებით პრობლემებს არ შეუქმნის. ცხადია, ნატო-სა და რუსეთს შორის პირდაპირი რუსეთს სჭირდება უსაფრთხოების გარანტიები და მათ მოსაპოვებლად იბრძვის.

ემუქრება თუ არა კავკასიას ცივილიზაციათა შეჯახების საფრთხე?

XX საუკუნის 90-იანი წლები მსოფლიოში გამორჩილად უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ცვლილებებით. არსებობდა დამთავრა კაცობრიობის ისტორიაში კიდევ ერთმა იმპერიამ, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელწოდებით იყო ცნობილი. იგი უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა როგორც პოლიტიკური სტრუქტურით, ისე სოციალურ-ეკონომიკური წყობით. კავკასიის რეგიონი, სამი მოკავშირე რესპუბლიკით: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი შედიოდა 70 წლის მანძილზე რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის-საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სოციალ-ეკონომიკური განვითარების მხრივ სამივე მათგანმა დიდ წარმატებებს მიაღწია.

როგორც ცნობილია კავკასიის რეგიონისათვის ბრძოლა რუსეთმა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაიწყო, რომელიც წარმატებით დაამთავრა XIX საუკუნეში. ამით მან უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ფორპოსტი მოიპოვა ახლო და შუა აღმოსავლეთში მისი შემდგომი წინსვლისათვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კავკასია მრავალეროვნული რეგიონია, სადაც ცხოვრობს 50-ზე მეტი ერი და ეროვნება. ისინი სხვადასხვა რელიგიურ კონფესიათა მატარებლები არიან. რუსეთის იმპერიამ ცეცხლითა და მახვილით შეძლო აღნიშნულ რეგიონში სიტუაციის მეტ-ნაკლები დარეგულირება და გაჩნდა გეოპოლიტიკური ტერმინი “ზაკავკაზიე”. რუსეთის იმპერიაში მიმხდარი პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს კავკასიის სამივე სახელმწიფომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ეს დამოუკიდებლობა განპირობებული იყო იმ დროისათვის მსოფლიოს მიმდინარე პოლიტიკურ-ტერიტორიული გადანაწილებით. მაღე თვისობრივი ცვლილებები მოხდა კავკასიის გეოპოლიტიკურ არაეალში. რის შედეგადაც სამივე რესპუბლიკამ დაკარგა დამოუკიდებლობა და

სახელმწიფოებრიობის ბუტაფორიის სტატუსით შეიყვანეს მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რომელშიც როგორც აღვნიშნეთ ისტორიული განვითარების გარკვეული საფეხური განვლეს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა ახალი ტერმინი სამხრეთ კავკასია, რომელშიც მოიაზრება რუსეთისაგან დამოუკიდებლად არსებულ ქვეყნებს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. თავის მხრივ დასავლეთი დაინტერესებული იყო კავკასიისადმი ორი ფაქტორის გამო: 1. ნავთობი. 2. ტრანსკავკასიური დერეფანი. დასავლეთის ეს განწყობა კარგად გამოიყენა საქართველომ(საქართველომ 1992-2001 წლებში აშშ-საგან 986 მილიონი დახმარება მიიღო, გარდა ამისა 334 მლნ. დოლარის ჰუმანიტარული დახმარება) და აზერბაიჯანმა. მათ დაიწვეს პროდასავლური კურსისი გატარება. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრეზიდენტების ჰ. ალიევისა და ე. შევარდნაძის შეთანხმებული შორეულ მომავალზე გათვლილი პოლიტიკა. რის შედეგადაც რეგიონმა მიიღო უდიდესი მნიშვნელობის მქონე ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიაში დღეს არსებული მდგომარეობა, აქედან გამომდინარე დასმული კითხვა და არის თუ არა კავკასია ცივილიზაციათა შეჯახებების ზღვარზე? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა ღრმად გაანალიზდეს ამჟამად არსებული მდგომარეობა და გაკეთდეს მაქსიმალურად სწორი დასკვნები.

ცივილიზაციათა ისტორიის უდიდესი მკვლევარი სემუელ ჰანთინგტონი აღნიშნავს, რომ მომავალში მსოფლიოში კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი საზღვრები არც იდეოლოგია და არც ეკონომიკა არ იქნება, არამედ კონფლიქტების უპირატესი წყაროები უპირველესად კულტურით განისაზღვრება. ერი-სახელმწიფო მთავარ მოქმედ პირად დარჩება საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ გლობალური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტები გაიშლება ერებსა და ჯგუფებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციებს ეკუთვნიან. ცივილიზაციათა

შეჯახება მსოფლიო პოლიტიკის დომინირებადი გახდება. ცივილიზაციებს შორის ტეხილი სწორედ ესაა მომავალი ფრონტების ხაზი.(2-7)

უნდა აღინიშნოს ის, რომ ჰანტინგტონის თვალთ დანახული მსოფლიო მეტად სახიფათოა. თუმცა უდავოა ისიც, რომ მსოფლიო ცივილიზაცია მეცნიერთა აზრით ეს არის მთლიანობა, სისტემა, რომელთანაც სტრუქტურულ-ფუნქციონალურ კავშირშია რეგიონული, ლოკალური ცივილიზაციები.

კავკასიას, როგორც ასეთს გაჩნია ცივილიზაციის თავისებურებანი. კერძოდ, პირველ რიგში იგი თავისი ხასიათით ლოკალურია. ეს ის შემთხვევაა, როცა ლოკალურობა უნივერსალიზმის შესანიშნავი შემადგენელი ნაწილია. რაც იმით არის გამოწვეული, რომ აქ არსებულს იდეოლოგიურად ერთი მხრივ ქრისტიანობა განაპირობებდა, ხოლო მეორეს მხრივ ისლამი. ორივე მათგანმა უდიდესი როლი შეასრულა, როგორც მთელ მსოფლიოში ისე კავკასიაში. ცივილიზაციის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქრისტიანული კულტურის შექმნა, რომელიც შუა საუკუნეებში გადაიზარდა რენესანსში.

პარალელურად კავკასიის რეგიონში ვითარდებოდა ისლამური კულტურა, რომელიც ფაქტობრივად არაბულ-ისლამური ცივილიზაცია იყო, რომელმაც წინარენესანსული შეფერილობა მიეცა შუა საუკუნეებს.

XX საუკუნეში განვითარებულმა პროცესებმა კერძოდ, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ “სამმა მსოფლიო ომმა” განსაკუთრებით გლობალიზაციის პროცესმა, რომელიც ერთი შეხედვით თითქოსდა წალეკვით ემუქრება, ლოკალურ ცივილიზაციებს უდიდესი კვალი დააჩინა მსოფლიო ცივილიზაციათა განვითარებას და მათ შორის კავკასიურსაც, რომელიც მართალია თავისი არსით ლოკალურია, მაგრამ საერთო ევრაზიულის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. ფაქტობრივად აღიარებენ, რომ XXI ს-ში მიმდინარეობს ჩვენ ვიტყვოდით ცივილიზაციათა პოლიტიზაციის პროცესი. რა გვაძლევს ამის თქმის საშუალებას?

1. უდავოა, რომ დასავლეთის (ევროატლანტიკური) ცივილიზაცია დაუპირისპირდა აღმოსავლურს. 2. მიმდინარეობს ცივილიზაციათა

შემდგომი ერთმანეთის მიმართ გაუცხოების პროცესი, რომელიც შეიძლება კატასტროფულის კი იყოს და დაღუპოს მთელი ცივილიზაცია. ამდენად ძალზე საგულისხმოა კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესების ამ ჭრილიში განხილვა

ჩვენის აზრით ძალზე საინტერესოა ჰანთინგტონის დაკვირვება ბალკანეთსა და კავკასიის რეგიონში მიმდინარე რელიგიურ-პოლიტიკური პროცესებისადმი და მასში რუსეთის როლზე. იგი წერს: „ისლამური რეგიონის ჩრდილოეთ საზღვრებზე კონფლიქტი იშლება უმთავრესად მართლმადიდებელ და მუსლიმ მოსახლეობას შორის. აქ უნდა გავიხსენოთ ხოცვა-ჟლეტა ბოსნიასა და სარაევოში, განუწყვეტელი ბრძოლა სერბებსა და ალბანელებს შორის, შეტაკებები ოსებსა და ინგუშებს შორის, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, კონფლიქტი რუსებსა და მუსლიმებს შორის აზიაში. რუსეთის ჯარების განლაგებაზეც აზიასა და კავკასიაში რუსეთის ინტერესების დაცვის მიზნით. რელიგია აღრმავებს აღორძინებად ეთნიკურ თვითიდენტიფიკაციას, ყოველივე ეს კი აძლიერებს რუსების შიშს სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოების თაობაზე“. აქედან გამომდინარე ნამდვილად უნიკალურია საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, სადაც ეთნოკონფლიქტები არ მიმდინარეობს რელიგიურ ნიაგადზე და არც ის შეიძლება ვთქვათ, რომ აქ არსებული მდგომარეობა ცივილიზაციათა შეჯახების შედეგი იყოს. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე ვინაიდან სამხრეთ კავკასია ნაწილობრივ წარმოადგენს ფაქტობრივად ბუფერულ ზონას-სამხრეთ ისლამურ და ჩრდილო კავკასიურ მუსლიმანურ ცივილიზაციებს შორის(რა თქმა უნდა მხედველობაში არ გვაქვს ისლამური ცივილიზაციის ხელოვნური დაყოფა, ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ტერიტორიალურ პრინციპზე).

კავკასიური ცივილიზაცია დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა მონაპოვრების შერწყმას ახდენდა ერთიანობაში თუმცა უნდა აღინიშნოს რომ იგი ძირითადად დასავლური ღირებულებების მიმდევარი იყო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქრისტიანული და ისლამური ცივილიზაციები

უფრო ადრე დაუახლოვდნენ ერთმანეთს კავკასიაში, ვიდრე ევროპაში. ამდენად ცივილიზაციათა შორის ამ რეგიონში დაპირისპირებებს ადგილი არ ჰქონია და ვფიქრობთ არც მომავლისათვის გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, ვინაიდან პრაქტიკულად ამის საფუძველი არ არსებობს. თუმცა სამივე სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ და გათვალონ ყველა მოსალოდნელი შესაძლო შედეგი.

ამრიგად კავკასია უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ცივილიზაციათა გადაკვეთის ადგილს და ამავე დროს თავისი ორიგინალობით და საკუთარი იდენტობით გამოირჩეოდა. თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის პროცესების დაჩქარების და ზრდის პერიოდში განსაკუთრებული აქტუალობას იძენს ცივილიზაციათა შემდგომი დაახლოების პროცესი რაც უცხო არასდროს არ ყოფილა კავკასიისათვის და მეტსაც ვიტყვით იგი იყო ფაქტობრივად გადამრჩენელი სამივე ქვეყნის სახელმწიფოებრიობის. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების განხილვა ყოველად წარმოუდგენელია საერთო კავკასიური პრობლემების გარეშე. ამ რეგიონში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური სიტუაცია 2008 წლის აგვისტოში მთელი მსოფლიოს განსჯის საგანი გახდა. განსაკუთრებით დიდი იყო დაინტერესება ევროკავშირის მხრიდან, რომელიც ექსპერტების მიხედვით მომავალში კიდევ უფრო მეტ დაინტერესებას გამოიჩენს ევროპაში მიმდინარე ენერგოკრიზისიდან გამომდინარე.

ნატოს ბრძოლა მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის უზრუნველსაყოფად

საქართველოს დაუცხრომელმა სწრაფვამ, ნატოში გაწევრიანებულიყო, მეტნაკლებად თავისი შედეგი გამოიღო, 2006 წლის 21 სექტემბერს საქართველო ოფიციალურად გადავიდა ნატოსთან ინტეგრირების ახალ, ინტენსიური დილოგის საფეხურზე. ბუნებრივია, ამან ქვეყნის საერთაშორისო თუ სხვა სახის ვალდებულებები საგრძნობლად გაზარდა. ვალდებულებები ყველა სფეროს ეხება. ავიღოთ თუნდაც მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის სფერო... როგორია საქართველოს როლი ამ საკითხთან მიმართებაში? რომელ შესაბამისი ორგანიზაციები არსებობენ ამ სფეროში? გაწევრიანებულია თუ არა საქართველო მათში? რა სახის ვალდებულებები გააჩნია ჩვენ ქვეყანას ამ ორგანიზაციების წინაშე? წინასწარვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს უამრავი არასამთავრობო სამხედრო არაფორმალური ასოციაცია, რომელიც სწორედ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა, რათა ერთობლივი ძალისხმევით აღიკვეთოს არასახელმწიფო სუბიექტების ხელში ამ იარაღის მოხვედრა, ერთიანად შემუშავდეს საზღვრების დაცვა და ექსპორტის მკაცრი კონტროლი. ერთ-ერთი ასეთი არაფორმალური სამხედრო ასოციაციაა "სარაკეტო ტექნოლოგიებზე კონტროლის რეჟიმი". რეჟიმის წევრი ქვეყნები იზიარებენ მიზნებს მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით. ეს ასოციაცია 1987 წელს კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს თაოსნობით შეიქმნა და, იმთავითვე, მისი მთავარი მიზანი სარაკეტო ტექნოლოგიებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრა. მას შემდეგ წევრთა რაოდენობა 34-მდე

გაიზარდა. მათ ამ რეჟიმში თანაბარი უფლებები აქვთ. სამწუხაროდ, საქართველო ამ ასოციაციაში არაა გაწევრიანებული. ახალი წევრის მიღება კონსესუსის საფუძველზე ხდება, პარტნიორი ქვეყნები უნდა დარწმუნდნენ, რომ გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოს ექსპორტის კონტროლის ეფექტური სისტემა გააჩნია, ზედმიწევნით შეასრულებს ამ ასოციაციის დადგენილ პროცედურებსა და მოთხოვნებს, რელურად გააძლიერებს ასოციაციას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაწევრ ქვეყნებთან ურთიერთობას, შესაძლო პარტნიორებთან ასოციაციის დიალოგი მისი თავმჯდომარის მეშვეობით ხორციელდება. ნებისმიერ სახელმწიფოს (მათ შორის საქართველოსაც) შეუძლია ასოციაციაში გაწევრიანების გარეშეც გაიზიაროს ორგანიზაციის მიზნები და მჭიდროდ ითანამშრომლოს მასთან. ცალკე აღსანიშნია "ბირთვული მომარაგების ჯგუფი", რომელიც 1974 წელს ჩამოყალიბდა.

მისი წესდება, რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდა, სახელმწიფოებს ატომური ენერჯის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენებისაკენ მოუწოდებს. 1992 წელს ჯგუფმა გადაწყვიტა, წესდებაში ჩაემატებინა მუხლი ორმაგი დანიშნულების იარაღის, ტექნოლოგიების გადატანასთან დაკავშირებით. აქაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ექსპორტზე კონტროლს, კონტროლს ბირთვულ მასალებზე, ბირთვულ რეაქტორებზე, დანადგარებზე ბირთვული მასალების გამდიდრებისათვის. ჯგუფის მიზანია, დარწმუნდეს და ყველაფერი მოიმოქმედოს იმისათვის, რათა ატომური ენერჯით ვაჭრობა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის და მხოლოდ საერთაშორისოატომური გაურცელებლობის ნორმების დაცვით მოხდეს.

დღეისათვის ეს ჯგუფი 46 წევრ სახელმწიფოს ითვლის. საქართველო მისი წევრი არაა. გაწევრიანებისათვის საჭიროა

გარკვეული ვალდებულებების შესრულება, კანდიდატმა ქვეყანამ მკაცრად უნდა განახორციელოს საშინაო ექსპორტის კონტროლი, უნდა მიიღოს მონაწილეობა ატომის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში და მაღალ დონეზე შეასრულოს ამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო ძალისხმევას მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულს. 2004 წლის 28 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭომ თავისი რიგით 1540-ე რეზოლუცია მიიღო, რომელიც მთლიანად მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულია. მასში დასახულია ყველა ისგზები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანათა ჯგუფი შეძლებს ქიმიური, ატომური და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას, ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტის მსოფლიო სტანდარტებს დაქვემდებარებას და ა.შ. გაერო ყველა მის წევრ სახელმწიფოს (მათ შორის საქართველოსაც) მოუწოდებს ნახსენები რეზოლუციის ცხოვრებაში გატარებისათვის აქტიური ზომების მიღებისაკენ...ერთ-ერთი არაფორმალური საერთაშორისო ორგანიზაცია—"ავსტრალიის ჯგუფი"— რომელიც, დღესდღეობით, 40 წევრ სახელმწიფოს მოიცავს, შეიქმნა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ორგანიზაციის საქმიანობას საფუძვლად უდევს ჩვენთვის ცნობილი გაეროს 1540-ე რეზოლუციის პრინციპები, ასევე უენევის 1925 წლის პროტოკოლი, 1972 წლის კონვენცია ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის შესახებ და ქიმიური იარაღის აკრძალვის პროტოკოლი.

ავსტრალიის ჯგუფის წევრი სახელმწიფოების მთავარი მიზანია საექსპორტო ლიცენზირების სისტემის გაუმჯობესება, რათა განსაზღვრული ქიმიური მასალების, ბიოლოგიური აგენტების,

ქიმიური თუ ბიოლოგიური ტექნოლოგიების, ასევე ორმაგი დანიშნულების მოწყობილობების საექსპორტო კონტროლი საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობდეს. ბუნებრივია, ამ ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, ერთად თუ ინდივიდუალურად, ამ მიმართულებით საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი, თუმცა ამ ჯგუფის ერთ-ერთ ნაკლად შეიძლება

მივიჩნიოთ ის, რომ წევრი სახელმწიფოს მხრიდან საერთო პრინციპებისადმი დალატის შემთხვევაში, მის წინააღმდეგ არავითარი სანქცია არ ამოქმედდება, ანუ ორგანიზაციას ძალიან სუსტი ბერკეტები გააჩნია ურჩი სახელმწიფოს საპასუხო, იგი მხოლოდ რეკომენდაციებით იფარგლება(საქართველო ამ ჯგუფის წევრი არაა). 1995 წელს ჩაყარა საფუძველი "ვასენარის შეთანხმებას", რომელიც კონვენციული იარაღს, ორმაგი დანიშნულების პროდუქციასა და ტექნოლოგიების საექსპორტი კონტროლს ეხება. შეთანხმება მის 40 წევრ სახელმწიფოს შორის დაიდო რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის. წევრი სახელმწიფოები, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე წარმართავენ სამუშაოებს, რათა ზემოხსენებულ პროდუქციაზე საექსპორტო კონტროლი მაქსიმალურად გამკაცრდეს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროდუქციის სამხედრო გზით გამოყენების საფრთხე მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ამ შეთანხმების წევრი სახელმწიფოები მზად არიან, ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოებთანაც ზემოხსენებულ სფეროში, უფრო მეტიც, ნებისმიერ სახელმწიფოს(ბუნებრივია, საქართველოსაც) ამ შეთანხმების მონაწილე გახდეს, თუ გარკვეული ვალდებულებების შესრულებას იკისრებს(იგულისხმება ორმაგი დანიშნულების საქონელზე საექსპორტო კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს

დაქვემდებარება და ამ პროდუქციის არასამხედრო გზით გამოყენებაზე კონტროლი). 1971-1974 წლებში 15 ბირთვული იარაღის მწარმოებელ სახელმწიფოსწარმომადგენლებმა ჩაატარეს რამდენიმე არაფორმალური შეხვედრა შევიცარიელი პროფესორის, კლოდ ზანგერის ხელმძღვანელობით, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა მისივე სახელობის ორგანიზაცია—"ზანგერის კომიტეტი"— რომელშიც დღეს უკვე 36 სახელმწიფოა გაწევრიანებული. მათი საქმიანობა ძირითადად "ბირთვული იარაღის გაუზრცელებლობის შეთანხმების" პრინციპებს ემყარება. კომიტეტი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს "საერთაშორისო ატომური ენერჯიკს სააგენტოსთან" და მისი მოთხოვნების რეალიზებას უზრუნველყოფს, მაგრამ, ისევე როგორც ავსტრალიის ჯგუფის, ზანგერის კომიტეტის უარყოფითი მხარეა ის, რომ ორგანიზაცია არაფორმალურია და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ლეგალური ძალის მატარებელი ვერ იქნება. კომიტეტი მხოლოდ რეკომენდაციებით იფარგლება და, უკეთეს შემთხვევაში, მის წევრ თუ არაწევრ სახელმწიფოს მასობრივი განადგურების იარაღის გაუზრცელებლობის სფეროში ნაკისრივალდებულებების შესრულებისაკენ მოუწოდებს. როგორც დავინახეთ, მასობრივი განადგურების იარაღის გაუზრცელებლობის უზრუნველსაყოფად მრავალი ორგანიზაციაა შექმნილი, ზოგი ფორმალური, ზოგი—არაფორმალური. ისინიმეტნაკლებად მათზე დაკისრებულ მოვალეობას თავს ართმევენ, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა თემაა. მთავარი მაინც ის არის, რომ თუ სახელმწიფოს პრიორიტეტს ნატოში ინტეგრირება წარმოადგენს, მაშინ ზემოხსენებული ორგანიზაციების წინაშე აღებულ ყველა ვალდებულებას ზედმიწევნით უნდა ასრულებდეს, რადგანაც ამას ნატო მკაცრად მოითხოვს.

საქართველო–ნატოს ურთიერთობები

ნატოს მხრიდან საქართველოთი დაინტერესება არაა შემთხვევითი, საქართველოს უჭირავს გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული მდებარეობა, ამას დამატებული ის, რომ საქართველო უნდა გახდეს (და ნაწილობრივ უკვე არის) მსოფლიოს ენერგეტიკული დერეფანი. საქართველოსთვის ნატო–სთან თანამშრომლობა პრიორიტეტულ მიმართულებას შეადგენს. საქართველომ იმთავითვე მართებულად აიღო კურსი ევროატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაციისაკენ, როცა 1992 წელს ჩრდილო ატლანტიკურ თანამშრომლობის საბჭოში შევიდა, 1994 წელს ნატო–ს პპროგრამას “პარტნიორობა მშვიდობისათვის” შეუერთდა, ხოლო 1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი გახდა.

საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელმაც 2004 წელს ნატოსგან მიიღო "ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა" (IPAP) და გადავიდა ალიანსთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე. ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა (IPAP) შედგება ოთხი თავისგან და მოიცავს იმ რეფორმათა არეალს, რომლებიც უნდა შესრულდეს ნატოსთან სრული თავსებადობის მიღწევის მიზნით. IPAP არის დოკუმენტი, რომლის თანხმაც საქართველომ უნდა მიაღწიოს გარკვეულ მაჩვენებლებს შემდეგ სფეროებში: უსაფრთხოება, თავდაცვა, ეკონომიკა, ადამიანის უფლებების დაცვა, სამეცნიერო და გარემოს დაცვითი საკითხები და სხვა. დღესდღეობით, საქართველოს პროდასავლური პოლიტიკური კურსი მტკიცეაა ფორმირებული. ამის ნათელი დადასტურებაა ქვეყნის განუხრელი მისწრაფება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებისაკენ. მართალია, საქართველო გაეროს, ევროსაბჭოს და რიგი სხვა ორგანიზაციების წევრია, მაგრამ დღემდე უმთავრეს პრიორიტეტად რჩება ქვეყნის გაწევრიანება ჩრდილო ატლანტიკურ

სამხედრო ორგანიზაციაში. თუმცა ნატოში ინტეგრირება საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ქვეყანა თავის ეკონომიკურ, დემოკრატიულ, თავდაცვის თუ სხვა სფეროებში მანველებლებით დასავლურ სტანდარტებს უნდა უახლოვდებოდეს მაინც. ესეც რომ არა, ყოფილმა კომუნისტური ბლოკის სახელმწიფომ, რომელიც ნატოსაკენ მიმავალ გზას ადგას, უნდა გაიაროს სამი ფორმალური ეტაპი: ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა **IPAP**, ინტენსიური დიალოგი **ID** და გაწევრიანების სამოქმედო გეგმა **MAP**.

ნატო-ს გენერალური მდივნის იაპ დე ჰოოპ სხეფერის აზრით, საქართველოს აქვს შანსი, გახდეს ალიანსის წევრი, "თუმცა, მანამდე რთული გზა აქვს გასავლელი". ეს მოსაზრება სხეფერმა ნატო-ს ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერებთან შეხვედრისას გამოთქვა. "რთულ გზაზე" მიმავალი საქართველოს დაბრკოლებებზე სხეფერს პირველი შეკითხვა რუსმა ჟურნალისტმა დაუსვა, რომელიც დაინტერესდა, უშლის თუ არა რუსეთი ხელს ევროატლანტიკურ ალიანსში საქართველოს მიღებას. "რუსეთის პრეზიდენტთან და თავდაცვის მინისტრთან შეხვედრების დროს ბევრი საკითხი განვიხილეთ, თუმცა ყველაფერზე ვერ შევთანხმდით... საქართველოსთან დაკავშირებით ორი აზრი არ არსებობს: საკუთარი გზა მან თავად უნდა აირჩიოს. ჩვენ ვაღიარებთ მის ტერიტორიულ მთლიანობას და ვემხრობით იმას, რომ კონფლიქტები მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. ალიანსი საქართველოს აუცილებლად დაეხმარება, რადგან ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ქვეყანამ რეფორმების გზაზე უდიდეს წარმატებას მიღწია. აქედან გამომდინარე, ქართველმა ხალხმა უნდა შეძლოს, საკუთარი მომავალი თავად განსაზღვროს," - პასუხობს გენერალური მდივანი და იქვე აღნიშნავს, რომ მისთვის გაუგებარია, საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვა რატომ იწვევს რუსეთის გაღიაზიანებას. სხეფერი ასევე საჭიროდ მიიჩნევს იმის ხაზგასმას, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ყველამ უნდა სცეს პატივი. "პირველი, რასაც ნატო საქართველოს ჰპირდება, ეს არის მისი ტერიტორიული მთლიანობის სრული

პატივისცემა ალიანსის მხრიდან," - აცხადებს იგი. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს 2002 წლის ნოემბრის პრადის სამიტმა დასაბამი მისცა საქართველო-ნატოს თანამშრომლობის ახალ ეტაპს, რომლის მიზანია გაწევრიანების პროცესის დაწყება. ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა, რაც, პირველ ეტაპზე, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში მონაწილეობას გულისხმობს, უდიდესი სტიმულია საქართველოსთვის, რათა მან გაცილებით გაბედულად და სწრაფი ტემპით განახორციელოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო რეფორმები. სამწუხაროდ ამ პროცესების შემაფერხებლად იქცა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.

1994 წლიდან საქართველო ნატოს “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის წევრია. 1995 წლიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ამ პროგრამასთან ერთად, შემუშავებული აქვს ნატოსთან “ინდივიდუალური თანამშრომლობის” პროგრამაც. 1998 წლიდან მკვეთრად გაიზარდა საქართველოს მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებასა და წვრთნაში. 2000–2001 წლებში ქვეყანამ “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამით გათვალისწინებულ 242 ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ქვედანაყოფი მონაწილეობს კოსოვოს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში. სამი წლის განმავლობაში განხორციელდა ამ შენაერთის ხუთი როტაცია. მოსალოდნელია ქართველი სამხედროების მონაწილეობა აგრეთვე ავღანეთში

საქართველოს შეიარაღებული ძალების რეფორმირებაში პოზიტიური როლი შეასრულეს ევროპული სარდლობამ, საქართველოს შეიარაღებულ ძალთა შეფასების საფუძველზე, შემუშავებულმა რეკომენდაციებმა უშიშროების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს რჩევებთან ერთად.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა(IPAP)

საქართველოს ვალდებულებები ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2004-2006

პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები

1.1. ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ნატოში გაწევრიანება და ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს. 2004 წლის განმავლობაში საქართველო გეგმავს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიღებას, სადაც ხსენებული მიზნები აისახება. ნატოში გაწევრიანების გზაზე, საქართველო აცნობიერებს სათანადო პროგრესის მიღწევის აუცილებლობას.

1.2 მეზობლებთან ურთიერთობა-საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, განავითაროს კეთილმეზობლური და კონსტრუქციული ურთიერთობა ყველა მეზობელთან. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თანამშრომლობა აზერბაიჯანთან ენერგომატარებლების ტრანსპორტირების სფეროში. საქართველოს სურს ხელი შეუწყოს რეგიონულ თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონებში.

1.3. ტერორიზმთან ბრძოლა-საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ შორის, ავღანეთის კამპანიის განმავლობაში საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერის მიზნით საკუთარი საჰაერო სივრცის და აეროდრომების

შეთავაზებით. საქართველო გააგრძელებს შესაბამისი ინფორმაციის გაცვლას მოკავშირეებთან და პარტნიორებთან. საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები ტერორისტულ დაჯგუფებებთან საბრძოლველად მნიშვნელოვნად გაიზარდა და საქართველო გააგრძელებს საზღვარზე გაძლიერებულ საკონტროლო და საპოლიციო ღონისძიებებს.

1.4 ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ-საქართველო ისწრაფის დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისკენ, სადაც კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა იქნება გარანტირებული. საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს რეფორმირების და განვითარების პროგრამას, რომელშიც სათანადო საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო დეტალური მიზნები იქნება გაწერილი. საქართველო გააგრძელებს საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. საქართველოს მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კორუფციასთან ბრძოლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივ გამოყენებას და ადმინისტრაციული სტრუქტურების უკანონო ჩარევას ბიზნესში.

5 კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე-საქართველოს უკვე ჰყავს თავდაცვის სამოქალაქო მინისტრი. საქართველო მიზნად ისახავს სამინისტროზე მუდმივი დემოკრატიული კონტროლისა და ხელმძღვანელობის დამკვიდრებას, თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ფუნქციების გამიჯვნას 2004 წლის ბოლომდე. შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტს წარედგინება 2005 წლის განმავლობაში.

ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკის პრიორიტეტები-საქართველო

ფუნქციონირებადი და გამჭვირვალე საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისაკენ ესწრაფის. რეფორმირების და განვითარების პროგრამაში, რომლის შემუშავებაც 2004 წლის ბოლოსთვის იგეგმება, ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად რიგი ღონისძიებები, მათ შორის გაიწერება: კორუფციის ინსტიტუციური აღმოფხვრა, ფინანსური სტაბილურობის შექმნა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და დაცვა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის რეალური ეკონომიკური მოტივაციის შექმნა.

შიდა კონფლიქტები-გაყინული კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთი) აბრკოლებენ ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. ისინი აგრეთვე ემუქრებიან ქვეყნის შიდა და საერთაშორისო უსაფრთხოებას, რადგან ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, იარაღით და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისათვის. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, მშვიდობიანი გზით გადაჭრას აღნიშნული პრობლემები სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. (**P.S.** დღეისათვის ვითარება კარდინალურად შეცვლილია მას შემდეგ რაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა).

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველო მოწოდებულია ითანამშრომლოს გაეროსა და ეუთოსთან საკუთარ ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა შესაბამის საკითხებში. ქვეყანა მოწოდებულია, გააფართოოს თანამშრომლობა ევროკავშირთან და დანერგოს ევროსაბჭოს სტანდარტები.

უსაფრთხოების პოლიტიკა. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიღება, რომელშიც ასახული იქნება ძირითადი მიზნები, მათ შორის ნატო-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ამოცანები. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე მუშაობის დასრულება

მეზობლებთან ურთიერთობა პრაქტიკული რეგიონული თანამშრომლობის განვითარება სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის პარტნიორ ქვეყნებთან 1. სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის ხელშემწყობი პრაქტიკული ნაბიჯების განსაზღვრა. მოქმედება 2. პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების რეგიონული განზომილების გაზრდა კავკასიის და შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ საგანგებო სამუშაო ჯგუფის მიერ შეთანხმებულ სფეროებში. 1.2.2. მეზობელ ქვეყნებთან ერთობლივი კვლევების წარმოების მეშვეობით რეგიონულ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანა მოქმედება 1. საქართველოს ექსპერტების ტრენინგი წყლის ინტეგრირებული მენეჯმენტის მეთოდის საკითხებში. რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერა საერთო გარემოსდაცვითი უსაფრთხოების საკითხებში. მოქმედება 1. ეუთო-სთან თანამშრომლობით მეცნიერება მშვიდობისათვის პროექტის მონიტორინგი/მენეჯმენტი კავკასიის ქვეყნების მოსაზღვრე მდინარეებისთვის, პროექტის გაფართოება და მასში რადიოაქტივობის პრობლემის გათვალისწინება.

ტერორიზმთან ბრძოლა-ტერორიზმთან ბრძოლის პარტნიორული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ტერორიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებულ ევრო ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპს)-ის სათანადო ღონისძიებებში მონაწილეობა. მოქმედება 1. ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით ქვეყნის შესაძლებლობების გაძლიერება. მოქმედება 2. საზღვრის

კონტროლისა და პოლიციის გაძლიერება მოქმედება 3. ამუნიციისა და მცირე და მსუბუქი შეიარაღების მარაგის რევიზია მათი შენახვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ზედმეტი მარაგის უსაფრთხოდ განადგურების მიზნით 1.3.2. სამეცნიერო კვლევის საშუალებით ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს წვლილის გაზრდა მოქმედება 1. პარტნიორებთან თანამშრომლობით კვლევის ჩატარება ტერორიზმის წინააღმდეგ თავდაცვის გასაუმჯობესებლად .1.3.3. საქართველოს წვლილის გაზრდა ტერორიზმთან ბრძოლაში. • ტერორიზმის, იარაღთა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ფულის გათეთრების და არალეგალური მიგრაციის აღმკვეთი ზომების მიღება; • მილსადენის უსაფრთხოების ზომების შემუშავება; • შიდა რესურსების და უცხოეთიდან მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერის მობილიზება. მოქმედება 2. საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება ეაპს-ის ქვეყნების ექსპერტებთან მოქმედება 3. ეკო-ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება ეაპს-ის ქვეყნების ექსპერტებთან.

დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ

4.1. ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა მოქმედება 1. პარლამენტის მიერ ევროსაბჭოს შესაბამისი კონვენციების - “რეგიონული და ეროვნული უმცირესობების ენის ქარტია“, “ეროვნული უმცირესობების სოციალური ქარტია“ და “ეროვნული უმცირესობების დაცვა“-რეატიფიკაცია; მოქმედება 2. „სინდისისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ“ კანონის პარლამენტისთვის წარდგენა. 1.4.2. ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. მოქმედება 1. ანტიკორუფციული

საკანონმდებლო აქტების პაკეტის შემუშავება და პარლამენტისთვის წარდგენა, მათ შორის: • კანონპროექტი “უძრავ ნივთებზე გირავნობის უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“. • საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ შესახებ (საერთო სასამართლოებისა და ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების წესები და პირობები). • ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. • საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საკანონმდებლო პაკეტზე მუშაობის დასრულება, • გენერალური ინსპექციების შესახებ კანონის პროექტის მომზადება (თითოეულ სამთავრობო სტრუქტურაში გენერალური ინსპექციის ჩამოყალიბება, რომელიც სტრუქტურაში დისციპლინარულ და ფინანსურ საკითხებს გაუწევს მონიტორინგს). • საარბიტრაჟო ტრიბუნალის შესახებ კანონპროექტის მომზადება. • ნოტარიუსის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა. • საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა.

2. სხვადასხვა უწყებათა ფუნქციების ოპტიმიზაცია/საჯარო სამსახურის რეფორმა. 3. გრეკოსთან (ქვეყნების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ) და ეკონომიური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ანტიკორუფციული სტრატეგიისა და პრევენციული პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი.

დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის რეორგანიზაციისას დემოკრატიული წესებისა და პრინციპების უზრუნველყოფა. მოქმედება 1. თავდაცვის სექტორზე არსებული საკანონმდებლო და იურიდიული ზემდახედველობის რევიზია, სათანადო სამართლებრივი პროცესის მექანიზმების ჩათვლით (თავდაცვის ინსტიტუციონალური

აღმშენებლობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა. მიზანი 5.3.) მოქმედება 2. სახელმწიფოს მეთაურს, მთავრობას, შეიარაღებულ ძალებს და სხვა პოტენციურ აქტორებს შორის ძალების კონტროლის სფეროში ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის არსებული მექანიზმების რევიზია.

ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკის პრიორიტეტები. დაბალანსებული ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის უზრუნველყოფა. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის შემცირება.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროების რეფორმა: საქართველოს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის სამხედრო და გასამხედროებული ძალების ძირეული რეორგანიზაციისა და რეფორმირების განხორციელება, რათა მიღწეულ იქნას ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის ქმედითუნარიანობა და შეიარაღებული ძალების თავსებადობა ნატოს-თან, საერთაშორისო ოპერაციებში ეფექტურად მონაწილეობის მიზნით.

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებათა თანხედომის ხელშეწყობა.

შიდა კონფლიქტები. საქართველო გააგრძელებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკას მოქმედება 1. მოკავშირეების ინფორმირება აღნიშნული საკითხების მიმდინარეობის შესახებ გაეროს და ეუთოს წამყვანი როლის გათვალისწინებით. 2. • ავტონომიური ერთეულების სტატუსის განსაზღვრა; • ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ხელშეწყობა; • კონფლიქტის

ზონების რეაბილიტაცია.

თავდაცვის დაგეგმვის საკითხები. საქართველოს მიზანს წარმოადგენს სათანადო პროფესიული შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვის (თსსმ) შედეგებზე დამყარებული შესაბამისი რესტრუქტურისაციის განსახორციელებლად, როგორც ჯარების ცალკეულ სახეობებში, ასევე კონკრეტულ სფეროებში, როგორცაა ქვეყნის საჰაერო სივრცის კონტროლი, სამობილიზაციო და სარეზერვო პოლიტიკა. ასევე, აუცილებელია შემუშავდეს საკადრო პოლიტიკა და მისი სხვადასხვა ასპექტი, როგორცაა პერსონალის მართვა, ხელფასები და სოციალური პირობები, რათა ჩამოყალიბდეს შეირაღებული ძალების ეფექტური შემადგენლობა.

სამხედრო და ურთიერთთავსებადობის საკითხები საქართველოსთვის მნიშვნელოვანია როგორც წვრთნების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, ასევე შეირაღებული ძალების სტანდარტებისა და პროცედურების განვითარების მიზნით შესაბამისი რგოლების ჩამოყალიბება. ყოველივე ზემოაღნიშნული დიდ როლს ასრულებს თავსებადობისა და პროფესიონალ ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბების საქმეში.

თავდაცვის ეკონომიკური საკითხები საქართველო მოწოდებულია გააუმჯობესოს თავდაცვის ხარჯების მართვისა და ბიუჯეტირების პროცესის ეფექტიანობა და მონიტორინგი ფინანსური თვალსაზრისით მდგრადი თავდაცვითი შესაძლებლობების ჩამოყალიბების მიზნით.

თავდაცვის დაგეგმვის საკითხები თავდაცვის სფეროს რესტრუქტურისაცია. 1 საჭირო კანონმდებლობის ამოქმედება თავდაცვის

მართვის, სახელმწიფო შესყიდვების, სამხედრო სამსახურის და სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსის სფეროებში. 2. სახმელეთო ძალების რეორგანიზაცია და რესტრუქტურირაცია; თსსმ-ის განხილვის საგანი 3. საზღვაო ძალების სამხედრო შესაძლებლობების ოპტიმიზაცია/საზღვაო და სანაპირო ძალების რეორგანიზაცია და რესტრუქტურირაცია; თსსმ-ის განხილვის საგანი. 4. საჰაერო ძალების რეორგანიზაცია და რესტრუქტურირაცია; თსსმ-ის განხილვის საგანი მოქმედება 5. ნატო-ს „საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის“ პროგრამაში ჩართვა მოქმედება 6. საჰაერო კონტროლის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება მოქმედება 7. ხმელეთზე განლაგებული საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობათა განვითარება; თსსმ-ის განხილვის საგანი 8. ეროვნული გვარდიის ახალი ფუნქციის და მისიის განსაზღვრა; თსსმ-ის განხილვის საგანი 9. მობილიზაციისა და რეზერვის ახალი სისტემის ჩამოყალიბება. 10. უსაფრთხოების სფეროს სხვა სექტორების (სხვა გასამხედროებული ძალები) შესწავლა და რეორგანიზაცია; თსსმ-ის განხილვის საგანი.

თავდაცვის სამინისტროს სათანადო პერსონალით უზრუნველყოფა. მოქმედება 1. სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება მოქმედება 2. თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალის სწავლება მათ ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებზე გრძელვადიანი სასწავლო პროგრამის შემუშავება; მოქმედება 3. სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის ჩამოყალიბება მოქმედება 4. სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისათვის თანაბარი სახელფასო სისტემის ჩამოყალიბება

სამხედრო და ურთიერთთავსებადობის საკითხები. სამხედრო განათლებისა და წვრთნის სისტემის შემუშავება 1. ინდივიდუალური და მცირე

დანაყოფების წვრთნის სტანდარტების შემუშავება პარალელურად ნატო-ს დოქტრინების, ტაქტიკის, ტექნიკისა და პროცედურების განხილვა მათი სშმ-ში შესაძლო გამოყენებისათვის 2. ოფიცრების, სერჟანტებისა და კაპრალების პროფესიული განვითარებისა და განათლების პროგრამების შემუშავება 3. უცხო ენის სწავლების სისტემის მართვის გაუმჯობესება. მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის (მქმ) შესაძლებლობის უზრუნველყოფა ნატო-ს ეგიდით სწავლებებისა და ოპერაციების ჩასატარებლად. 1. მქმ-ს ეროვნული კატალოგის მონაცემთა ბაზის განვითარება 2. ნატო-თან ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ მოლაპარაკება.

საზოგადოების ინფორმირება უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე
საქართველოს გამიზნული აქვს საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის აქტიურად და კოორდინირებულად შემუშავება, რომლის მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების სფეროს, თავდაცვის სექტორის მოდერნიზაციასა და ტრანსფორმაციაზე, მათ შორის შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის განხორციელებაზე საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება და მათი მხარდაჭერის მოპოვება.

თანამშრომლობა მეცნიერების სფეროში. თანამედროვე საზოგადოების გამოწვევები

საქართველოს სურს მჭიდრო თანამშრომლობა ნატო-სთან მეცნიერების სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებას და ამ რეფორმების სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ შედეგებზე სათანადოდ რეაგირებას. საქართველო, ხელს შეუწყობს ქვეყნის სამეცნიერო, აკადემიური და სამთავრობო

ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერებისათვის, რათა მათ სათანადო წვლილი შეიტანონ საფრთხეების, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საინფორმაციო უსაფრთხოება საქართველოს გამიზნული აქვს უზრუნველყოს ნატო-სთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობების ჩამოყალიბება შეძლებისდაგვარად მოკლე დროში.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი პროგრამების და ღონისძიებების სათანადო დაფინანსების უზრუნველყოფა. თანამშრომლობის აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის სარესურსო მოთხოვნების განსაზღვრა და გამოყოფა

საქართველო და ნატო—ურთიერთობათა ქრონოლოგია

- **1992 წელს** საქართველო გახდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი (NACC);

- **1994 წლის 23 მარტს** საქართველო შეუერთდა NATO-ს “პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას (PFP)

1995 წლის 18 ივლისს საქართველო შეუერთდა “შეთანხმებას ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ-ქვეყნებსა და “პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის ძალების სტატუსის შესახებ“ (SOFA);

- **1996 წელს** საქართველომ შეიმუშავა და წარადგინა NATO-ში პირველი “ინდივიდუალური პარტნიორობის“ პროგრამა (Individual Partnership Program IPP);

- **1997 წლის 1 მაისს** საქართველოს პარლამენტმა გაუკეთა რატიფიცირება “ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და

“პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ“ შეთანხმებას (SOFA);

- **1997 წლის** 30 მაისს შეიქმნა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC) და საქართველო გახდა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი;

- **1998 წლის** 22 აპრილს NATO-ში საქართველოს დიპლომატიური მისია გაიხსნა და საქართველოს ელჩმა რწმუნებათა სიგელი გადასცა NATO-ს გენერალურმდივანს

- **1999 წლის** მარტში საქართველო მიუერთდა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის "დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს" ანუ როგორც შემოკლებით უწოდებენ პარპ-ს (Planning and Review Process – ARP). საქართველომ აიღო ვალდებულება 25 “თავსებადობის ამოცანის“ განხორციელების თაობაზე. ამასთან, დოკუმენტში საქართველოს

გაცხადებული აქვს მსუბუქ ქვეითა ერთი ბატალიონი (იგულისხმება კოჯრის სასწავლო ცენტრი), რომლის ერთი ოცეული მზად უნდა ყოფილიყო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად 1999 წლის დასასრულისათვის, რაც პრაქტიკულად განხორციელდა და ამით პარპ-ის პირველი საფეხური რეალურად იქნა დაძლეული;

- **2000 წლის** 19 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა გაუკეთა რატიფიცირება “ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და “პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ“ შემდგომ დამატებით ოქმს;

- **2001 წელს** დაიწყო პარპ-ის ახალი ციკლი, რაც თავსებადობის მიზნების საპარტნიორო ამოცანებად შეცვლას ითვალისწინებს. საპარტნიორო ამოცანები უფრო დაწვრილებითი ხასიათისაა და უფრო მომთხოვნია საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ. ნატომ უკვე შეიმუშავა საპარტნიორო ამოცანების პროექტი საქართველოსთვის. მათი განხილვა

თბილისში 2001 წლის აპრილში ნატოელ კოლეგებთან ერთად მოხდა, ხოლო საბოლოოდ იმავე წლის მაისში დამტკიცდა. ამგვარად მიღწეული თავსებადობით საქართველო შეძლებს, სრულფასოვანი გახადოს თავისი მონაწილეობა ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციებში;

- **2001 წლის** მარტში დაინერგა NATO-ს საერთაშორისო სამსახურთან რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკა, რასაც ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს კონსულტაციები ძირითადად ტარდება საქართველოს მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ხოლო NATO-ს მხრიდან პოლიტიკური დირექტორატის ხელმძღვანელის დონეზე;
- რეგულარულად ტარდება მაღალი დონის შეხვედრები შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების საკითხებზე 26+1 ფორმატში;
- **2001 წლის** 11-23 ივნისს საქართველოში ჩატარდა (ქ. ფოთი) NATO-ს და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი მსხვილმასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო წვრთნები “კოოპერატივ პარტნერ-2001“ (Cooperativartner-2001);
- **2002 წლის** 17-28 ივნისს საქართველოში (ქ. თბილისი) ჩატარდა NATO-ს და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი მსხვილმასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო წვრთნები “კოოპერატივ ბესტ ეფორტ-2002“ (CooperativeBestEffort-2002”);
- **2002 წლის** ივნისში საქართველომ დაიწყო თანამშრომლობა NATO-ს უზრუნველყოფისა და მომარაგების სააგენტოსთან ((NAMSA – NATO Maintenance and Supply Agency) “პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ნდობის ფონდის ეგიდით განხორციელებული პროგრამების ფარგლებში (fPTrustFund);
- **1995 წლიდან** წარმოებს თანამშრომლობა განათლების სფეროში. NATO-ს სკოლაში ობერამერგაუში (გერმანია) ნატო-ს თავდაცვის კოლეჯში (რომი,

იტალია) ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებენ ქართველი მსმენელები;

- საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 13 სექტემბერის №1661-ის დადგენილებით, საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს NATO-ში გაწევრიანების პროცესის დაჩქარებისა და ეფექტურად წარმართვისათვის, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით დაადგინა, რომ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალოს საქართველოს პარლამენტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად დაიწყოს NATO-ში გაწევრიანების პროცესი;

- 2002 წლის 21-22 ნოემბერს ქ. პრაღაში გამართული NATO-ს უმაღლესი დონის სამიტზე საქართველომ გააკეთა განცხადება NATO-ში გაწევრიანებისკენ სწრაფვის შესახებ და სურვილი გამოთქვა ახალ პროგრამაში - „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში“ მონაწილეობის მიღების თაობაზე;

- 2002 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ დაამტკიცა “საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამა შედგება ხუთი ძირითადი ნაწილისგან:1) პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები; 2) თავდაცვის და სამხედრო საკითხები; 3) რესურსებით უზრუნველყოფის საკითხები; 4) უსაფრთხოების საკითხები; 5) სამართლებრივი საკითხები;

- 2003 წლის 14 მარტს ქ. ბრიუსელში გაიმართა NATO-საქართველოს პოლიტიკური კონსულტაციების მე-3 რაუნდი, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში;

- 2003 წლის 27 მაისს საქართველოს პრეზიდენტის №235 ბრძანებულების შესაბამისად შეიქმნა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ეროვნული

საკოორდინაციო საბჭო, NATO-ში საქართველოს ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების შეთანხმებულ მოქმედებათა და ძალისხმევის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით. საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი;

- 2003 წლის სექტემბერში (ქ. თბილისი) ჩატარდა NATO-ს და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი მსხვილმასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო-სამედიცინო წვრთნები “მედ კეირ –რესკუერ 03“ (Med Care-Rescuer-03);

- 2003 წლის დეკემბერში შემუშავდა “საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის“ დოკუმენტის პროექტი;

- 2004 წლის 7 აპრილს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-NATO-ს მაღალი დონის წარმომადგენელთა შეხვედრა ფორმატით “26+1“, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა NATO-ს გენერალურ მდივანს ბატონ იაპ დე ჰოპ სხეფერს გადასცა ქვეყნის “ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ საპრეზენტაციო დოკუმენტი;

- 2004 წლის 23-24 აპრილს ქ. თბილისში გაიმართა ეაპს-ის “ატლანტიკური პოლიტიკის საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის“ (Atlantic Policy Advisor Group) სესია, რომელსაც თავმჯდომარეობდა NATO-ს გენერალური მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში, ელჩი გიუნტერალტენბურგი;

- 2004 წლის 7 ივნისს ბრიუსელში, NATO-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-ს მაღალი დონის პოლიტიკური კომიტეტის (Senior Political Committee Reinforced - SPCR) 26+1 ფარგლებში საქართველოსთან შეხვედრა. შეხვედრას თავმჯდომარეობდა ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე უსაფრთხოების საკითხებში, ელჩი გიუნტერ ალტენბურგი. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა “საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ განხილვა;

- **2004 წლის** 28-29 ივნისს სტამბოლში გამართულ NATO-ს უმაღლესი დონის სამიტზე საქართველო, აზერბაიჯანი და უზბეკეთი ოფიციალურად შეუერთდნენ “ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ ინიციატივას;
 - **2004 წლის** აგვისტოში NATO-ში ოფიციალურად გაიგზავნა საქართველოს “ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“;
 - **2004 წლის** 29 ოქტომბერს NATO-ს უმაღლესმა ორგანომ ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ (NAC) ე.წ. “დუმისის პროცედურის“ საფუძველზე დაამტკიცა საქართველოს “ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ და საქართველო გადავიდა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ე.წ. “მეორე ეტაპზე“;
 - ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულების ორგანიზაციასთან საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავების, მასთან სრული პოლიტიკური, სამართლებრივი, სამხედრო ინტეგრაციის ხელშეწყობის, სახელმწიფო სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის ეფექტური კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით,
- 2004 წლის** 31 დეკემბერს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №133) ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა;
- საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ოთხი ნაწილისაგან შედგება: 1. პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები, 2. თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხები, 3. საზოგადოებრივი ინფორმაცია, სამეცნიერო და გარემოს დაცვის საკითხები და სამოქალაქო კრიზისული სიტუაციების დაგეგმვა, 4. ადმინისტრაციული თავდაცვითი უშიშროებისა და რესურსების მართვის საკითხები. ზემოთჩამოთვლილი საკითხები ზოგადად არის განხილული გეგმის პირველ ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს დასმული

საკითხების და მიზნების განხორციელებითვის აუცილებელი ღონისძიებების კონკრეტულ, დროში გაწერილ გეგმას. აღნიშნული გეგმა შეეხება თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ ფართო სფეროს, როგორცაა, თავდაცვის პოლიტიკა, ტერორიზმთან ბრძოლა, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა, თავდაცვის დაგეგმარება, თავდაცვის სისტემის დაფინანსება, კრიზისული სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა;

- ამჟამად მიმდინარეობს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) იმპლემენტაციის პროცესი. ამასთან დაკავშირებით,

2005 წლის 7-11 მარტს თბილისში იმყოფებოდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) იმპლემენტაციის შუალედური შეფასების ჯგუფი. **2005 წლის 18 მაისს** ქ. ბრიუსელში შედგა IPAP-ის იმპლემენტაციის შეფასების განხილვა;

- **2005 წლის 26-29 სექტემბერს** თბილისში იმყოფებოდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) იმპლემენტაციის შუალედური შეფასების ჯგუფი IPAP-ის არაოფიციალურ შეფასებასთან დაკავშირებით.

- **2005 წლის 5 ოქტომბერს** გაიმართა კონსულტაციები ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენლებთან;

- ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით

- **2005 წელს** შეიქმნა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი სახელმწიფო კომისია, რომელიც წარმოადგენს უწყებათაშორის ჯგუფს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. კომისიას დაევალია ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინირება და კონტროლი;

- **2005 წლის 14 თებერვლიდან** ძალაში შევიდა შეთანხმება “NATO-ს

“პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის მეკავშირე ოფიცრის მოვლინების შესახებ საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის“, რის საფუძველზეც საქართველოში მოვლინებულ იქნა სამხრეთ კავკასიისთვის მეკავშირე ოფიცერი;

- **2005 წლის 2 მარტს** ხელი მოეწერა შეთანხმებას “საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის NATO-ს ძალებისა და ნატო-ს პერსონალისთვის მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერისა და ტრანზიტის უზრუნველყოფის შესახებ;
- **2006 წლის 13 აპრილს** ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა 26+1 ფორმატში (ნატო-ს 26 წევრი ქვეყანა და საქართველო) გაიმართა, სადაც საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) განხორციელების შეფასების ანგარიში განიხილეს. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე ნატოს წევრმა ყველა ქვეყანამ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მისწრაფების მხარდაჭერა გამოხატა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების განხორციელების კუთხით მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა IPAP-ის განხორციელების კოორდინაციის მექანიზმი, რაც ინტეგრაციის პროცესისა და რეფორმების განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს;
- **2006 წლის 21 სექტემბერს** ნიუ-იორკში NATO-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს NATO-სთან თანამშრომლობის მომდევნო ეტაპზე-ინტენსიურ დიალოგზე (Intensified Dialogue) გადავსვლასთან დაკავშირებით.
- **2006 წ. 14 დეკემბერს** ნატო-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი, გაიმართა

პირველი კონსულტაცია ალიანსსა და საქართველოს შორის ინტენსიური დიალოგის ფარგლებში, სადაც განიხილეს ინტენსიური დიალოგის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხები და შეხვედრების განრიგი.

- 2007 წლის 1 თებერვალს გაიმართა პირველი თემატური კონსულტაცია ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოს დელეგაციასა და ალიანსის საერთაშორისო სამსახურს შორის. მხარეებმა განიხილეს თავდაცვის სფეროს პრიორიტეტები, რეფორმების პროგრესი და სამომავლო გეგმები.
- 2007 წ. 19-23 თებერვალს განხორციელდა ნატო-ს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ შესრულების შეფასების მიზნით.
- 2007 წ. 21 მარტს ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს შეხვედრა 26+1 ფორმატში ნატო-ს პოლიტიკური კომიტეტის დონეზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხებს.
- 2007 წ. 22 მარტს გაიმართა მეორე თემატური კონსულტაციები გაწვევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოს დელეგაციასა და ალიანსის საერთაშორისო სამსახურს შორის. შეხვედრაზე განხილულ იქნა პოლიტიკური საკითხების ფართო სპექტრი, კერძოდ: კონფლიქტების მოგვარების, ადამიანის უფლებების და ეროვნული უმცირესობების, კანონის უზენაესობის განმტკიცების, ენერგოუსაფრთხოების, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა საკითხები.
- 2007 წლის 15 მაისს ნატოს-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელში გაიმართა ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოსა და ნატო-ს საერთაშორისო სამსახურს შორის კონსულტაციების მესამე რაუნდი სამართლებრივ საკითხებზე.
- 2007 წლის 5 ივნისს ბრიუსელში, ბელგია გაიმართა ნატოს სამხედრო-პოლიტიკური შერეული კომიტეტის სხდომა 26+1

ფორმატში, სადაც ქართულმა მხარემ მოკავშირეებს განსახილველად წარუდგინა „თავდაცვის სფეროს სტრატეგიული მიმოხილვის“ (SDR) დოკუმენტის პროექტი.

- 2007 წლის 11 მაისს, ნატო-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი საქართველოსა და ნატო-ს უსაფრთხოების სამსახურს შორის გაიმართა ინტენსიური დიალოგის ფარგლებში კონსულტაციების მეოთხე რაუნდი ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხებზე.
- 2007 წლის 5 ივლისს ნატო-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი ჩატარდა ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოსა და ნატო-ს საერთაშორისო სამსახურს შორის კონსულტაციების მეხუთე რაუნდი რესურსებსა და ეკონომიკურ საკითხებზე.
- 2007 წლის 2 ოქტომბერს ნატო-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი ინტენსიური დიალოგის ფარგლებში შედგა შეხვედრა ნატო-ს საქართველოს შორის (26+1 ფორმატში) ნატო-ს მაღალი დონის პოლიტიკური კომიტეტის დონეზე. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხები.
- 2007 წლის 8 ნოემბერს ნატოს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი საქართველოსა და ნატო-ს შორის მიმდინარე ინტენსიური დიალოგის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა თავდაცვის საკითხებზე 26+1 ფორმატში.
- 2008 წლის 9 ნოემბერს ნატოს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი საქართველოსა და ნატო-ს შორის მიმდინარე ინტენსიური დიალოგის ფარგლებში გაიმართა მორიგი კონსულტაცია ქართულ მხარესა და ალიანსს შორის, რომელიც მეცნიერებისა და განათლების საკითხებს მიეძღვნა.
- 2008 წ. 28-31 იანვარს თბილისში ვიზიტით იმყოფებოდა ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის დელეგაცია საქართველოს მიერ „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების შეფასების მიზნით.

- 2008 წ. 14 თებერვალს ნატო-ს გენერალურ მდივანს იააკ დე ჰოოპ სხეფერს ნატო-ში საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა გადასცა საქართველოს პრეზიდენტის წერილი, რომელშიც ქართული მხარე გამოხატავს გაწვევრიანების სამოქმედო გეგმასთან მიერთების მზადყოფნას და ოფიციალურად მიმართავს ალიანსს აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.
- 2008 წ. 26 მარტს ნატოს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა 26+1 ფორმატში. აღნიშნულ სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს მიერ „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ შესრულებაში მიღწეული პროგრესი.
- 2008 წლის 28 მარტს ნატო-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი ნატო-საქართველოს შორის მიმდინარე ინტენსიური დიალოგის ფარგლებში გაიმართა კონსულტაციები სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის (Civil Emergency Planning) საკითხებზე.
- 2008 წ. 28 აპრილს ნატოს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა 26+1 ფორმატში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა. სხდომაზე ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი დავით ბაქრაძე.
- 2008 წ. 17 ივლისს ნატო-სა და საქართველოს შორის გაწვევრიანების საკითხებზე მიმდინარე ინტენსიური დიალოგის ფარგლებში შედგა ნატო-ს მაღალი დონის პოლიტიკური კომიტეტის შეხვედრა საქართველოსთან 26+1 ფორმატში. აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა კომიტეტს გააცნო საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები და საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების

მიმართულებით.

- 2008 წ. 12 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის ომთან დაკავშირებით, ნატო-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი გაიმართა ნატო-საქართველოს შეხვედრა ელჩების დონეზე, სადაც ალიანსს მიეწოდა ინფორმაცია რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე კონფლიქტის დინამიკაზე და ეთხოვა დახმარება სხვადასხვა მიმართულებით.
- 2008 წ. 19 აგვისტოს ნატო-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი გაიმართა ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების განხილვას დაეთმო. შეხვედრაზე ალიანსმა მიიღო განცხადება, რომელშიც გამოიხატა უპირობო მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ნატო-ს მტკიცე პოზიცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელმოწერილი დოკუმენტის უპირობო შესრულებასა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვების აუცილებლობასთან დაკავშირებით, ალიანსის გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის (NATO-Georgia Commission – NGC) შექმნის შესახებ და საქართველოსთვის სხვადასხვა მიმართულებით დახმარების აღმოჩენა.
- 2008 წ. 15-16 სექტემბერს შედგა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საქართველოში ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან და მისი კაბინეტის წევრებთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც საპარლამენტო ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეები, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები და თბილისში აკრედიტებულ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. 15 სექტემბერს შედგა ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელი ჩარჩო დოკუმენტის ხელმოწერა და

ჩატარდა კომისიის პირველი სხდომა. ჩრდილოატლანტიკური საბჭო-საქართველოსა და ნატო-საქართველოს კომისიის შეხვედრების შემდეგ გააკეთდა ერთობლივი განცხადება პრესისთვის, სადაც ალიანსის წევრებმა კვლავ დაადასტურეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და დაგმეს რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილება, ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. ამასთან, დაფიქსირდა ნატო-ს მტკიცე ნება, გააგრძელოს საქართველოს დახმარება რეფორმების გადრმაგებისა და მათი შეუქცევადობის მიმართულებით. ვიზიტის ფარგლებში ჩრდილოატლანტიკური საბჭო გაემგზავრა გორში, სადაც მონიხულეს ლტოლვილთა ბანაკი და გორის სამხედრო ბაზა.

- 2008 წ. 10 ოქტომბერს ქ. ბუდაპეშტში, ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების არაფორმალური შეხვედრის ფარგლებში, გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის პირველი სხდომა თავდაცვის მინისტრების დონეზე.
- 2008 წ. 20-23 ოქტომბერს თბილისში ვიზიტით იმყოფებოდა ნატოს დელეგაცია საქართველოს მიერ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების და დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის შეფასების მიზნით.
- 2008 წ. 24 ნოემბერს ნატო-ს შტაბ-ბინაში ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) სხდომა ელჩების დონეზე. სხდომის მიზანს წარმოადგენდა 2008 წ. 2-3 დეკემბერს დაგეგმილი ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ფარგლებში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის მომზადება.
- 2008 წ. 2-3 დეკემბერს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში ჩატარდა ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომლის ფარგლებში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა. ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილებით, ნატო-საქართველოს კომისიას მიენიჭა ცენტრალური როლი ბუქარესტის

სამიტის გადაწყვეტილებების შესრულებაში; ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში შემუშავდება ყოველწლიური ეროვნული პროგრამა, საქართველოს რეფორმების განხორციელებაში ხელშეწყობუს მიზნით.

ნატო-საქართველოს კომისიის შეხვედრაზე განხილულ იქნა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის შედეგები. ასევე ქართულმა მხარემ აღიანსს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით.

- 2009 წ. 4 თებერვალს ნატო-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელი, ბელგია გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ელჩების დონეზე საქართველოს მიერ „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ შესრულების შეფასების დოკუმენტის განხილვის მიზნით.
- 2009 წ. 19-20 თებერვალს კრაკოვში, პოლონეთი, ნატო-ს თავდაცვის მინისტრების შეხვედრის ფარგლებში ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის პირველი სხდომა თავდაცვის მინისტრების დონეზე.
- 2009 წ. 5 მარტს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში, ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ფარგლებში ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.
- 2009 წ. 16 აპრილს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა პოლიტიკური კომიტეტის დონეზე. სხდომაზე ქართულმა მხარემ წარადგინა საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის პროექტი 2009 წლისთვის. აღიანსის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა გამოსატეს თავიანთი მოსაზრებები დოკუმენტის მიმართ.
- 2009 წ. 6 მაისს ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ელჩების დონეზე. სხდომაზე განიხილეს ნატო-ს სტრასბურგი-კელის სამიტის შემდეგ ნატო-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული საკითხები.

ასევე ალიანსს მიეწოდა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის და საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ.

- 2009 წ. 6 მაისს ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გენერალური შტაბის უფროსების დონეზე. სხდომაზე განიხილეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმები და ნატო-ში ინტეგრაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები.
- 2009 წ. 25 მაისს ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კაგკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსს ოფიციალურად გადაეცა პირველი ქართული წლიური ეროვნული პროგრამა.

ნატოსა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიიდან

როგორც აღვნიშნეთ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია(ნატო)—აშშ-ს ინიციატივით შეიქმნა. მისი შექმნის მთავარი მიზეზი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის მხრიდან მომდინარე საფრთხე, რომელიც ლამობდა თითქმის მსოფლიოს “გაწითლებას”.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებულ ამ უდიდეს ომში ყველაზე დიდი სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირმა, რომელმაც ფაქტობრივად აღმოსავლეთ ევროპის უმეტესი ნაწილი დაიკავა და იქ არსებულ ქვეყნებში თავისი მარიონეტული რეჟიმები დასვა. გადაჭრით უნდა აღვნიშნოს ის, რომ გარკვეული დროით ი. სტალინმა დასავლეთზე უდიდესი გეოპოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ აქვე უნდა მივუთითოთ იმ სიმართლის შესახებაც, რომელსაც დღევანდელ დასავლეთში ნახევრად ხუმრობით აღვნიშნავენ—“სტალინმა უდიდესი შეცდომა ჩაიდინა, როდესაც დასავლეთს დაანახა რუსები და რუსებს დასავლეთი”.

უინსტონ ჩერჩილმა გაითავისა ის ფაქტი, რომ მან და აშშ-ს პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა დიპლომატიური და გეოპოლიტიკური ბრძოლა წააგო სტალინთან. რის შედეგადაც დასავლეთის დემოკრატებს კომუნისტური საფრთხე დაემუქრა.

ამ პერიოდიდან დაიწყო ფაქტობრივად იდეოლოგიური ომი დასავლეთის დემოკრატიასა და საბჭოთა კავშირს(რუსეთის მოდერნიზებული იმპერია) შორის).

ნატოს სახით დასავლეთმა შექმნა ისეთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც სრულად ინარჩუნებდნენ და ინარჩუნებენ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. საყურადღებოა, რომ

დოკუმენტს არ გააჩნია საიდუმლო მუხლები პოტენციური თუ რეალური მოწინააღმდეგეების დაკონკრეტებით. იგი ითვალისწინებდა ნებისმიერი მხარიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან დაცვას.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირში თვისებრივად შეიცვალა მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო იმით რომ მან შექმნა ისეთი ტიპის სახელმწიფო, რომლის მართვა მხოლოდ მას შეეძლო და მხოლოდ დესპოტური მეთოდებით. მოსკოვში დაიწყო სტალინური პოლიტიკის გადახედვა დადგა ე. წ. “ოტეპლენიეს” პერიოდი, რითაც ფაქტობრივად სტალინური იმპერიის მემკვიდრეებმა დაიწყეს ხის იმ ტოტის მოჭრა რომელზედაც ისხდნენ. მათ სურდათ ქვეყანა ემართათ სტალინურად, მაგრამ უსტალინოდ. ამას იმიტომ აღვნიშნავთ რომ თუ ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შევაფასებთ ნათლად იკვეთება შემდეგი-ხრუშჩოვსა და მის თანამოაზრეებს იგივე იმპერიული ზრახვები ამოძრავებდათ რაც სტალინისდონდელ მოდერნიზებულ რუსეთის იმპერიას, მაგრამ ისინი ვერ აღმოჩნდნენ და მოვლენათა ობიექტური განვითარებიდან გამომდინარე ვერ აღმოჩნდებოდნენ მოწოდების სიმაღლეზე და ვერ შეძლეს სტალინის მიერ რუსეთის იმპერიისადმი მიღწეული გეოპოლიტიკური მონაპოვრის შენარჩუნება.

საბჭოთა კავშირის იმდროინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს ცდილობდა მსოფლიოში არსებული პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებას და დასავლეთთან გაცივებული ურთიერთობების გაღობას. ამ მიზნით მოსკოვმა მიმართა პოლიტიკურ და დიპლომატიურ მანევრს. შეიძლება პარადოქსულიც იყოს მაგრამ ფაქტია, რომ 1954 წელს ჯერ კიდევ ვარშავის ხელშეკრულების შექმნამდე საბჭოთა კავშირმა დასავლეთს გაუგზავნა ნოტა თხოვნით, რომ მიეღოთ იგი ნატოში. პასუხი იყო უარყოფითი, რომელიც ემყარებოდა შემდეგს: საბჭოთა კავშირი ნატოში შესვლით მიიღებს ვეტოს უფლებას და მისი წევრების ყველა გადაწყვეტილებას დაბლოკავს. ნოტას ხელს აწერდნენ: აშშ, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა

“ცივი ომი” ნატოსა და 1955 წელს შექმნილ ვარშავის ხელშეკრულებაში მონაწილე “სოციალისტურ” სახელმწიფოებს შორის, რომელსაც მეთაურობდა სსრკ.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში მოხდა უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ცვლილება, დაიშალა საბჭოთა კავშირი. რუსეთის ფედერაცია გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე. ჯერ კიდევ 1990 წელს როდესაც აშკარა გახდა რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა. დასავლეთი შეშფოთებით ადევნებდა თვალს საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ამიტომ არსებული მიიმე სიტუაციიდან გამომდინარე დასავლეთმა აღუთქვა მოსკოვს, რომ არცერთი ქვეყანა ვარშავის ხელშეკრულებიდან მიღებული არ იქნებოდა ნატოში. 1990 წელს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი აცხადებდა: “რაც არ უნდა მოხდეს ვარშავის პაქტის შიგნით, ნატოს ტერიტორია არ გაფართოვდება აღმოსავლეთით, ე. ი. სსრკ-ს საზღვრის მიმართულებით”.

1991 წლის შემდეგ მოხდა ნატოს ფუნქციების ხელახალი გააზრება. განხორციელდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ჩამოყალიბება (NACC), იმავე წელს “ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრატეგიული კონცეფცია”, რომელმაც შეცვალა 1967 წლის ე. წ. “ჰარმელის კონცეფცია”. ფაქტობრივად 1992 წელს კემპ-დევიდის დეკლარაციით დასრულდა “ცივი ომი” სადაც გაცხადდა, რომ რუსეთი და აშშ არ განიხილავენ ერთმანეთს, როგორც პოტენციურ მოწინააღმდეგე.

პრობლემა გახდა ის რომ რუსეთმა ვერ შეძლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ისეთ ლიდერად გახდომა, რომლის გარშემოც ქვეყნები გაერთიანდებოდნენ. მართალია იყო ამის მცდელობა დსთ-ს შექმნით მაგრამ ეს ახლად შექმნილი ორგანიზაცია ვერ აღმოჩნდა ქმედითუნარიანი. პარალელურად მოსკოვი კვლავ შეეცადა ნატოში გაწევრიანებას, მაგრამ რუსეთის “ვეტო” კვლავ მიუღებელი აღმოჩნდა ევროატლანტიკური პოლიტიკური ელიტისათვის(ამ წინადადების

კატეგორიული წინააღმდეგნი ყოფილან, როგორც უახლოეს პერიოდში ისე მომავალში რუსეთის გაწევრიანებისა ნატო-ში ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი ჰ. კისინჯერი, ნატოს გენერალური მდივანი მ. ვერნერი და გერმანიის თავდაცვის მინისტრი ფ. როუზი). შემდეგ კვლავ იყო რუსეთის პრეზიდენტის ბ. ელცინის მცდელობა, რომ რუსეთი გაწევრიანებულიყო ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსში, მაგრამ ამოდ(“საიდუმლო” ტექსტი ელცინისა აშშ-ს დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და საფრანგეთის ლიდერებისადმი გამოქვეყნდა 1993 წლის 2 დეკემბერს ჩეხეთის გაზეთ “დნეს“-ში).

1993 წლიდან, მას შემდეგ რაც გამოჩნდა კონტურები ამ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის გაფართოებისა აღმოსავლეთისაკენ ახალი გოპოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე შეიცვალა რუსეთის დამოკიდებულება ნატოსადმი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კოზირევი ამბობდა: “ნატოს გაფართოება გამოიწვევს ევროპის კვლავ ბანაკებად დაყოფას”. პროცესები შეუქცევადა ვითარდებოდა. 1994 წლის დასაწყისში ბრიუსელის სამიტზე მიიღეს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”. 1994 წლის იანვარში რუსეთს მიეცა დამატებითი დრო რათა გამოემუშავებინა სტრატეგია ალიანსის მიმართ. რისთვისაც პროგრამა და მისი შემქმნელები კრიტიკის ქარცეცხლში იქნენ გატარებულნი ამერიკელი მემარჯვენე და აღმოსავლეთევროპელი პოლიტიკოსების მიერ.(8) იმუამინდელი ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებული რუსეთი იძულებული გახდა მისი ნების საწინააღმდეგო პოლიტიკური პროცესების განვითარებას და მორჩილებოდა.

დასავლეთის მთავარი იდეა გახდა ახალი სტრატეგია–შეექმნა ნატო სახით ისეთი გლობალური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გააფართოებდა თავის პასუხისმგებლობას მშვიდობისათვის და უსაფრთხოებისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 1997 წელს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ზ. ბუჟინსკი წერდა: “მთავარი ამოცანა აშშ-ს გლობალური პოლიტიკის როგორც ნატოს-ს წევრისა, არის მისი სტრატეგიული პლაცდარმის გაფართოება ევროპაში, წინსვლა

აღმოსავლეთით, ბალტიისპირეთსა და უკრაინაში”. იმავე 1997 წელს შეიქმნა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, რომლის წევრიც ერთ-ერთი პირველთაგანი რუსეთი გახდა.

2002 წლისათვის ნატო გაფართოვდა და მისი წევრი გახდა აღმოსავლეთ ევროპის შვიდი ქვეყანა, რის შედეგადაც მისი ტერიტორია ბალტიის სანაპიროდან შავ ზღვამდე გადაიჭიმა. დასავლეთის ასეთმა წინსვლამ გააღიზიანა რუსეთი, რომელიც 90-იანი წლების დასასრულამდე მაინც დასუსტებული ქვეყნად რჩებოდა. საჭირო გახდა ალიანსის მხრიდან რევერანსები მოსკოვისათვის. სწორედ ამ მიზნით 2002 წელს დაარსდა ნატო-რუსეთის საბჭო. რომელმაც აქტიურად დაიწყო მუშაობა.

რუსეთი განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის საქართველოსა და უკრაინის მცდელობას გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი ვინაიდან მიაჩნია, რომ ეს შეამცირებს რუსეთის შესაძლებლობებს პოლიტიკური მანევრებისათვის პოსტსაბჭოურ სივრცეში და საერთოდ მთელ მსოფლიოში. კერძოდ მოსკოვის აზრით შავი ზღვა გახდება შინა ზღვად ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის. მას დარჩება მხოლოდ სანაპიროს რამდენიმე ასეული კილომეტრიც, რომ იგი შავ ზღვაზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ სწრაფმავალი საპატრულო კატარღებით და საშიშროება დაემუქრება აზოვის ზღვასაც. სწორედ ამ შესაძლო მოვლენებისადმი რეაგირება იყო ერთ-ერთი მიზეზი 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიისა საქართველოს მიმართ.

დასავლეთი არსებული რეაქციების გათვალისწინებით იძულებული გახდა რუსეთის როგორც ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მოთამაშის მიმართ ანგარიში გაეწია. მართალია იგი საკმაოდ მწვავე იყო მოსკოვის მიმართ აგვისტოს დღეებში, მაგრამ საქმე დიპლომატიურ ურთიერთობებს არ გაცდენია. უფრო მეტიც 2009 წლიდან დაიწყო ურთიერთობათა დათბობა ნატოსა და რუსეთს შორის. ამის დასტურია 2009 წლის 22 მარტს გაკეთებული ნატოს გენერალური მდივნის სხეფერის განცხადება “ნატოს სჭირდება რუსეთი, რუსეთს სჭირდება ნატო”. ვფიქრობთ

ქართული პოლიტიკური ელიტისათვის აღნიშნული განცხადება დამაფიქრებელი უნდა იყოს.

ამრიგად რუსეთის(როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე) და ნატოს ურთიერთობა 1949 წლიდან იღებს სათავეს. იგი დროის სხვადასხვა მონაკვეთებში სხვადასხვა ინტენსივობითა და დაძაბულობით მიმდინარეობდა. ვფიქრობთ არსებული ვითარებიდან გამომდინარე სამხედრო შეტაკება რუსეთსა და ნატოს შორის ჯერჯერობით გამორიცხებულია, ვინაიდან მათ მთელ მსოფლიოში ბევრი საერთო ინტერესი აქვთ.

დოკუმენტები

ჩრდილო - ატლანტიკური ხელშეკრულება

ვაშინგტონი, 4 აპრილი, 1949 წელი

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ადასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანებისადმი ერთგულებას და თანხმდებიან, დაამყარონ საერთაშორისო მშვიდობა მსოფლიოს ხალხებთან და სახელმწიფოებთან ერთად. მხარეები მზად არიან, დაიცვან თავისუფლება, საკუთარი ხალხის საერთო მემკვიდრეობა და ცივილიზაცია, რაც ეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს, ინდივიდუალურ თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მზად არიან ხელი შეუწყონ სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამყარებას ჩრდილო-ატლანტიკურ რეგიონში. მხარეებმა საერთო ძალისხმევით უნდა უზრუნველყონ კოლექტიური თავდაცვა მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. ამდენად, ისინი თანხმდებიან შემდეგ ზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად, ვალდებულნი არიან, დაარეგულირონ საერთაშორისო კონფლიქტები მშვიდობიანი გზით, რათა საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას და თავი შეიკავონ საერთაშორისო ურთიერთობებში მუქარისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისგან, რაც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს.

მუხლი 2

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა, დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამყარების მიზნით, ხელი უნდა შეუწყონ საერთაშორისო სამშვიდობო და მეგობრული

ურთიერთობების განვითარებას, შეამცირონ კონფლიქტები საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და გააძლიერონ ეკონომიკური თანამშრომლობა.

მუხლი 3

ხელშეკრულების ამოცანების ეფექტური განხორციელებისათვის, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა საკუთარი ძალებითა და ურთიერთდახმარებით უნდა შეინარჩუნონ და გააძლიერონ შეიარაღებულ თავდასხმასთან ბრძოლის ინდივიდუალური და კოლექტიური სამხედრო პოტენციალი.

მუხლი 4

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა მუდმივად უნდა გაუწიონ ერთმანეთს კონსულტაციები, თუკი, რომელიმე მათგანის აზრით, ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას თუ უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრება.

მუხლი 5

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მიიჩნევა როგორც თავდასხმა ყველას წინააღმდეგ და არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებით ისინი დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება. ნებისმიერი ამგვარი სახის შეიარაღებული თავდასხმისა და მის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. ამგვარი ღონისძიებები დასრულდება

მაშინ, როცა უშიშროების საბჭო მიიღებს ზომებს, რაც აუცილებელი იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის.

მუხლი 6

ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეზე ან მხარეებზე განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმად მიიჩნევა თავდასხმა:

ხელშეკრულების მონაწილე ევროპისა თუ ჩრდილოეთ ამერიკის ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე, თურქეთის ტერიტორიასა თუ ჩრდილო-ატლანტიკურ რეგიონში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთით ან ნებისმიერი მონაწილე მხარის იურისდიქციაში მყოფ კუნძულებზე. ხელშეკრულებაში მონაწილე ნებისმიერი მხარის შეიარაღებულ ძალებზე, სამხედრო გემებსა და ავიაციაზე, რომლებიც განთავსებულია იმ დროისთვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე, ან ევროპის იმ რეგიონებზე, რომლებზეც ვრცელდება ხელშეკრულების იურიდიული სტატუსი, ან ხმელთაშუა ზღვისა და ჩრდილო-ატლანტიკურ რეგიონში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთის ტერიტორიებზე.

მუხლი 7

გაეროს წესდებისა და უშიშროების საბჭოს საერთაშორისო მშვიდობისა და საფრთხოების შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულება არანაირად არ შეეხება ხელშეკრულებაში მონაწილე იმ ქვეყნების უფლება-მოვალეობებს, რომლებიც აგრეთვე გაეროს წევრი ქვეყნები არიან.

მუხლი 8

ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე აცხადებს, რომ მისი მოქმედი საერთაშორისო გარიგება რომელიმე სხვა მხარესთან ან სხვა სახელმწიფოსთან ვერ დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ვალდებულია არ მიიღოს მონაწილეობა არცერთ

საერთაშორისო გარიგებაში, რომელიც ხელშეკრულების საწინააღმდეგო იქნება.

მუხლი 9

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები აცალიბებენ საბჭოს, რომელსაც ესწრება უკლებლივ ყველა მათი წარმომადგენელი, რათა განიხილონ ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. საბჭო მზად უნდა იყოს შეიკრიბოს ნებისმიერ დროს. მან, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შექმნას დამხმარე ორგანოები, კერძოდ, თავდაცვის კომიტეტი, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს იმ დონისძიებების გატარებაზე, რაც ხელშეკრულების მე-3 და მე-5 მუხლის განხორციელებისკენ იქნება მიმართული.

მუხლი 10

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, ხელშეკრულებაში გაწვევრიანების მიზნით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეუძლიათ მოიწვიონ ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია შესაბამისი შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში.

მუხლი 11

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა უნდა მოახდინონ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და განახორციელონ მისი დებულებები კონსტიტუციური პროცედურეს შესაბამისად. სარატიფიკაციო სიგელები დაუყონებლივ უნდა გადაეცეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს. იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც უკვე მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმომწერ სახელმწიფოთა სარატიფიკაციო სიგელების გადაცემისთანავე, ბელგიის, კანადის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სარატიფიკაციო სიგელების ჩათვლით.

მუხლი 12

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 წლის შემდეგ, ან (ნებისმიერ შემდეგ წლებში) მხარეებმა, თუკი რომელიმე მხარე ამას მოითხოვს, უნდა აწარმოონ ერთობლივი კონსულტაციები ხელშეკრულების გადასინჯვასთან დაკავშირებით, მხედველობაში მიიღონ ის ფაქტორები, რომლებიც იმ პერიოდში გავლენას ახდენენ ჩრდილოატლანტიკის უსაფრთხოებაზე და, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, გაატარონ გაეროს წესდებით გათვალისწინებული დონის დიპლომატიური და რეგიონალური დონეზე.

მუხლი 13

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 20 წლის შემდეგ ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია გააუქმოს საკუთარი წევრობა ხელშეკრულებაში მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ოფიციალურად აცნობებს ხელშეკრულების წევრობის გაუქმების თაობაზე.

მუხლი 14

ხელშეკრულება, რომლის ინგლისურ და ფრანგულ ორიგინალებს ერთნაირი იურიდიული ძალა გააჩნიათ, შეინახება ამერიკის შეერთებული შტატების არქივში. დამოწმებული ასლები აშშ-ის მთავრობის მიერ გადაეცემათ ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი მხარეების მთავრობებს..

ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ

3 სექტემბერი, 2008 წელი

ევროპარლამენტი,

- ითვალისწინებს რა საკუთარ რეზოლუციებს საქართველოსთან მიმართებით, კონკრეტულად კი 2006 წლის 26 ოქტომბერს მიღებულ რეზოლუციას სამხრეთ ოსეთის შესახებ და 2007 წლის 29 ნოემბერს და 2008 წლის 5 ივნისს მიღებულ რეზოლუციებს საქართველოს შესახებ,

- შესაბამისად მიღებული რეზოლუციებისა 2007 წლის 15 ნოემბერს, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გამყარების შესახებ და 2008 წლის 17 იანვარს მიღებულ რეზოლუციებს სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით უფრო ეფექტური პოლიტიკისა და შავი ზღვის რეგიონალური პოლიტიკის

პლატფორმის შესახებ,

- მხედველობაში იღებს რა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოსთან მიღებულ სამოქმედო გეგმას, რომელიც შეიცავს თანამშრომლობის მზაობას საქართველოს შიდა კონფლიქტების მოსაგვარებლად,

- ითვალისწინებს რა 2008 წლის 16 ივნისის საბჭოს ერთობლივ ქმედება 2008/450/CFSP-ს, ევროკავშირის შემდგომი წვლილის თაობაზე საქართველოში/სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოგვარების პროცესში და საბჭოს მიერ მიღებულ სხვა ზომებს იმავე საკითხთან მიმართებით,

- იღებს რა მხედველობაში ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებზე მიღებულ რეზოლუციებს, სახელდობრ 2008 წლის 19 ივნისის რეზოლუციას ევროკავშირ-რუსეთის 26-27 ივნისს ხანტი-მანსიის სამიტის შესახებ,

- თანახმად 2008 წლის 13 აგვისტოს მიღებულ საზოგადო საქმეთა და საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს მიერ მიღებული დასკვნებისა საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ,

- შესაბამისად 2008 წლის 1 სექტემბერს ბრიუსელში ჩატარებული ევროპული საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე მიღებული დასკვნების,

- გათვალისწინებით გაეროს უშიშროების საბჭოს S/RES/1781 (2007) და S/RES/1808 რეზოლუციებისა, რომლებშიც გამოთქმულია მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და ამ რეზოლუციებიდან ბოლოს მიხედვით გრძელდება საქართველოში გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მანდატე 2008 წლის 15 ოქტომბრამდე,

- ითვალისწინებს რა 2008 წლის 19 აგვისტოს ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ მიღებულ № 861 გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც იზრდება ეუთოს მისიის სამხედრო მონიტორინგის ოფიცრების რაოდენობა საქართველოში,

- შესაბამისად 2008 წლის 13 აპრილის ნატო-ს ბუქარესტის სამიტის დეკლარაციისა და 2008 წლის 19 აგვისტოს ნატო-ს საბჭოს შედეგებისა,

- თანახმად საკუთარი 103 (4) რეგლამენტის წესისა,

ა. ითვალისწინებს რა, რომ ევროკავშირი რჩება საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერად,

ბ. იღებს რა მხედველობაში, რომ რუსეთის პასპორტების დარიგებამ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისათვის და სეპარატისტული მოძრაობის მხარდამჭერამ, ქართული მოსახლეობით დასახლებული სოფლების მიმართ სეპარატისტების გააქტიურებულ სამხედრო ქმედებებთან ერთად გაზარდა დაძაბულობა სამხრეთ ოსეთში, აგრეთვე ამავე დროულად 2008 წლის ივლისში საქართველოს საზღვრებთან სიახლოვეს ტარდებოდა ფართო მასშტაბიანი რუსული სამხედრო მანევრები,

გ. ითვალისწინებს რა, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში მხარეებს შორის დაძაბულობის ესკალაციისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ძალების პროვოკაციების, დაბომბვების, შეტაკებებისა და სროლების ჩათვლით, რის შედეგადაც დაიღუპა ბევრი და დაშავდა კიდევ უფრო მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, 2008 წლის 7/8 აგვისტოს

დამეს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს მოულოდნელი საარტილერიო თავდასხმა ცხინვალზე, რომელსაც მოყვა სახმელეთო ოპერაცია ტანკებისა და ცოცხალი ძალის გამოყენებით სამხრეთ ოსეთზე კონტროლის ხელახლა მოპოვების მიზნით,

დ. იღებს რა მხედველობაში, რომ რუსეთის მხრიდან განხორციელდა მყისიერი რეაგირება, ხანგრძლივი სამხედრო მზადების მერე, მასობრივი კონტრშეტევის სახით, ტანკებისა და სახმელეთო ჯარების გაგზავნით, საქართველოში რამდენიმე ადგილის დაბომბვით, ქალაქ გორის ჩათვლით და საქართველოს შავი ზღვის პორტების ბლოკირებით,

ე. ითვალისწინებს რა, რომ დაახლოებით 158 000 ადამიანი იყო აყრილი თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან და იძულებული შეიქნა დაეტოვებინათ თავისი სახლები და ისინი ახლა საჭიროებენ დახმარებას დაბრუნების მხრივ; იღებს რა მხედველობაში, რომ კასეტური შეიარაღებისა და აუფეთქებელი ნაღმების არსებობისა და რუსეთის გაფრთხილებებისა და თანამშრომლობის არასებობის პირობებში, ამგვარი დაბრუნება ვერ იქნება უსაფრთხო,

ვ. იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოს ინფრასტრუქტურა სერიოზულად დაზიანდა რუსეთის სამხედრო ქმედებები შედეგად და აუცილებლობას წარმოადგენს ჰუმანიტარული დახმარება,

ზ. ითვალისწინებს რა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ექსპერტები და სამხედრო ანალიტიკოსები აფიქსირებენ რუსეთის ჯარების მიერ კასეტური შეიარაღების გამოყენებას საქართველოში, რის შედეგადაც დარჩა ათასობით აუფეთქებელი შეიარაღების ნაწილები კონფლიქტის ზონაში; იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველომ აგრეთვე აღიარა კასეტური ბომბების გამოყენება სამხრეთ ოსეთში როკის გვირაბის ახლოს,

თ. იღებს რა მხედველობაში, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები შეთანხმდნენ, ევროკავშირის მედიატორული მცდელობის შედეგად, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი, საქართველოსა და რუსეთის ძალები გაყვანილ იქნენ 2008 წლის 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე და დაიწყო საერთაშორისო მოლაპარაკებები, რათა სწრაფად შეიქმნას კონფლიქტის მშვიდობიანი და გრძელვადიანი მოგვარების საერთაშორისო მექანიზმი,

ი. ითვალისწინებს რა, რომ 2008 წლის 19 აგვისტოს ნატო-მ შეაჩერა რეგულარული უმაღლესი დონის ურთიერთობები რუსეთთან, განაცხადა რა, რომ რუსეთის სამხედრო ქმედება იყო “არაპროპორციული” და “შეუსაბამო საქართველოს ტერიტორიის ნაწილებში მის მშვიდობისმყოფელის როლთან” და “საქმეები ჩვეულებრივად” ვერ წარიმართება, სანამ რუსეთის ჯარები იმყოფებიან საქართველოში,

კ. იღებს რა მხედველობაში, რომ 2008 წლის 22 აგვისტოს რუსეთმა გამოიყვანა თავისი ტანკები, არტილერია და ასობით ჯარისკაცი თავისი მოწინავე პოზიციებიდან საქართველოში მაგრამ კვლავაც აკონტოლებს ფოთის პორტის მისადგომებს, აფხაზეთის სამხრეთს და რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის შეინარჩუნებს ჯარებს სამხრეთ ოსეთის გარშემო უსაფრთხოების ზონაში და რვა საკონტროლო პუნქტზე

განთავსებული იქნება რუსული ჯარები,

ღ. ითვალისწინებს რა, რომ 2008 წლის 25 აგვისტოს რუსეთის პარლამენტის ზედა პალატამ მიიღო რეზოლუცია და სთხოვა პრეზიდენტს აღიაროს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რასაც მოყვა 2008 წლის 26 აგვისტოს პრეზიდენტ მედვედევის გადაწყვეტილება, რომ რუსეთი ოფიციალურად აღიარებს ამ ორ რეგიონს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს,

მ. იღებს რა მხედველობაში, რომ კონფლიქტს აქვს დიდი გავლენა რეგიონის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე, რაც ცდება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის უშუალო ურთიერთობებს და შესაძლოა იმოქმედოს ევროკავშირ-რუსეთის, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის, შავი ზღვის რეგიონისა და სხვა საკითხებზე,

ნ. ითვალისწინებს რა, რომ ევროკავშირმა უნდა შეინარჩუნოს სრული პოლიტიკური ერთიანობა საქართველოში მიმდინარე კრიზისზე და უნდა გამოთქვას ერთიანი პოზიცია, სახელდობრ რუსეთთან ურთიერთობების მიმართ, იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოსა და კავკასიაში კონფლიქტების მშვიდობიანი და სტაბილური გადაწყვეტა მოითხოვს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ყოვლისმომცველ გადახედვას და ახალი ტიპის ურთიერთობებს მთელ რეგიონთან, ყველა ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ეუთოსთან თანამშრომლობით,

ო. იღებს რა მხედველობაში, რომ გასულ კვირას საქართველოს მთავრობამ გაწვევითა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან, რაზეც რუსეთის მხრიდან საპასუხოდ მოყვა ასეთივე რეაგირება,

1. მიიჩნევს, რომ არ არსებობს კავკასიის კონფლიქტების სამხედრო გადაწყვეტა და მკაცრად გმობს ყველას, ვინც გამოიყენა ძალა და ძალადობა საქართველოს სეპარატისტულ ტერიტორიებში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სიტუაციის შესაცვლელად;

2. მოუწოდებს რუსეთს, დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა და მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობა და ამ მიმართებით მკაცრად გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, როგორც საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ქმედებას;

3. აღნიშნავს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საბოლოო სტატუსთან დაკავშირებით უნდა იყოს განპირობებული საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ფუძემდებლური 1975 წლის აქტის (ჰელსინკის ფუძემდებლური აქტის), გათვალისწინებით და ამ მიმართებით, სახელდობრ, განსაკუთრებით ლტოლვილების დაბრუნებით, მათი ქონების დაცვით და უმცირესობების უფლებების გათვალისწინებით,

4. გმობს რუსეთის მიუღებელ და არაპროპორციულ სამხედრო ქმედებას და მის საქართველოს სიღრმეში შეჭრას, რაც არღვევს

საერთაშორისო სამართალს, აღნიშნავს, რომ არ არსებობს ლეგალური მიზეზი რუსეთის მიერ საქართველოში შეჭრის, მისი ტერიტორიის ნაწილების ოკუპაციის და დემოკრატიული ქვეყნის მთავრობის ჩამოსაგდებლად მიმართული მუქარის;

5. მწუხარებას გამოთქვამს ადამიანების დაღუპვასა და ტანჯვასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულ იყო კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის მიერ არადისკრიმინაციული ძალის გამოყენებით;

6. გამოხატავს ღრმა შეშფოთებას საქართველოს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაზე რუსეთის ნაღმების გავლენის გამო, სახელდობრ, 2008 წლის 16 აგვისტოს თბილისი ფოთის სარკინიგზო მაგისტრალზე კასპის ახლოს მდებარე სარკინიგზო ხიდის აფეთქებას და 2008 წლის 24 აგვისტოს ყაზახეთიდან სოჭში საექსპორტოდ ნედლი ნავთობის გადამზიდი მატარებლის გორის ახლოს აფეთქებას და ხაზს უსვამს, რომ ამ ორივე ქმედებით დარღვეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ;

7. კიდევ ერთხელ გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ არცერთ მესამე ქვეყანას არა აქვს ვეტოს უფლება სხვა ქვეყნის გადაწყვეტილებასთან მიმართებით, შეუერთდეს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას ან ალიანსს, ისევე როგორც არა აქვს უფლება მოახდინოს დემოკრატიულად არჩეული მთავრობის დესტაბილიზაცია;

8. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტნიორობა ევროპასა და რუსეთს შორის უნდა ეფუძნებოდეს ევროპული თანამშრომლობის ფუძემდებლურ წესებს, განხორციელებულს, როგორც სიტყვით, ასევე საქმით;

9. მოწონებას გამოთქვამს ევროკავშირის თავმჯდომარის ეფექტური და სწრაფი რეგირების თაობაზე კონფლიქტზე რეაგირების თვალსაზრისით და იმ ერთიანობის გამო, რომელიც გამოამუდგენს წევრმა სახემწიფოებმა ორ მხარეს შორის მედიატორობის გაწვევისას, რამაც საშუალება მისცა მათ მოეწერათ ხელი ცეცხლის შეწყვეტის სამშვიდობო გეგმაზე; მიესალმება ამ მიმართებით ევროპული საბჭოს ზემო აღნიშნული რიგგარეშე სხდომის დასკვნებს;

10. დაბეჭდვით მოუწოდებს რუსეთს შეასრულოს ყველა აღებული ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია ევროკავშირის დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად მიღებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებით, დაიწყოს საკუთრივ საქართველოს ტერიტორიიდან თავისი ჯარების სრული და დაუყოვნებლივი გაყვანით და შემოფარგლოს თავისი სამხედრო ძალების ყოფნა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსი მშვიდობისმყოფელების არსებობით, რომლებიც ამ ორ პროვინციაში იმყოფებოდნენ კონფლიქტის გაჩაღებამდე; გმობს რუსეთის დამპყრობელი ძალების და მათი დაქირავებული მებრძოლების მიერ განხორციელებულ მასშტაბურ მაროდიორობას;

11. მოითხოვს, რომ დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიება ჩატარდეს გადაუდებელი ზომის სახით, რათა დადგინდეს ფაქტები და ნათელი მოეფინოს მთელ რიგ ბრალდებებს;

12. მოუწოდებს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (სსსს) რომის სტატუტის ხელმომწერ ქვეყანას

და აგრეთვე რუსეთის ხელისუფლებას, აღმოუჩინონ მხარდაჭერა და ითანამშრომლონ სსსს-ს პროკურატურის ბიუროს იმ ტრაგიკული მოვლენებისა და სამოქალაქო პირებზე თავდასხმის ფაქტებთან მიმართებით, რასაც ადგილი ჰქონდა კონფლიქტის განმავლობაში, იმ მიზნით, რომ გაირკვას პასუხისმგებლობის საკითხი და პასუხისმგებელი პირები წარსდგნენ სასამართლოს წინაშე;

13. მოუწოდებს რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებას უზრუნველყონ სრული ინფორმაციის მიწოდება იმ ტერიტორიების შესახებ, სადაც მათმა შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს კვანტური ბომბები, რათა შესაძლებელი გახდეს დაუყოვნებლივ დაწყება განაღმებითი სამუშაოების და ამგვარად თავიდან იყოს აცილებული შემდგომი მსხვერლი უდანაშაულო მშვიდობიან მოსახლეობას შორის და გაიოლდეს გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნება;

14. მოუწოდებს ევროკავშირსა და ნატო-ს და მის წევრებს გამოიყენონ, საერთო პოზიციის საფუძველზე, ყველა შესაძლო ზომა რუსეთის მთავრობის დასარწმუნებლად იხელმძღვანელონ საერთაშორისო სამართლით, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას საერთაშორისო თანამეგობრობაში საპასუხისმგებლო როლის შესასრულებლად და შეახსენებს რუსეთს, როგორც გაერო-ში ვეტოს უფლების მქონე წევრს, მის პასუხისმგებლობას საერთაშორისო წესრიგისა და მშვიდობის დასამყარებლად;

15. მოუწოდებს საბჭოსა და კომისიას, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი არ შეასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს; მხარს უჭერს ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას გადადოს მოლაპარაკებები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შესახებ სანამ რუსეთის ჯარები არ დაუბრუნდებიან პოზიციებს, რომლებიც მათ ეკავათ 2008 წლის 7 აგვისტომდე;

16. მოუწოდებს კომისიას განიხილოს სავიზო ხელშეწყობისა და მიღების ხელშეკრულების საკითხები საქართველოსთან მიმართებით, როგორც მინიმუმ რუსეთთან მიმართებაში არსებულის ეკვივალენტურად;

17. მოუწოდებს წევრ სახელწიფოებს განიხილონ ვიზების გაცემის საკითხი, იმ ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომელიც წარმოებული იქნება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში;

18. მკაცრად გმობს ქართველების იძულებით გამოსახლებას სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან და მოუწოდებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას უზრუნველყონ გადაადგილებული მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხო დაბრუნება, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად;

19. მიესალმება ეუთოს ინიციატივებს, გაიზარდოს შეუიარაღებელი დამკვირვებლების რაოდენობა; მოუწოდებს ეუთო-ს მისიის გაძლიერებისაკენ, ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილების სრული თავისუფლებით და მოუწოდებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეიტანონ წვლილი ამ ძალისხმევაში;

20. მოუწოდებს ევროკავშირის სოლიდური წვლილის

განხორციელებისათვის კონფლიქტის მოგვარების დაგეგმილი საერთაშორისო მექანიზმის ფარგლებში და მიესალმება ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას განათავსოს ეუთპ-ს (ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის) მონიტორინგის მისია გაეროს და ეუთო-ს მისიების შესავსებად და ითხოვს გაეროსა ან ეუთოს მანდატს ეუთპ-ს სამშვიდობო მისიისათვის;

21. მოუწოდებს ევროკავშირის აქტიური და განგრძობითი მხარდაჭერისათვის კონფლიქტის მშვიდობიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტისაკენ მიმართული საერთაშორისო ძალისხმევის ფარგლებში, სახელდობრ საბჭოს მზადყოფნისაკენ მხარი დაუჭიროს გაეროს, ეუთოს და სხვათა მცდელობას კონფლიქტის მოგვარების კუთხით; განსაკუთრებით მიესალმება გადაწყვეტილებას დაინიშნოს ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოს კრიზისის შესახებ;

22. მიესალმება კომისიის მიერ 6 მილიონი ევროს ოდენობით სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარების გამოყოფას სამოქალაქო პირების დასახმარებლად, რომელიც უნდა იყოს გამყარებული შემდეგი დაფინანსებით, ადგილზე სიტუაციის შესწავლის საფუძველზე და აღნისნავს კონფლიქტის შემდგომ რეკონსტრუქციის სასწრაფოდ განხორციელების აუცილებლობას;

23. მიესალმება საბჭოს გადაწყვეტილებას მოიწვიონ დონორთა საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში რეკონსტრუქციის საკითხებზე და მოუწოდებს საბჭოს და კომისიას განიხილონ ევროკავშირის მასშტაბური გეგმის შესაძლებლობა საქართველოს დაზარალებული რეგიონების აღსადგენად ფინანსური დახმარების გამოყოფისათვის და გაამტარონ ევროკავშირის ყოფნა ქვეყანასა და მთელ რეგიონში;

24. მოუწოდებს კონფლიქტის ყველა მხარეს უზრუნველყონ სრული და დაუბრკოლებელი შესაძლებლობა დაზარალებულებისათვის, მათ შორის ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, დახმარების გასაწევად;

25. მიიჩნევს, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტის მოგვარების საძიებლად, ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიის სხვა მოუგვარებელი კონფლიქტების შემთხვევაში, ხელსაყრელი იქნება კონფლიქტის გადაწყვეტის მექანიზმების ინტერნაციონალიზაცია; ამ მიმართებით აკეთებს შემოთავაზებას, რომ ევროკავშირმა მოიწვიოს “სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო კონფერენცია”, როგორც ამ პროცესის უმთავრესი ელემენტი; ითვალისწინებს, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე უნდა იყოს განხილული საერთაშორისო გარანტიები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის და დემოკრატიის განვითარების ხელშესაწყობად კანონის უზენაესობის განმტკიცების მეშვეობით; ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონფერენციაზე უნდა მიეცეთ საშუალება კავკასიის რეგიონის ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს, მიიღონ მონაწილეობა;

26. მოუწოდებს საბჭოს და კომისიას შემდგომ განავითარონ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, მისი აღმოსავლელ პარტნიორების მოთხოვნებზე

ორიენტირების და ადაპტირების საშუალებით და შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის გააქტიურებით, გაითვალისწინოს ევროპარლამენტის იდეა ევროპული ეკონომიკური სივრცე პლიუს-ის თაობაზე ან შვედურ-პოლონური წინადადება აღმოსავლეთთან პარტნიორობის შესახებ და დაახქარონ, საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვის რესპუბლიკასთან მიმართებით, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა; აღნიშნავს, რომ ევროკავშირის სავიზო პოლიტიკის ლიბერალიზაცია ამ ქვეყნებთან მიმართებით უნდა ითვალისწინებდეს იმ ფაქტს, რომ რუსეთს აქვს მინიჭებული ამ სფეროში უკეთესი პირობები, ვიდრე მათ;

27. ხაზს უსვამს სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული მთელი რიგი პრობლემების ურთიერთკავშირს და აუცილებლობას მოხდეს ყოვლისმომცველი გადაწყვეტა, სტაბილურობის პაქტის ფორმით, მთავარი გარე აქტორების ჩართვით, აღნიშნავს თანამშრომლობის აუცილებლობას შავი ზღვის რეგიონის მეზობელ ქვეყნებთან და ინსტიტუციონალური მრავალმხრივი მექანიზმის შექმნის ორგანიზებას, სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჩატარებას; მოუწოდებს კომისიას ამ მიმართებით შესთავაზოს პარლამენტს და საბჭოს შექმნას მრავალმხრივი ჩარჩო შავი ზღვის რეგიონისათვის, თურქეთისა და უკრაინის ჩათვლით; მიიჩნევს, რომ მეზობელი ქვეყნები, როგორცაა ყაზახეთი, უნდა იყვნენ ჩართულნი, მთელი რეგიონის სტაბილურობისა და ენერჯო ნაკადების ინტერესებიდან გამომდინარე;

28. იხსენებს, რომ 2008 წლის 3 აპრილის ბუქარესტის სამიტზე ნატო დათანხმდა, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი;

29. ხაზს უსვამს საქართველოს მნიშვნელობას ევროკავშირის ენერჯო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რუსეთის ალტერნატიული ენერჯო მარშრუტის შექმნის გზით; მიიჩნევს მნიშვნელოვნად რომ არსებული ინფრასტრუქტურა, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენი, იყოს ეფექტურად დაცული, და მოუწოდებს კომისიას შესთავაზოს საქართველოს ამ მიმართებით აუცილებელი დახმარება; მოელის ევროკავშირის მყარ პოლიტიკურ და საბიუჯეტო მზაობას ნაბუკო-ს მილსადენის პროექტთან მიმართებით, რომელიც მიჩნეულია ევროკავშირის პრიორიტეტულ პროექტად, რომელიც გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე და იქნება უმნიშველოვანესი ალტერნატივა რუსეთთან თანამშრომლობით განხორციელებული პროექტებისა, რომლებიც პოტენციურად გაზრდიან რუსეთისაგან წევრი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებულებას;

30. მოუწოდებს საბჭოსა და კომისიას განაგრძონ ძალისხმევა ევროკავშირის ერთიანი ენერჯო პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც, სხვა საკითხების გარდა, ხელს შეუწყობს მოწოდებული რესურსების დივერსიფიკაციის აუცილებლობას;

31. ითვალისწინებს, რომ თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში არ უნდა ახდენდეს ევროკავშირისა და რუსეთის ექსკლუზიური გავლენის სფეროების (ე.წ. “ინტერესთა სფეროების”) შექმნას;

32. ითვალისწინებს, რომ ევროკავშირის როლი ამ კრიზისში ხაზს უსვამს ევროპის საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გამყარების აუცილებლობას და მიიჩნევს, რომ ლისაბონის ხელშეკრულება, უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობის შექმნის, სოლიდარობის შესახებ დებულებისა და ევროკავშირის ენერჯო უსაფრთხოების პოლიტიკის ჩათვლით, წარმოადგენს სათანადო გზას ამ მიმართულებით;

33. ხაზს უსვამს აუცილებლობას, დაცული იყოს სტაბილურობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და მოუწოდებს სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს შეიტანონ წვლილი ამ მიზნის მისაღწევად და ამავე დროულად დაიცვან ყველა თავისი სართაშორისო ვალეზულება;

34. იმეორებს პრინციპს, რომ პლურალისტური და დემოკრატიული მმართველობა, ოპოზიციური პარტიების ფუნქციონირება და ადამიანის და სამოქალაქო უფლებების დაცვა, წარმოადგენს სტაბილურობის საუკეთესო გარანტიას სამხრეთ კავკასიის მთელ რეგიონში;

35. მოუწოდებს თავის პრეზიდენტს, გადაუგზავნოს ეს რეზოლუცია საბჭოს, კომისიას, წევრ ქვეყნებს, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებსა და პარლამენტებს, ნატო-ს, ეუთო-სა და ევროპის საბჭოს.

ლიტერატურა

1. ზ. აბაშიძე. ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისაკენ.
2. საქართველო–ნატო. საწყისები, რეალობა, პერსპექტივები. თბ., 2007.
3. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2007.
4. Гаханов А. Н. Горинов М. М. История России XX век. М. 1996.
5. Селезнев Г. К. Новейшая история России и Запада. М. 1998.
6. Глински Д. Василиев М. Расширение НАТО на восток как проблем Росииской и Европейской безопасности. В книге: Россия и основные институты безопасности Европе: В ступая в XXI век. М. 2000.
7. Саимс Д. Каким будет партнерство. Московские новости. 1-8 Мая. 1994.
8. Szabo S. The Diplomacy of German unifikation._N-X. 1992.
9. Kissinjer H. Not That Partnersip. Washington Post. 24 nov. 1993.
10. Gorgen relation of the United States, 1952-1954-Vol. V: Western European security-Part! Wash. 1983.
11. www.nevs.uaclub.net/4364316.html
12. www.europa.eu

შინაარსი

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია(NATO (დაარსების არსი, მიზანი, ამოცანები)	3
ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით	16
NATO-ს სტრუქტურა	25
NATO საერთაშორისო ურთიერთობებში “ცივი ომის” წლებში	30
NATO საერთაშორისო ურთიერთობებში თანამედროვე ეტაპზე	42
ნატო და სამხრეთ კავკასია	46
ემუქრება თუ არა კავკასიას ცივილიზაციათა შეჯახების საფრთხე?	53
ნატოს ბრძოლა მასობრივი განადგურების იარაღის გაუფრცვლებლობის უზრუნველსაყოფად	58
საქართველო–ნატოს ურთიერთობები	63
ნატოსა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიიდან	90
დოკუმენტები	96
ლიტერატურა	109

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 03.07.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად
09.07.2009. ქალაქის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7.
ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent

გამომცემლობა „ბასიანი“, თბილისი, კოსტავას 77